ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №65 (1695) 10 – 16 ნოემბერი. 1998წ. ● ფასი 50 თეთრი

## მოვა ის დროც, გამოჩნდება გმირი და იტყვის:





## არა, ასე ცხოვრება სირცხვილია!..



მე-2 გვერდი

14

**ხმა მიეცით ეროვნულ პოლიტიკურ ძალთა ერთიანობას:**

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას;
გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას;
მერაბ კოსტავას საზოგადოებას;
ღვთისშვილთა კავშირს.
რომლებიც გამოდიან საარჩევნო ბლოკით:

**«საქართველო» – მერაბ კოსტავას საზოგადოება»**

სიაში შემოხაზეთ **№ 14**

ხმა ხალხიდან



## ქართული მიწა არ უნდა გაიყიდოს! იგი არც პარლამენტის საკუთრებაა, არც პრეზიდენტის და არც მთავრობის

მე-2 გვერდი

არჩევნები

## ერთადერთი გამოსავალი ეროვნულ ძალთა ერთიანობასა და გამარჯვებაშია



მე-3 გვერდი

## სომხები საქართველოში



(უძველესი დროიდან დღემდე)

მე-10 გვერდი

აფხაზური კოლიზიები

## მამა ბესარიონი მონანიებისკენ მოუწოდებს

მე-3 გვერდი



## დეზერტირობა — დაუსჯელ-დასჯადი ქმედება, ანუ ხარვეზები სისხლის სამართლის კოდექსში

მე-11 გვერდი



## რას ვაშენებთ — ისევ ბაბილონის გოდოლს თუ ეროვნულ სახელმწიფოებს?

მე-5 გვერდი

## ელიზბარაშვილი ალაპარაკდა და... დადუმდა

მე-11 გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოვა ის დრო, გამოჩნდება გმირი და იტყვის: არა, ასე ცხოვრება სირცხვილია!..




**დღეს „საქართველოს" სტუმარია ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი, ბატონი ვახტანგ ხარჩილავა**

**— ბატონო ვახტანგ, თქვენ გიცნობენ არა მარტო როგორც შესანიშნავ პოეტს, არამედ როგორც მძაფრი პუბლიცისტური წერილების ავტორსაც...**

— სიმძაფრე ჩემი პუბლიკაციებისა განაპირობა დრომ, რომელშიც გვიხდება ცხოვრება და მოღვაწეობა. დღეს ალბათ ძნელია შეინარჩუნო დინჯი კილო, იმდენი რამ ხდება გარშემო. სიმართლე გითხრათ, მაინც არა ვარ კმაყოფილი ჩემი თავის, როგორც პუბლიცისტის, კი ვცდილობ რაღაცა ვთქვა, მაგრამ ჩემს ნათქვამს არა, საერთოდ ნათქვამ სიტყვას, მის მიერ გამოთქმულ გულისტკივილს, ნაკლები გამოხმაურება და რეაგირება აქვს მათგან, ვისი მისამართითაც არის თქმული. დემოკრატია ჩვენთან გაიგო ჩვენმა მმართველმა ხელისუფლებამ და ჩვენმა მთავრობამ, განებავთ სხვადასხვა ორგანოებმა, ცოტა უცნაურად, ე.ი. მათ ჰგონიათ, რადგან დემოკრატიაა, მათ აქვთ უფლება აკეთონ ყველაფერი, რაც მოეპრიანებათ. ჩვენ გვაქვს უფლება ვთქვათ, რაც ჩვენ მოგვეპრიანება და არავინ არაფერზე არ არის პასუხისმგებელი. სინამდვილეში კი, იმ ქვეყნებში, რომლებიც ითვლება დემოკრატიის აკვნად, სიტყვას აქვს უდიდესი ფასი. საკმარისია სენატორმა ერთი წლის შემდეგ თქვას რაღაც ისეთი, რაც ეწინააღმდეგება ერთი წლის წინათ ნათქვამ სიტყვას, მას იმწამსვე გაუხსენებენ და ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ამ კაცს საზოგადოება არ შეიძლება ენდოს, რადგან ეს კაცი არ არის თავისი პრინციპების ერთგული.

**— გინდათ თქვათ, რომ დღეს დაკარგული გვაქვს უამრავი ღირსება, რითაც ადამიანმა თავი შეიძლება მოიწონოს...**

— დღეს ჩვენთან მრავალ უბედურებათა შორის ყველაზე დიდი უბედურება ისიც არის, რომ სიტყვამ დაკარგა თავისი დანიშნულება, თავისი ფასი და თავისი წონა. რა მაქვს მხედველობაში? როდესაც ადამიანებს შეუძლიათ ურცხვად ხუთი წლის განმავლობაში ორმოცდაათჯერ შეიცვალონ პოზიცია, შეიცვალონ პარტია, ხან იყონ ზვიადისტი, ხან — შევარდნაძისტი, ხან აბაშიძისტი და კიდევ ვინ იცის, ვისისტი და ეს გაამართლონ იმითი, რომ პოლიტიკაში ასე ხდება, ეს პოლიტიკისთვისაა საჭირო, ტყუილია ეს ყველაფერი. პოლიტიკაში, ნორმალურ პოლიტიკაში არსად ასე არ ხდება, ეს არის ელემენტარული ლაყბობა. ეს არ არის პოლიტიკა და საერთოდ, ნამდვილი პოლიტიკოსები ჩვენ ცოტანი გვყვანან. ჩვენთან თამაშობენ პოლიტიკას და ეს არიან ის ადამიანები, რომელთაც სხვაგან თავის გამოსაჩენი ადგილი, ასპარეზი ვერ იპოვეს და ქართული პოლიტიკის ეს სახეობა, რომელიც დღეს არსებობს მათთვის, ზედგამოჭრილი გამოდგა, სამწუხაროდ.

**— ბატონო ვახტანგ, აფხაზეთი ყველა ქართველის ტკივილი, ჩვენი ღია ჭრილობაა...**

— აფხაზეთის პრობლემა ნათელია და ამავე დროს ბურუსით არის მოცული. აგერ, ექვსი წელი თავდება, თითქოს ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ გზა და საშველი არსაიდან ჩანს. მიზეზი ამისა ძალიან ბევრია — დასაწყისიდან დღემდე. მაგრამ ისევ და ისევ მტრის დადანაშაულება იმაში, რატომ მომერიე მე შენო, ბავშვური საქციელია. მტერი იმის მტერია, რომ მოგერიოს, ხომ ასეა, არა? საკუთარ თავს არ უნდა მოვერიოთ ჩვენ. პირველ ყოვლისა, საქართველომ დაამარცხა საქართველო ამ ომში. დაამარცხა რით? დაამარცხა იმით, რომ როგორც კი გაიარა პირველმა ალტკინებამ, მახსოვს, ომში წამსვლელთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ ვერ აუდიოდნენ წამსვლელთა ტრანსპორტირებას, ერთი კვირის შემდეგ იქიდან გამოქცეულთა რიცხვი იყო იმდენად დიდი, გადმოყვანას ვერ ასწრებდნენ, მერე უკვე იქით იხვეწებოდნენ, იქნებ

გაგრძელება მეოთხე გვერდზე

# გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს, ბატონ სერგო ჯანაშიას

გაზეთი „საქართველო" ერთ-ერთი იმ გაზეთთაგანია, რომელიც დღენიადაგ ცდილობს სიმართლით გააშუქოს ის პრობლემები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას თავს ახვევია. ამჯერად, გვინდა ჩვენი გულისწუხილიც გაგიზიაროთ.

საქართველოში ისტორიულ ძეგლთა დაცვის საქმე უმძიმეს მდგომარეობაშია. თუ რაოდენ მნიშვნელოვანია წარსულის შესწავლა და წინაპართა დანატოვართა დაცვაზე ზრუნვა, თითქმის ყველასათვის ცნობილია. ამ სფეროში შექმნილი უმძიმესი ვითარება თვალნათლივ გამოიხატა წინა წლის დასასრულს (11 ნოემბერს) ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოში, საინიციატივო ჯგუფის მიერ სახელდახელოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამ სფეროს ღვაწლმოსილმა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა (ა. აფაქიძემ, ი. ციციშვილმა, ნ. ზაქარაიამ, მ. ლორთქიფანიძემ, რ. მეფისაშვილმა, თ. კანდელაკმა, ლ. მეძმარიაშვილმა, თ. ნათიძემ, მ. დვალმა, მ. მგალობლიშვილმა, ბ. კუპრაშვილმა, მ. გიორგიძემ, მ. ძნელაძემ და სხვებმა), საპატრიარქოს წარმომადგენლებმა, დეპუტატებმა, ტელევიზია-გაზეთებმა და პოზიცია-ოპოზიციურმა პარტიებმა.

პრესკონფერენციამ შედეგი ვერ გამოიღო. მოხდა რაღაც საოცრება! თითქმის ყველა მოწვეულმა ისტორიულ ძეგლთა დაცვის სფეროში არსებული უმძიმესი პრობლემები „ცალ ყურში შეუშვა და მეორედან გამოუშვა" (მეორე არხისა და ერთიორი გაზეთის გარდა). ცოტათი მოგვიანოდ, „ყურთან" დაკავშირებით, იგივე გააკეთა ჩვენმა „ღირსეულმა" პარლამენტმაც, როდესაც გულგრილად და უგულისყუროდ მოექცა ვარძიაზე დამტყდარ უბედურებასთან დაკავშირებულ საკითხს. მასაც „ყურზე ძილი" მშვენივრად ჰქონია ათვისებული. ამ დროს კი, ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს ვარძიაში ჩასასვლელი ფულიც კი არ გააჩნდა.



ბატონო რედაქტორო, დიდად მადლიერნი დაგრჩებით, თუ მოგვცემთ საშუალებას, თქვენი გაზეთის მეშვეობით, მივმართოთ საქართველოს პრეზიდენტს.

**ბატონო პრეზიდენტო!**

წარსული — ფესვები მომავალი საქართველოსი,— უმძიმეს მდგომარეობაშია!

წელს, გაზაფხულზე, 50 წელი შესრულდა, რაც შეიქმნა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო (არ გვავიწყდება თქვენი პირადი ძალისხმევაც ამ სამმართველოს შექმნაში). გადაუხდელ იუბილეებს დიდად არ ვდარდობთ, მაგრამ ძალზედ ვწუხვართ, რომ თვად სამმართველო მიზანსწრაფულად და გეგმაზომიერად იშლება.

ისტორიისა და ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ დაკარგა ძეგლთა დაცვის სფეროში იდეოლოგიის წარმართვის ფუნქცია.

ისტორიული ძეგლის (მაგ. სვეტიცხოველის, ჯვარის, ალავერდისა თუ ნიკორწმინდის) რესტავრაცია ფინანსთა სამინისტროში გადის გრაფით — „კაპიტალური რემონტი"! ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი წერილი გაიგზავნა, მათ შორის თქვენს სახელზეც, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს.

საქართველოში შექმნილია ილუზია (განსაკუთრებით პრეზიდენტისა და საქართველოს თანამდგომების თვალის ასახვევად), რომ კულტურისა და ისტორიული ძეგლების — კულტურული მემკვიდრეობის სფეროში კარგად მიდის საქმე.

გაურკვეველ და დაუსაბუთებელ მიზეზთა გამო, პარლამენტში ჭიანურდება „ძეგლთა დაცვის" ახალი კანონის მიღება.

ძალზედ დროული იქნება, რომ წლის ბოლომდე მოეწყოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის სფეროში მოღვაწეთა და დაინტერესებულ პირთა თავშეყრა — კონფერენცია.

იმედი გვაქვს, ჩვენი წერილი გამოხმაურებას ჰპოვებს.

**მერაბ ძნელაძე**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მთავარი სპეციალისტი**

## ხმა ხალხიდან

# ქართული მიწა არ უნდა გაიყიდოს. იგი არც პარლამენტის კუთვნილებაა, არც მთავრობის და არც პრეზიდენტისა...

საქართველოში დღეს ვერსად მოისმენ ღირსეული მამულიშვილის, მორის ფოცხიშვილის ტექსტზე შექმნილ სიმღერას „იყიდება საქართველო". სამაგიეროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოფიტული ხალხის გულის გასახეთქად ომახიანად და მონოტონურად გაისმის: იყიდება, იყიდება, იყიდება, ... ყოველგვარი უძრავ-მოძრავი ქონება, დაწყებული უმსხვილესი საწარმოებით თუ ახლად აშენებული ბინა-სასახლეებით და დამთავრებული გაპარტახებული ფერმებითა თუ ტექნიკით. ყიდულობენ კიდეც ყველაფერს ზოგიერთები, ვისაც ამის საშუალება გააჩნია. ფაქტობრივად ყველანი, გარდა გამიზნულად გაღატაკებული ქართველებისა. ქართველთა უმრავლესობა დღეს ვერ იყიდის ვერც საწარმოს და ვერც თუნდაც ფერმას. ქართველი თავის მიწა-წყალზე დევნილად ქცეულა, ლუკმაპური სანატრელი გახდომია, მუშა და მეცნიერი სამსახურის გარეშეა დარჩენილი, გლეხი კი საკუთარი კარმიდამოს დასამუშავებლად თოხისა და ბარის ანაბრად არის მიტოვებული. ამასთან, ქართველ კაცს ზარმაცის სახელიც მიაკერეს, ხელოსანს ხელის განძრევის საშუალება არ მისცეს, გლეხკაცს მოწეული მოსავალი დაალპობინეს და სამაგიეროდ, ზოგიერთი ყოჩაღი „მამულიშვილების" მიერ ისევ თითქოსდა მოსახლეობის ინტერესებში აღებული უცხოური კრედიტებით შეძენილი „მალბორო" და „კოკა-კოლა" შესთავაზეს „ამერიკის სულის ჩასაწვდომად".

საწარმოების ვაუჩერული „პრიხვატიზაცია" არ გვაკმარეს და ხალხის „რჩეულებმა" დღის წესრიგში ქართული მიწის სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდვისა და იჯარით გაცემის საკითხი დააყენეს მაშინ, როცა მიწა ადგილობრივ მოსახლეობასაც არ ყოფნის.

ეს უკვე მეტისმეტია. ეს ხომ დაცემაა ჩვენი უძველესი ქვეყნისა და ერისა. ამგვარი უზნეობის ჩამდენი, თუნდაც გამფიქრებელიც კი „ან ჭკვიანი მტერი არის, ან უგნური მოყვარე".

რომელი ქვეყნის ხელისუფლება ანიავებს ასე განუკითხავად თავისი ერის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის საწინდრებს: მიწას, ენერგეტიკას, კავშირგაბმულობას, რკინიგზას და სტრატეგიული დანიშნულების სხვა ობიექტებს? თან კი თავს იწონებდეს უცხოელი მყიდველების მოზიდვით და ხმამაღლა გაიძახოდეს: „ამით ბიუჯეტს შევავსებთ და პენსია-ხელფასებს დაგირიგებთო". ნუთუ დღეს ყველა ქართველიც და საქართველოს ყველა მოქალაქეც საპყარი გახდა?

ორნახევარ მილიარდ კრედიტს თუ მიწაც ზედ გადავაყოლეთ, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?

თუ ყველგან ზოგიერთებივით საზღარგარეთ ნაყიდ „ქოხებში" გადავბრძანდებით და საქართველოს ევროპააზიის „დერეფნად" გადაქცევისათვის პროცენტებს მივიღებთ (როგორც ყოფილი კომუნისტური წყობის მაღალჩინოსნები „წილს" საქმოსნებისაგან), ან იქნებ უცხო ენაზე და ამერიკული მანერებით გაზრდილ „ახალ ქართველებს" შოთა რუსთაველის, ილიასა და ვაჟას სამშობლოდან მეტი აღარაფერიც სჭირდებათ?



ამ ბოლო დროს ქართველ ხალხს გამუდმებით ჩასჩიჩინებენ, რომ ხუთი ათასამდე ეკლესია-ტაძრის ამშენებელი, საკუთარი დამწერლობისა და უნიკალური კულტურის მქონე ერი თურმე ზარმაცი, უვარგისი, შურიანი ყოფილა და თურმე არც მეომრად ვარგებულა და ვინ მოთვლის, ზოგიერთები ქართველი ერის დაკნინების მიზნით კიდევ რამდენ სისაძაგლეს აბრალებენ შეგნებულად გაძარცვულ და განიარაღებულ ხალხს „უცხოელ მეგობართა" საამებლად თუ მხოლოდ იმისათვის, რომ საკუთარი სავარძლები შეინარჩუნონ.

როგორც ჩანს, მავანნი ცდილობენ მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი, მაგრამ მაინც ერთიანი სამშობლო ფედერაცია-სამთავროებად დააქუცმაცონ და უქართველებო საქართველოს მიწა ანგარებითი მიზნით მოიხმარონ.

არა, ბატონებო! 200-წლიანი მონობისგან თავის დაღწევა და დამოუკიდებლობის აღდგენა ქართველებს ამიტომ არ გვიხაროდა. არც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და არც ეგრეთწოდებული „ურბანული" მიწა არ უნდა გაიყიდოს უცხოელებზე. ქართული მიწა მუდმივი ან ვადიანი სარგებლობისათვის, სასყიდლიანი თუ უსასყიდლო — უნდა გადაეცეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს! არა მარტო ქართველებს (როგორც ამას გვწამებენ), არამედ, ვიმეორებთ, საქართველოს (ყველა ეროვნების) მოქალაქეებს, რომლებიც ისევე უერთგულებენ და დაიცავენ საქართველოს საზღვრებს, მის ენას, როგორც ამერიკელი ამერიკას, ჩეჩენი — ჩეჩნეთს თუ სომეხი — სომხეთს და არა ისე, როგორც დღეს ფარღალალად მიტოვებულ საქართველოს საზღვრებში ყოველი მხრიდან შემოსეული უცხოტომელები მეტად უმადურად გვექცევიან. ქართულ ოჯახებს ეკედლებიან, სამშობლოზე უკეთეს პირობებში ექცევიან, მრავლდებიან, ქართულ ჩვეულებებს და სიბრძნეს ეზიარებიან, შემდეგ კი გულღია მასპინძლებს ოჯახს, ადათ-წესებს, ენას გვიგინებენ, მიწას თავისი კულტურის ძეგლებიანად გვეცილებიან და წართმეულ მიწასთან ერთად სხვასთან გარბიან.

ქართველებს მიწა არავისგან მიგვიტაცებია და არც არავის დავუთმობთ.

ქართული მიწა-წყალი არც პარლამენტისაა და არც მთავრობის, არც დღევანდელ პრეზიდენტს ეკუთვნის და არც მომავალს, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის უნიკალური ბუნება, მიწაც და წიაღისეულიც მისი ერთგული შვილების — საქართველოს მოქალაქეებისაა და არავის აქვს მისი გასხვისების უფლება, მითუმეტეს, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.

კეთილი ინებოს ხელისუფლებამ და საქართველოს მოქალაქეებს მეწარმეობისა თუ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობები შეუქმნას, ხოლო საზღვარგარეთ აღებული კრედიტებით მიწის დამუშავებისა და პროდუქციის დამზადება-გადამუშავებისთვის საჭირო ტექნიკა თუ ტექნოლოგია შეიძინოს და არა უხარისხო (თუ ვადაგადაცილებული), მავნე პროდუქტები შემოზიდოს.

საქართველოს ბუნება ისეთი უნდა შევუნარჩუნოთ შთამომავლობას, როგორც ღმერთმა გვიბოძა. არავის აქვს პირადი გამორჩენის მიზნით მწვანე საფარის უნიკალური ხის ჯიშების უმოწყალოდ ჭრისა და საზღვარგარეთ გაყიდვის უფლება.

ნუ დავაშრობთ ნაკადულებსა და მდინარეებს, თუ არ გვინდა ვაჟას იამ და შვლის ნუკრმა დაგვწყევლოს, თორემ საქართველოს მიწაწყლის გამჩანაგებლებს სამარადჟამო ჯოჯოხეთი არ აგვცდება.

უფალს შევევედროთ, შეგვინდოს დღემდე საქართველოს ბუნების, ენისა და სარწმუნოების წინაშე ჩადენილი ცოდვები და გადაგვირჩინოს მრავალტანჯული ქართველი ერი და საქართველო - ჩვენი მშობლიური მიწა.

**ელენე მუმლაძე**

# ამიერკავკასიის ონკოლოგთა კონგრესი

მსოფლიოში რადიაციული ფონის მომატებამ განაპირობა ონკოლოგიურ დაავადებათა ზრდა, რამაც სერიოზულად დააფიქრა ამ დარგის სპეციალისტები, მათ შორის ქართველი ონკოლოგები. ამიტომაც საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრისა და ონკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების ინიციატივით 3-6 ნოემბერს თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის სახელმწიფოების ონკოლოგთა კონგრესი როგორც კონგრესის გენერალურმა მდივანმა, ქალბატონმა **ციცო ხარაიშვილმა** გვითხრა: ამიერკავკასიელ ონკოლოგთა შეხვედრებს ორმოცდაათწლიანი ისტორია აქვს, ტარდებოდა სამ წელიწადში ერთხელ, პერიოდულად მასპინძლობდა თბილისი, ბაქო და ერევანი, მაგრამ იმ დიდმა პოლიტიკურმა ვნებათაღელვებმა, რომელიც მიმდინარეობდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, ტრადიცია მოშალა. ქართველი ონკოლოგები გახდნენ შუალედური რგოლი სომეხ და აზერბაიჯანელ კოლეგებს შორის და ტრადიციაც აღსდგა. დაარსდა „ამიერკავკასიის ონკოლოგთა საზოგადოება", რომელსაც ექნება თავისი პერიოდული გამოცემა ჟურნალის სახით.




ქართველ ონკოლოგებს უზარმაზარი გამოცდილება აქვთ ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკის, მკურნალობისა და დიაგნოსტიკის საკითხებში. ასე რომ, კონგრესი ერთგვარი გამოცდილების გაზიარება იქნება კოლეგებს შორის და ხელს შეუწყობს ამ უმძიმესი დაავადების შემცირებას.

კონგრესზე მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოვიდა აკადემიკოსი **დავით ზარიძე**, რომელთანაც ვრცელ ინტერვიუს გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

**იზოლდა ცირდავა**

# აფხაზური კოლიზიები

## მუსულმანებსა და მართლმადიდებლებს შორის

### მამა ბესარიონი მონანიებისკენ მოუწოდებს



აფხაზეთის ტერიტორიაზე არასდროს მდგარა არცერთი მეჩეთი, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთი 300 წლის განმავლობაში იყო ოსმალეთის იმპერიის უღელქვეშ. არც უნდა იდგეს. საუბარი მეჩეთზე შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ააშენებენ აბხაზი რეპატრიანტებისათვის, რომლებიც მუსულმანური ქვეყნებიდან ჩამოდიან აფხაზეთში, თანაც უნდა მოიძებნოს მათი კომპაქტური დასახლების ადგილი. აბხაზთა 80% ადათი და წესი მართლმადიდებლურია. ამჟამად ჩვენ ყოველ კვირა დღეს ვნათლავთ ათეულობით აბხაზს. ერთადერთი ისაა, რომ სასულიერო პირთა შორის ძალიან ცოტაა აბხაზი. საერთოდ, რევოლუციამდე ბევრი იყო აბხაზი ეროვნების სასულიერო პირი, მაგრამ ისინი დახვრიტეს. ამჟამად, დიდება უფალს, დედა-რუსეთის დახმარებით ალორძინდება ახალი ათონის მონასტერი.

**— ამბობენ, ქართველთა და აბხაზთა კონფლიქტმა აფხაზეთის ღვთისმსახურთა რიგებშიც ჩამოაგდო განხეთქილება — თქვენ უარი თქვით დაემორჩილოთ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას და გსურთ გადახვიდეთ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის, ან სულაც კონსტანტინოპოლის „იურისდიქციის" ქვეშ.**

— რატომ მოხდა ასე... 1992 წლის 19 აგვისტოს მე უნდა წავსულიყავი სოხუმში, ღვთისმსახურებაზე, ფერიცვალობისას. 14 აგვისტოს კი ომი დაიწყო. დავურეკე ქართველთა უწმინდეს პატრიარქს და ვკითხე, როგორ მოვქცეულიყავი. მან მიპასუხა, რომ ჯერ არძინბამ და შევარდნაძემ გაარკვიონ ერთმანეთში ურთიერთობაო. ასე, რომ მან უარი თქვა სოხუმის ეპარქიის მართვაზე.

მთელი ომის განმავლობაში და მომდევნო ხუთ წელიწადში ჩვენ პატრიარქისგან არ მიგვილია არავითარი მითითება. ბევრი ღვთისმსახური საერთოდ გაიქცა აფხაზეთიდან. კიდევ კარგი, რომ დავრჩით მამა პეტრე ვიხინსკი, მამა პავლე, მამა გრიგორი და მე. სხვანაირად, აფხაზეთის ეპარქია საერთოდ სასულიერო მართვის გარეშე დარჩებოდა. ვინ არის ეკლესიის მეთაური? — ქრისტე. ჩვენც შევუდექით ცხოვრებას მისი წესების მიხედვით — ჯვარს ვწერთ, ვნათლავთ, ვასაფლავებთ... აბხაზეთში ჩვენ შევქმენით საეპარქიო საბჭო. მე ვარ ამ საბჭოს მმართველი და ჩვენ დახმარებისთვის მივმართეთ მრავალ მართლმადიდებლურ ეკლესიას.

დიდება უფალს, რომ მეზობელი პატრიარქი მაინც გამოგვეხმაურა. ეს არის სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი მეორე. ჩვენ ასევე გვეხმარებიან კრასნოდარის, მაიკოპის, ნოვოროსიისკის ეპისკოპოსები და არქიეპისკოპოსები, მიტროპოლიტები და ამჟამად ღვთისმსახურება აბხაზეთის ეკლესიებში მიმდინარეობს სლავურ, აფხაზურ და ბერძნულ ენებზე.

**— მართალია, რომ ახლა დაიწყო ფარული „ომი" რუსეთისა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის ახალი ათონის მონასტრის მმართველობისთვის?**

— მონასტერი ამჟამად სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის გამგებლობაშია და მას უშუალოდ ჩვენი საეპარქო საბჭო ხელმძღვანელობს. ახლა ჩვენი ვფიქრობთ ვითანამშრომლოთ სერგიევის ლავრასთან. იქიდან (ანუ როსტოვიდან) ვთხოვეთ გამოგვიგზავნონ ბერები. მოსკოვის პატრიარქი სიამოვნებით დაგვეხმარებოდა მატერიალურად, მაგრამ მას ამის საშუალებას ქართველი ღვთისმსახურები არ აძლევენ: პოლიტიკა გვიშლის ხელს.

**— თუ აფხაზები და ქართველები მართლმადიდებლები არიან, რატომ ვერ შეძლეს მოელაპარაკათ მშვიდობის დამყარებაზე.**

— დანგრეული შენობა შეიძლება ხელახლა ააშენო, მაგრამ დაჭრილი გულები და ქართველ-აფხაზთა ურთიერთობანი აღადგინო და გაამთელო — ძალიან რთულია. ვიღაცამ უნდა მოინანიოს. პირველმა იმან უნდა მოინანიოს, ვინც პირველმა აღმართა ხელი. უბრალოდ, უნდა ითქვას: „მე დამნაშავე ვარ. მომიტევე, ძმაო. მომიტევე, ღმერთო... ღმერთო მომიხსენიე მე შენს საუფლოში". და მაშინ დამნაშავე დაიმკვიდრებს ადგილს ზეციურ საუფლოში. აი, ეგვიპტელი მარია ხომ მეძავი იყო, მოინანია და ზეციურ საუფლოში დაიმკვიდრა ადგილი. თუმცა, დღეს არავის უნდა მონანიება.

თუ ადრე ჩეჩნები ამბობდნენ, რომ აფხაზეთში იმიტომ წავიდნენ საომრად, რათა დაეცვათ მოძმე მუსულმანები, ახლა „აფხაზეთის გმირი", შამილ ბასაევი იძულებული გახდა განეცხადებინა: აბხაზები მუსულმანები არ არიან, ისინი... წარმართები არიანო.

ბასაევის სიტყვები გამახსენდა მაშინათვე მას შემდეგ, როცა აფხაზეთის ქუჩებში ვნახე თავისუფლად მოსეირნე ღორები. ვერ ვნახე აფხაზეთში ვერცერთი მეჩეთი. საუბარი მამა ბესარიონთანაც რაღაც უცნაური გამოვიდა. მან განაცხადა, რომ ამ რესპუბლიკაში ვისთვის უნდა აშენდეს მეჩეთი.

**ვალერი ნიკოლაევი,**
**„ნეზავისიმაია გაზეტა" 30.10.98.**

**რედაქციისაგან: აფხაზეთში, მას შემდეგ, რაც მოხდა ქართველთა გენოციდი, აფსუები და მათი მფარველი რუსები ეკლესიებსაც მიადგნენ და ქართველთა მიერ საუკუნეების მიღმა აგებულ ტაძრებს და მონასტრებს ეპატრონებიან. ეს ინტერვიუც ამის მაგალითია. განმკითხავი, როგორც ყოველთვის, ახლაც არავინ ჩანს.**

# ერთადერთი გამოსავალი ეროვნულ ძალთა ერთიანობასა და მის გამარჯვებაშია

ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთი საინტერესო ტენდენცია დამკვიდრდა. ხელისუფლებაში მოსვლის მოსურნეთა რიცხვში სულ ახალ-ახალი ადამიანები ფიგურირებენ. ახალში იგულისხმება არა მათი საქმიანობის სიახლე, არამედ პოლიტიკაში თვითმიზნობრივი მოსვლა. საქართველოში არსებულმა ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, უსამართლობამ, კორუფციამ შექმნა იმის წინაპირობა, რომ ფულის კეთება და ოჯახის რჩენა, ან თუნდაც უკანონო შემოსავლის დაკანონება შესაძლებელია მხოლოდ ხელისუფლებაში ყოფნით. ე. ი. ხელისუფლებით ცხოვრება პრივილეგირებული გახდა. ამან გამოიწვია მოსახლეობის ერთი ნაწილის მიერ უარის თქმა, დასაქმდეს საკუთარი პროფესიის მიხედვით, რადგანაც ხელისუფლებით ცხოვრება უფრო სტაბილური დასაქმების საშუალებას იძლევა. მოსახლეობის დიდი ნაწილის ხელისუფლებაში დაბევება მისაღები აღმოჩნდა მმართველი პარტიისთვისაც, რადგანაც ეს ადამიანები, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა, ამით სასიცოცხლოდ არიან მიბმულნი მმართველი გუნდის ინტერესებს. ამიტომაცაა, რომ თავად მმართველი გუნდი ასე უსაშველოდ ბერავს სახელისუფლო სტრუქტურებს.

ყოველივე ამან გამოიწვია ქვეყანაში ნამდვილი პოლიტიკური ცხოვრების პარალიზება. პარტიები პოზიციებს იმაგრებენ არა იდეოლოგიური ბერკეტებით, არამედ წმინდა ფინანსური ბერკეტებით. ამის შედეგად ხელისუფლებაში ძირითადად მოდიან ის პარტიები და პიროვნებები, რომლებიც არჩევნებში უკანონოდ ნაშოვნ ფულს ხარჯავენ. ასეთ ვითარებაში ნებისმიერ ფულიან მეწარმე-ბიზნესმენს დიდი შანსი აქვს შევიდეს ნებისმიერ პარტიაში და საკუთარი პოზიციები განიმტკიცოს. დღეს საარჩევნო კამპანიაში მონაწილე ყველა სახელისუფლო და ნაწილობრივ არასახელისუფლო პარტიებს, ხელისუფლების გამოყენებით თუ წარსულში ეროვნული მოძრაობის სახელის გამოყენებით დიდძალი თანხა აქვთ მოპოვებული, ახლა კი ხელისუფლებაში მოსვლით უკანონოდ ნაშოვნი ფულის დაკანონება სურთ. თავად ის ფაქტი, რომ პარლამენტმა თავისი აღმასრულებელი სტრუქტურით ხელი არ შეუწყო საარჩევნო კამპანიის დაფინანსებას, სახელდობრ, პარტიებისა და კანდიდატების დაფინანსებას, მიზნობრივი ნაბიჯი იყო, რათა უფულო ეროვნული პარტიები საერთოდ ამოეშალათ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან. ამის დამადასტურებელი ერთ-ერთი მაგალითია შემდეგი: პარტიებს რომ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ, საჭირო იყო პარტიული სიების წარდგენა დაახლოებით 200 პროპორციულ ოლქში. ფულიანი პარტიების უმეტესმა ნაწილმა სწორედ ამ ნიშნით შეძლო გადაელახა ეს ბარიერი. თუნდაც ის ფაქტი, რომ საკრებულოს კანდიდატების მიერ შესავსები სააღრიცხვო ბარათები კანონის თანახმად არ გაიცა პარტიებზე, სწორედ ეროვნული პარტიების წინააღმდეგ მიმართული ჩანაფიქრი იყო. ცხადია, რომ არალოგიკურია ხელისუფლებაში მყოფი პარტიები მდიდრები იყვნენ იმ ხალხისაგან განსხვავებით, რომლებმაც თავად აირჩიეს ხელისუფლება. სწორედ ამ მიზეზით არის გამოწვეული ის, რომ ქვეყნის ხელისუფლება მრეწველობის განვითარებას და მოსახლეობის დასაქმებას ხელს არ უწყობს. მოსახლეობა, რომელიც დასაქმებულია, ადვილად არ მიეყიდება ფულიან პარტიებს, მას უფრო მეტი დრო რჩება, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყოველივე ამან განაპირობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, პარტიების დიდი ნაწილის კონცენტრაცია ედუარდ შევარდნაძის და ასლან აბაშიძის ბანაკებად. დღეს არჩევნებში მონაწილე პარტიების უმრავლესობა სწორედ ამ ორ ბანაკს ეკუთვნის. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ისინი ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას ვერ შეცვლიან. ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ ეროვნულ ძალთა ერთიანობაში და მათ გამარჯვებაშია. ერთადერთ ასეთ ეროვნულ ბლოკს წარმოადგენს „საქართველო" — მერაბ კოსტავას საზოგადოება". სწორედ ამიტომ შეუქმნეს ჩვენს ბლოკს დიდი წინააღმდეგობა საარჩევნო რეგისტრაციაში გატარების დროს.



არსებობს აზრი, რომ არჩევნებს იგებს არა გონივრული პროგრამა, არა სატელევიზიო გამოსვლები, არა მოსახლეობის ნდობა და მისი ხმების მოპოვება, არამედ ხმების დათვლა ანუ საარჩევნო კომისიები. რა თქმა უნდა, კომისიების როლი მართლაც ძალიან დიდია არჩევნების კანონიერად ჩატარებაში, მაგრამ დანარჩენი ფაქტორების უგულებელყოფა ნიშნავს განუკითხაობის ტენდენციის დამკვიდრებას ანუ ფალსიფიკაციის წინაშე კაპიტულაციას, ეს ყოველივე რომ გამოირიცხოს, მოსახლეობამ თავად უნდა დაიცვას თავისი კონსტიტუციური უფლებები ყველა ეროვნულ პარტიებთან ერთად. მან არ უნდა დაუშვას თავისი უფლებების დათმობა. ამისთვის საჭიროა უკლებლივ ყველა გამოცხადდეს საარჩევნო ყუთებთან, რათა საშუალება მისცენ ეროვნულ ძალებს მისივე ინტერესები დაიცვან. სამწუხაროდ, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ფიქრობს, რომ ხელისუფლებაში მოსული ყველა პარტია თავისი კეთილდღეობისთვის იბრძვის და არა ხალხისათვის. მათ მიაჩნიათ, რომ თითოეული ჩვენთაგანი ხელისუფლებაში უკვე იყო. ეს არასწორია! ჩვენი ბლოკი — ეროვნულ ძალთა ბლოკი ხელისუფლებაში არ ყოფილა. ხელისუფლებაში ყოფნა ნიშნავს უმრავლესობაში ყოფნას, რომელსაც გადაწყვეტილებათა მიღება შეუძლია. საერთოდ, ეროვნული ძალები ხელისუფლებაში იყო მხოლოდ 14 თვის განმავლობაში.

არჩევნებში მონაწილე ბევრი პარტია დემაგოგობს, როცა ამბობს, რომ ჯარების გაყვანა საკრებულოების კომპეტენცია არ არისო. ამით ნიღბავს საკუთარ პოზიციას ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. საკრებულოების, პარლამენტის, პრეზიდენტის არჩევნებში ეროვნული ძალების გამარჯვება კომპლექსურად ქვეყნის გადარჩენის ერთიანი სქემაა. ამ გადარჩენისთვის საფუძველის ჩაყრა უნდა მოხდეს საკრებულოების არჩევნებით. საკრებულოების ინსტიტუტით უნდა შესუსტდეს ზემოთ აღნიშნული პარტიების ანტისახელმწიფოებრივი ქმედება. როგორ არის ეს ყოველივე შესაძლებელი? საკრებულოებს შეუძლიათ ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების — მერიების, გამგეობების კორუფციული საქმიანობის შეზღუდვა. მას შეუძლია ყოველი თეთრის ხარჯვაზე განახორციელოს კონტროლი, მას შეუძლია ამოცანიდან გამომდინარე, სახელმწიფო სამსახურების შექმნა, მათი ხელმძღვანელების დანიშვნა. მას შეუძლია, მოსახლეობისთვის საკრედიტო რესურსების გადაცემაში დაიცვას საჯაროობის პრინციპი, მას შეუძლია იმ ბიუროკრატიული აპარატის მოშლა, რომელიც ხელს უშლის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, მაღაზიების, ბენზინგამასამართი სადგურების, აფთიაქების და სხვა კომერციული ერთეულების გახსნასა და შექმნას. მას შეუძლია სწორი ორგანიზაციით მოსახლეობის სოციალურად დაცვა, მას შეუძლია ქვეყანაში პოლიციის უკანონო ქმედებების შესუსტება, პოლიციის ხალხის სამსახურში ჩაყენება, მას შეუძლია მოსახლეობის ეკოლოგიური გენოციდის შესუსტება და ა. შ. ყოველივე ამისთვის საჭიროა ადგილობრივი მმართველობისა და ცალკეული სამსახურების რეორგანიზაცია. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია ერთადერთი ეროვნული ბლოკის „საქართველო" — მერაბ კოსტავას საზოგადოების" არჩევნებში გამარჯვებით. ამიტომ, სრული უფლება მაქვს მოგიწოდოთ, ხმა მისცეთ ეროვნულ ბლოკს „საქართველო" — მერაბ კოსტავას საზოგადოება". გთხოვთ, საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზოთ რიცხვი 14.

**გოგი სორდია**
**გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის აღმასრულებელი მდივანი,**

# პირველი შემთხვევა მეცნიერებათა აკადემიის ისტორიაში

მიმდინარე წლის 26 მარტს პროფ. გურამ ყორანაშვილმა მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინააღმდეგ, რაც უპრეცედენტო მოვლენა გახლავთ ამ დაწესებულების ისტორიაში. საქმის არსი შემდეგში მდგომარეობს. გასული წლის დასაწყისში გურამ ყორანაშვილმა გაიმარჯვა კონკურსში და მიიღო გრანტი სამწლიან ნაშრომზე „საქართველოს ისტორია" (უძველესი ხანიდან დღევანდლამდე, ორ ტომად). პირველი ტომი (1801 წლამდე) ავტორს უნდა დაეწერა ორი წლის განმავლობაში და წარედგინა ამა წლის ოქტომბერ-ნოემბერში. აღმოჩნდა, რომ საქართველოს ძველი ისტორიის რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა (დიაოხისა და სასპერების ეთნიკური ვინაობის საკითხები, ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემა, ქურთებისა და იბერიის ურთიერთმიმართების საკითხი და მისთანანი) დაუმუშავებელი ან ძალზე ბუნდოვნად ყოფილა წარმოდგენილი. ამ საკითხების დამუშავების გარეშე კი, ცხადია, I ტომის გამართვა შეუძლებელი იქნებოდა. გასული წლის მანძილზე გურამ ყორანაშვილმა ამ საკითხების თაობაზე ორჯერ მოახსენა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სემინარზე, ერთხელ სამეცნიერო სესიას, ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემის შესახებ კი მოხსენება წაიკითხა „ცოდნაში".

მიღწეული შედეგებით გურამ ყორანაშვილი ორჯერ წარსდგა ინსტიტუტის საბჭოს წინაშე. მიუხედავად დირექტორის — აკად. გ. მელიქიშვილისა და მის ბრმად მხარდამჭერთა მტრული დამოკიდებულებისა, საბჭოს მთლიანობაში ეყო გონიერება და ობიექტურობა და მხარი დაუჭირა საგრანანტო თემაზე მუშაობის განგრძობას. ეს აზრი გაიზიარა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან შექმნილმა ხუთი კაცისაგან შემდგარმა საექსპორტო კომისიამაც. მაგრამ მოხდა სრულიად ალოგიკური რამ და შესაბამისი განყოფილების 17 წევრიდან გურამ ყორანაშვილის საპროექტო თემას მხოლოდ ოთხმა დაუჭირა მხარი. აქედან გამომდინარე, იგი ვერ გავიდა.

რასაკვირველია, მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივმა განყოფილებამ ეს მოიმოქმედა მოტივის აღნიშვნის გარეშე. თუმცა ნამდვილი მოტივი ნათელია: პროფ. გურამ ყორანაშვილს არ აპატიეს გიორგი მელიქიშვილისა და აკად. გურამ თევზაძის (განყოფილების გამგის) მხილებანი, საერთოდ, აკადემიის, ვითარცა ბიუროკრატიული და ზედმეტი (არსებული სახით) დაწესებულების მკაცრი კრიტიკა. სამწუხაროდ, აკადემიის პრეზიდიუმი არ დაინტერესებულა საქმის არსით და მანაც მხარი დაუჭირა შესაბამისი განყოფილების გადაწყვეტილებას. ამით კიდევ ერთხელ გამოჩნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უსუსურობა. ფაქტია, რომ ამგვარი ქმედებით დაირღვა შრომითი ხელშეკრულება (სამწლიანი) და ეს საქმე მართლმსაჯულების მიერაა განსახილველი.

მთაწმინდის რაიონული სასამართლო უპრეცედენტო ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, რითაც აიხსნება აღძრული საქმის გაჭიანურება. როგორც იქნა სასამართლოს სხდომა დაინიშნა 29 ოქტომბრისათვის (2 საათისათვის), მაგრამ იგი გადაიდო მოპასუხე მხარის, მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო.

სასამართლოს შემდგომი სხდომა გაიმართება 13 ნოემბერს (დღის 2 საათზე), როგორც მოსამართლე — ბატონი ზვიად ესებუა ამბობს, მომდევნო სხდომა საბოლოო იქნება. ასე რომ, აკადემიის პრეზიდიუმის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც კი საქმე აუცილებლად განიხილება.

ვნახოთ, რა მსჯავრს გამოიტანს ჩვენი თემიდა.

**საკ. კორ.**



# მოვა ის დროც, გამოჩნდება გმირი და იტყვის: არა, ასე ცხოვრება სირცხვილია!..

მეორე გვერდიდან




ვილაცა წამოვიდესო. ერთ თვეში დამთავრდა ჩვენი ომი, მერე დაიწყო ვაჭრობა, ვაჭრობა ომით. ომი ხალხისთვის არის უბედურება, თორემ იმისთვის, ვინც ომს წარმართავს, არის უსწრაფესი, ელვისებური ბიზნესი... და ყველაფრით ვაჭრობდნენ, ნარკოტიკებიდან დაწყებული, ტყვია-წამლამდე, ამბობენ, გაიყიდა აფხაზეთიო. ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ვილაც ერთმა ედუარდმა ვილაც ერთ ვანიას მიყიდა აფხაზეთი. ტყუილია ეს. ასეთი ფორმით არ მომხდარა იქ გაყიდვა. უბრალოდ, პატარ-პატარა გაყიდვები იყო... ღალატი იქ, ღალატი აქ, გაყიდვა პოზიციის, დათმობა პოზიციის, ერთი ალთას, რომ იყო, მეორე — ბალთას და სწორედ ასე გაიყიდა ფაქტობრივად ეს ქვეყანა. ერთობლიობა ვერ გამოვიჩინეთ, თავიდანვე უნდა გვცოდნოდა, მტრის ხელი რომ ერია. სამეგრელოს რომ ხუთჯერ გადაუარ-გადმოუარეს ისევ ქართველებმა, ვისგანაც არ უნდა იყო წაქეზებული, ხომ უნდა იცოდე, სამეგრელოს გადახვნა-გადმოხვნის შემდეგ აფხაზეთში შესული ომს რომ ვერ მოიგებ. სასაცილოა, ეხლა იარალის ტარებისათვის რომ ასამართლებენ ვილაცეებს. სასაცილო არ არის, კიტოვანი ციხეში რომ ზის იმისათვის, აფხაზეთის დასაბრუნებლად რომ მიდიოდა... კიტოვანი ციხეში უნდა იყოს მთელი სიცოცხლე იმ უბედურებისთვის, რაც მან ქართველ ერს თავს დაატეხა. ის თავიდან გამსახურდიას რომ განუდგა, გამსახურდიას კი არა, მთელ საქართველოს განუდგა, ჩვენმა მტერმა კი მშვენიერი დასაყრდენი იპოვა მისი სახით. ეხლა რომ ამბობს, მართალი ვარო, როგორ შეიძლება ის მართალი იყოს, მაგრამ ასე იმიტომ ლაპარაკობს, რომ მასზე უფრო მტყუანები მართავენ ქვეყნის ბედს და მან ეს მშვენივრად იცის, მაგრამ გარწმუნებთ, ყველას ყველაფერი დაეთვლება. მე და თქვენ თუ ვერ მოვესწრებით, ჩვენი შვილები, შვილიშვილები მოესწრებიან. ყველაფერი ითქმება ბოლომდე.

**— როგორ ფიქრობთ, როდის მოიშუშებს საქართველო ამ ჭრილობებს?**

— აფხაზეთის მომავალი დამოკიდებულია ისევ და ისევ ჩვენზე, ჩვენს ხელისუფლებაზე კი არა, როგორც ვამბობთ ხოლმე, ჩვენზე, იმიტომ, რომ ხელისუფლება როგორი იქნება, ჩვენზეა დამოკიდებული. როგორები ვიქნებით ჩვენ, ისეთი სიტუაცია განვითარდება აფხაზეთში. ეს ერთი, მეორეც, როგორი იქნება ჩვენი პოლიტიკური და სტრატეგიული პერსპექტივები ხვალ და ზეგ, რა პოლიტიკას ითამაშებს საქართველო, რა გზით წავა, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი დღევანდელობა დღეს ჰგავს იმას, რომ ერთ კისერზე გვადგას ორი უღელი, ერთი უღელი რუსეთის, მეორე უღელს ჩვენ თვითონ შევუშვირეთ თავი — ჩვენი ე. წ. უცხოელი მეგობარი ქვეყნები, რომელთაც კაპიკის საღირალი არაფერი გაუკეთებიათ აფხაზეთის პრობლემის გადასაჭრელად, დამკვირვებლობის როლს არ გაცილებია მათი ფუნქციები. რას აკვირდებიან ამდენი ხანი, ხომ ყველაფერი ნათელია. ის ფარული ალიანსი, რაც არსებობს, როგორც ჩანს, მხარეებს შორის. აქ ლაპარაკი არ არის მარტო საქართველოზე და რუსეთზე, აქ იგულისხმება რუსეთი და სხვა ქვეყნები... ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით. პატარა ქვეყნების ბედი კი არა, დიდი ქვეყნების ბედი არ წყდება ამ ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებში. წყდება მსოფლიო არენაზე, მსოფლიო ცოტა სხვანაირია დღეს, ვიდრე იყო ორი საუკუნის წინათ. არსებობს საერთო მსოფლიო ინტერესები, საერთო გეგმები და იმ დროს, რომელსაც სსრკ-ს დაშლას ვეძახით, მოჰყვა ახალი მსოფლიო რუკა, გადანაწილება მსოფლიოს ახალი გავლენის სფეროების. არ ვიცით ჩვენ, არც შეიძლება ვიცოდეთ, რა ზონაში ვართ მოხვედრილი და რა გარიგებები ხდება. რაღაც გარიგებები რომ არსებობს, ფაქტია. ეს არ შეიძლება არ იცოდეს ჩვენმა ხელისუფლებამ, მაგრამ ამას ვერ გაუმხელს თავის ხალხს, ვერ ეტყვის, იძულებული ვარ, ასე უნდა გავაკეთოთო. ეს რომ თქვას, მაშინ უნდა გადადგეს, გადადგომა კი არ შეუძლიათ ამათ, ეს რა არის, იცით? ბუზს რომ უთხრა, თაფლით სავსე კასრს არ მიეკაროო, ან თაგვს რომ აუკრძალო, ქერით სავსე ორმოს არ გაეკაროო, ასე არიან ესენიც, აღარ ცილდებიან თავიანთ სავარძლებს, რადგან სწორედ ეს არის მათთვის თაფლით სავსე კასრი და ქერით სავსე ორმოც. ამიტომ, პირველ რიგში, ამათ გაყიდეს აფხაზეთი, მაგრამ მყიდველი არ არის ერთი მხარე, ამაში შევყავართ შეცდომაში, ვითომ ეს არის რუსული მხარე, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ერთი დღე ვერ გაჩერდებოდა აფხაზეთში რუსეთი, სხვა ქვეყნებიდან რომ არ ჰქონდეს დასტური. აი, ასეთი უმძიმესი სურათია აფხაზეთთან დაკავშირებით. რა გითხრათ, რით გაგახაროთ, როგორც იტყვიან.



**— თქვენ წარმოშობით სამეგრელოდან ბრძანდებით და კარგად იცნობთ იქაურ პრობლემებს, რას იტყვით ამ რეგიონში შექმნილ მდგომარეობაზე?**

— საქართველო თუ არსებობს, არსებობს სამეგრელოთი. ხერხემალიაო საქართველოსი, ამასაც ამბობენ... თუ ხერხემალია, შეიძლება საკუთარ ხერხემალს სულ ურტყამდე? სამეგრელოში, თქვენ კარგად იცით, დონის კაზაკები არ შესულან. შემოვიდნენ ქართველები, რომელთაც წინ მიუძღოდა ვინ? ისევ ქართველი. რა იყო, რა მოხდა, რაში იყო საქმე? ამის ახსნა ძალიან კარგად შეიძლება. სამეგრელოს არაერთი დაწიოკების შემდეგ მოყვა აფხაზეთის ომი, ე.ი. ვილაცას ძალიან კარგად ჰქონდა გათვლილი, როგორც ფორპოსტი, როგორც ციხე-სიმაგრე, სამეგრელო უნდა ჩამოეცილებინათ დანარჩენი საქართველოსთვის, ვინაიდან ხსოვნაც არსებობდა ლალიძგის. საჭირო იყო ჩამოშორება და ჩამოაშორეს კიდეც. ეს არაფერი არ იცოდა იმ ტლუ, რეგვენმა ქართველმა, რომელიც იქ მიდიოდა და თქვენი არაქართველი დედაო, მეგრელებს რომ აგინებდა. ის აზრზეც არ იყო, რა შეიძლებოდა მოყოლოდა მის ამ საქციელს, მაგრამ ვილაცამ ხომ იცოდა... ეს უკვე გამოაშკარავებული საქმეა, რომლის არც პატიება შეიძლება და არც დავიწყება, მაგრამ ისევ სამეგრელომ უნდა უშველოს საქართველოს, როგორც მან უკვე ეს არაერთხელ გააკეთა. სამეგრელო არის ქართველი ერის შემადგენელი ნაწილი. ქართველი, როგორც ასეთი ცალკე არსად სახლობს, ქართველი ცალკე არ არსებობს, ქართველი გამაერთიანებელი სახელია, ჩვენი ეროვნულობის ნიშანია. ქართული ენა სწორედ იმ მეგრულისაგანაც, თუშურისგანაც, სვანურისგანაც და ა.შ. შედგება. ჩვენ, უბრალოდ, ქართული არ ვიცით კარგად. ჩვენ გვგონია ვიცით, მაგრამ არ ვიცით. ქართული ენა კრებითი ენაა და თავის წიაღში აერთიანებს ყველა იმ დიალექტს, რამდენი კუთხეც არსებობს. არა მგონია მეგრელმა კაცმა არ გააცნობიეროს, თუ საიდან მოდის იმ უბედურების სათავეები, რაც მის თავზე დატრიალდა...

**— ელიავას ამბოხი სამეგრელოს „ჭირს“ ხომ არ მიემატება...**

— ელიავას ე.წ. ამბოხი არანაირად არ უკავშირდება სამეგრელოს სახელს, ამ ფაქტის გამომწვევი მიზეზები ცოტა სხვაგან უნდა ვეძებოთ, სენაკიდან ქუთაისამდე და უკან, ქუთაისიდან სენაკამდე გასეირნება და მერე მისი უკვალოდ, თვალსა და ხელს შუა გაუჩინარება ბევრ ეჭვს ბადებს... დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვით.

**— ბატონო ვახტანგ, თქვენი აზრით, საქართველო როდის დააღწევს თავს ამ უბედურებას, როდის გამოფხიზლდება და როდის გამოერკვევა...**

— სიმართლე გითხრათ, მე დიდად არ მეიმედება, რომ ქართველი ერი თავისი ძალებით დააღწევს თავს ამ უბედურებას და თვითონ გამოჭედავს თავის ბედს და იღბალს. მე უფრო ბედნიერი შემთხვევის ან განგების წყალობის იმედი მაქვს, ვიდრე რეალურად ჩვენი ძალებისა. ღმერთმა თუ გვიხსნა, თორემ ჩვენ არაფრის გამკეთებლები რომ არა ვართ, დიდი ხანია დავამტკიცეთ და აქედან გამომდინარე, ჩემი დასკვნები ცოტა პესიმისტურია.

**— უარესი დღეებიც გათენებია საქართველოს, მაგრამ გადავრჩით...**

— ამაზე უარესი, დღეს რომ არის საქართველო ალბათ არ ყოფილა, მასობრივად უარესი შეიძლება ყოფილიყო თითო-ოროლა მოღალატე, უზნეო პირი, მაგრამ როცა ერი ამბობს თავის ტრადიციებზე, თავის ზნეობრივ პრინციპებზე უარს, განწირულია. ჩვენ, სხვათაშორის, გვიწინასწარმეტყველეს, რომ თქვენ ხართ ლუარსაბ თათქარიძის შთამომავლები. ლუარსაბს და დარეჯანს შვილი არ ეყოლათ, არც შეიძლებოდა მათ შთამომავლობა და მომავალი ჰქონოდათ. ეს გვითხრა იმ დიდმა კაცმა, რომელიც ჩვენ ჩვენივე ხელით მოვკალით. გვითხრა, თუ თქვენ ასეთები იქნებით, არ შეიძლება მომავალი გქონდეთო და მიდის კიდეც იქითკენ საქმე. ჩვენი ნიჭიერება და ენერგია მოვახმარეთ ერთმანეთის ჩაძირვას, ერთმანეთის დაღუპვას, გადავკიდეთ სოფელი-სოფელს, კუთხე-კუთხეს, უბანი-უბანს. ეს ხომ უმსგავსობაა, შეიძლება ერი ასე ცხოვრობდეს? მე-20 საუკუნე მთავრდება, კიდევ რამდენი უბედურება უნდა გადავიტანოთ, რამდენი რამ უნდა ვისწავლოთ, რომ ამ შეცდომებისგან დასკვნები გამოვიტანოთ. დღეს ჩვენ ვართ ერი, რომელიც ერთი და იგივე ორმოში შეიძლება ორმოცდაათჯერ ჩახტეს. ამოვბობღდებით, ისევ ვვარდებით... რატომ უნდა გვიშველოს ვილაცამ, სულ ვილაცის მოლოდინში რომ ვართ, სულ ვილაცას ველოდებით მხსნელად. ამერიკელს? გერმანელს? საკუთარ შვილს არ გაუცინებენ ეგენი, თუ რაღაც სარგებელს არ გამოელიან და მეტი საქმე არა აქვთ, მოვიდნენ იმიტომ, რომ თავქარიანი ქართველები იხსნან. არ დაიჯეროს ეს არავინ. ისინი მოვლენ ჩვენს დასახსნელად კი არა, როგორც სავაჭრო ობიექტზე, როგორც ბაზრის დასაპყრობად და მოსულები არიან კიდეც. რაც არ უნდა შეალამაზონ, გვეხმარებიანო, არაფერსაც არ გვეხმარებიან, მიდის დაკაბალება ჩვენი ეროვნული ეკონომიკის, კიდევ უფრო ჩაწიხლვა, დამუხრუჭება და ვზივართ ვალებში. 2 მილიარდი გვაქვს უკვე გადასახდელი, ამას კიდევ მიემატება და მალე ჩვენ ვიქნებით ბატუსტანის ტიპის ქვეყანა — ვიქნებით სულ ვალებში. ვალს არ დაგვიტოვებენ, უკვე ამოღებულიც აქვთ, თუ დავიანგარიშებთ, სხვა საზომებში თუ გადავიყვანთ. ასეა ჩვენი უბედური ყოფის ამბავი. ჯობს სიმართლე ვუთხრათ ერთმანეთს, სიმართლე კი, მწარე სიმართლე ეს არის. საზოგადოებამ თუ არ მოიკრიბა ძალა, თუ არ თქვა, ასე ცხოვრება არ შეიძლება, არ შეიძლება თავი გადავაყლაპინოთ ას თუ ორას არამზადას, რომელიც ჩვენგანვე წართმეული ფულით ისევ ჩვენს ყიდვას აპირებს, მთელი საქართველოს ყიდვას აპირებს... ეს ხომ არ არის სახელმწიფო, ზოგი ვილაცას უდგება მონად, ზოგთან ჩუმ-ჩუმი გარიგებები მიდის და მალე ჩვენგან ბუნდლა არ დარჩება. საქართველოს პრეზიდენტი ვარო, რომ ბრძანებს ედუარდ შევარდნაძე, კი ბატონო, ავირჩიეთ პრეზიდენტად, მაგრამ თვითონაც ხომ უნდა გამხდარიყო პრეზიდენტი, მთელი ქვეყნის პრეზიდენტი. დღეს საქართველოს იურისდიქცია მისი ტერიტორიის მესამედზე არ ვრცელდება. შეიძლება ამას ნორმალური სიტუაცია ეწოდოს? პრეზიდენტი იყო ზვიად გამსახურდიაც. ავირჩიეთ, ბატონო, პრეზიდენტად, მაგრამ რომ აგირჩიე და ხელისუფლება ჩაგაბარე, ხომ უნდა დამიცვა, უნდა დაიცვა ჩემი ინტერესები, რომელსაც წარმოვადგენ მე — მოქალაქე და როდესაც ჩემს თავისუფლებას, ჩემს დამოუკიდებლობას, ჩემს ღირსებას ემუქრებიან, შენ კეთილი უნდა ინებო, პრეზიდენტი რომ ხარ და ეს უნდა აღკვეთო, ამისთვის აგირჩიე. შენ ის კი არ უნდა თქვა, იმათ ტყვიები გვესროლონ და ჩვენ ყვავილები ვესროლოთო, კი მაგრამ, ვისი უფლებით იძახი, ყვავილები ვესროლოთო, ჩემი უფლებით? მე როდის გითხარი, ყვავილები ესროლე, როცა კაცი ტყვიას მესვრის, ჩემს დამოუკიდებლობას ესვრის ტყვიას, შეიძლება ამის შემდეგ შენ პრეზიდენტი გერქვას? არ შეიძლება. აი, ასეთი უბედურებაა ერთიც და მეორეც.

ასე რომ, ისევ დავუბრუნდეთ „ვინ აღჩნდეს გმირი“, რომ ამბობს ჩვენი წინაპარი ... მის ნატვრაშია ილია, აკაკი. მათ იციან, რომ გმირი სჭირდება ქართველ კაცს, თავდადებული გმირი... გმირები კი ყოველდღე არ იბადებიან... მოვა ის დროც, გამოჩნდება გმირი და იტყვის: არა, ასე ცხოვრება სირცხვილია...

ესაუბრა
**იზოლდა ცირდავა**

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბ-ნ ზურაბ ჟვანიას გორის რაიონ სოფელ ძევერის საშუალო სკოლის პედაგოგთა ერთობლივი განცხადება

ძევერის საშუალო სკოლის პედაგოგებს ხუთი თვის მანძილზე არ მიგვილია კუთვნილი ხელფასი, რის შესახებაც არაერთხელ მივმართეთ როგორც ადგილობრივი საკრებულოს ხელმძღვანელობას, ასევე გორის მერიას. მდგომარეობა დღემდე უცვლელია.

პედაგოგებსა და მოსწავლეებს არა გვაქვს მინიმალური პირობები მუშაობისათვის. არა გვაქვს სინათლე და სასმელი წყალი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მოთხოვნაზე ადგილობრივი საკრებულოს ხელმძღვანელობის პასუხი ასეთია: „ვისაც არ გსურთ მუშაობა, დაიხურეთ ქუდები და მიბრძანდით“; ამიტომ ჩვენი კოლექტივის ზოგიერთი პედაგოგი, რომელთა საარსებო პირობებიც დამოკიდებულია ხელფასზე, იძულებულნი გახდნენ დატოვონ სამსახური.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ზემოთაღნიშნული მდგომარეობა და მიიღოთ სათანადო ზომები.

1. თ. ბუხრაძე
2. მ. აკოლაშვილი
3. მ. კოლიაშვილი
4. ჯ.მ. რაბიშვილი
5. ნ. ბუხრაძე
6. გ. ბიწაძე
7. იზ. ელიკაშვილი
8. თ. ინაური
9. ინ. ხუციშვილი
10. მ. ზედგენიძე
11. ნ. ჯავახიშვილი
12. თ. მურალოვი
13. ნ. კოლიაშვილი
14. ე. მჭედლიძე
15. ნ. ჯავახიშვილი
16. ე. მორბედაძე
17. ლ. მახანაშვილი

*ახალი წიგნები*

## პოლიტოლოგიური დიალოგი

ახლახანს მკითხველმა მიიღო შესანიშნავი წიგნი „პოლიტოლოგიური დიალოგი“, რომლის ავტორი გახლავთ ბატონი **ვლადიმერ ჭანუყვაძე**, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. წიგნის რედაქტორია პროფესორი **ომარ გოგიაშვილი**, რეცენზენტი — პროფესორი **ირაკლი რეხვიაშვილი**. წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და მასში მიმოხილულია პოლიტიკური ცხოვრების




ყველა ასპექტი, გაანალიზებულია თითქმის ყველა პოლიტიკური ტერმინი — კონსტიტუცია, პარლამენტი, პოლიტიკური ელიტა, რესპუბლიკა, მონარქია, სამოქალაქო საზოგადოება, პოლიტიკური რეჟიმები, პარტიები, პოლიტიკური ლიდერი, პრეზიდენტი, სასამართლო ხელისუფლება, სახალხო დამცველი და ა. შ.

**წიგნით დაინტერესებულ მკითხველს მისი შეძენა შეუძლია ქალაქის წიგნის მაღაზიებში**

# რას ვაშენებთ — ისევ ბაბილონის გოდოლს თუ ეროვნულ სახელმწიფოებს?

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №64

ერთ ადამიანს, ცალკე აღებულს, ანუ ჩვენს მიერ დღესდღეობით ესოდენ განდიდებულ „პიროვნებას“, არავითარი უფლება არა აქვს და არ შეიძლება ჰქონდეს, უფლება იწყება მე და შენიდან და ასე „ჩვენობით“, ვიდრე ზოგადად კაცობრიობამდე. ეს ჩვენი „ტკბილქართული“ „ცამდე სიმართლეც“, როგორც ჩანს, სწორედ ამ „ჩვენობის“ უფლების განუხრელი დაცვაა უკლებლივ ყველა საფეხურზე და არა რომელიმე პიროვნების, პიროვნული ოჯახის, პიროვნული ქვეყნის, პიროვნული სახელმწიფოს ინტერესებისა.

პოლ ელუარს აქვს ერთი ასეთი პატარა, ჩემი აზრით — ყოვლად წინასწარმეტყველური, ლექსი:

„ცალ-ცალკე მიზანს ვერ მივაღწევთ, მხოლოდ — ორ-ორნი,
ოდეს ორ-ორნი გავიცნობთ ერთმანეთს, ერთმანეთს გავიცნობთ ყველა,
ყველას გვეყვარება ერთმანეთი და ჩვენი ბავშვები იცინებენ
იმ შავ-ბნელ ლეგენდაზე, სადაც გულამოსკვნით ტირის მარტოსული.“

თუ დაკვირვებიხართ — შე შეჩვენებულოო — კაცი კაცს რომ ეტყვის ჩვენში, ამას ყოველთვის ხუმრობით ეუბნება. მე ვფიქრობ, ეს სიტყვა ამოსავალში ნატურალიზაციასაც უნდა ნიშნავდეს და იმიტომ. ის, ვისაც ამა თუ იმ მიზეზით თავის საკუთარ ჩვენობაში აღარ დაედგომება, სხვაგან მიდის და იმ სხვათა ჩვენობას „უჩვენდება“. დრო სჭირდება, რა თქმა უნდა, ამას, ერთსა და ორ თაობაში არა ხდება ალბათ ეს და აი, ასეთი ადამიანია, როგორც ჩანს, „შეჩვენებული“ მანამ, სანამ ამ თავისი ახალი ჩვენობის სრულუფლებიანი წევრი გახდებოდეს. საბჭოთა რესპუბლიკებში აი ამგვარი „შეჩვენების“, ერთი ჩვენობიდან მეორეში გადასვლის, ანუ მოქალაქეობის ნატურალიზაციის [illegible] „მონაპოვარი“ ახლა ზოგიერთ ჩვენგანს იმას აფიქრებინებს, რომ ეროვნულობა [illegible] მოვლენაა.

[illegible]

შეარდნაძემ [illegible] დედამიწელების სადღეგრძელოს [illegible] — ვიცინით ამაზე. [illegible]

გურულმა [illegible] — გაუმარჯოს საქართველოს გურიაში — [illegible] გაუმარჯოს აფხაზეთს საქართველოში. [illegible]

[illegible] „მერვამ(?) 150 [illegible] ... 150 [illegible]

[illegible]

ასე, ყველა ადამიანი რომელიმე „ჩვენის“ ნაწილია და ამ თავის ჩვენობას უნდა წარმოადგენდეს ღირსეულად ყველა თავის მომდევნო ჩვენობაში (რისი გაკეთებაც მოიწადინა შერვაშიძემ და მისმა რაზმმა), ყველა ჩვენობა თავის წინამორბედ ჩვენობას უნდა მიაგებდეს პატივს და მის უფლებას უნდა იცავდეს (რაც არ გააკეთა ვ. ჯუღელმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით), უამისოდ ყველა „ერთი ჩვენგანია“, „თავის უფალი“ და „უცხო“ — ალბერ კამიუს „უცხოზე“ მოგახსენებთ ამჯერად, ადამიანის ლამის საყოველთაო გაუცხოებაზე და გათითოკაცებაზე ზოგადად კაცობრიობისა, უწინარეს ყოვლისა კი, დიდად სამწუხაროდ, მისი სწორედ ყველაზე ცივილიზებული ნაწილისა.

„რომელსა არა უყვარდეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, შეჩვენებულ იყოს, მარანათა“ — (1 კორინთელთა — 16.22) სიტყვა „შეჩვენებულს“ აქაც, ცხადია, წყეულის მნიშვნელობით ვკითხულობთ და „მარანათაც“ ამიტომ წყევლის ფორმულა გვგონია. არადა, „მარანა თა“ — სიტყვასიტყვით „მოვალს უფალიო“ — ამას ნიშნავს. უფლის მოვლინების პირობაა ეს — უფალი მაშინ მოვალს, თუ ყველა შეჩვენდებით, ანუ ერთ „ჩვენად“ იქცევით მიუხედავად იმისა, გიყვართ თუ არა და გწამთ თუ არა დღეს უფალი ჩვენი იესო ქრისტეო — აი, ამას გვეუბნებიან, მაგრამ არა გვჯერა. ასე ხომ მარტო ქართული ტექსტით შეიძლება ამისი ახსნაო — ვიტყვით. „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა არს დამარხულიო“ — ვიტყვით ალბათ ამასაც, მაგრამ ჩვენ თვითონვე არ გვეყოფა სასაცილოდ არც ეს.

არადა, დაუკვირდით, ჭეშმარიტება ხომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგეს ყველაფერზე და, ესე იგი, სამშობლოზეც მაღლა? ყველაფერზე მაღლა ჭეშმარიტება მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, როდესაც ის ყოვლისმომცველია, ხოლო ის, რაც ყოვლისმომცველი არ არის, არც ჭეშმარიტებაა. სახელმწიფო ვიდრე არსებობს, იგი მხოლოდ ეროვნული შეიძლება იყოს. ერთადერთი ალტერნატივა სახელმწიფოსი კი სწორედ ეს საყოველთაო ჩვენობაა.

„ნუ იყოფინ, რამეთუ ვითარმედ საჯოს უფალმან ქვეყანა“ — ეს ხომ ყველა ენაზეა ასე ნათქვამი და ასე იკითხება, მაგრამ არც ამისი გაგება გვინდა და საერთოდ არა გვცალია საამისოდ.

მსოფლიო წესრიგი „მე და შენიდან“ იწყება, ოჯახიდან და ქვეყნიდან. მსოფლიო წესრიგის გარანტი მხოლოდ მსოფლიო კონსტიტუცია შეიძლება იყოს. გვაქვს ეს მსოფლიო კონსტიტუცია, ეს ღმრთივ ბოძებული უზენაესი კანონი, ყველამ ზეპირად ვიცით, განსაცვიფრებლად მარტივად, მკაფიოდ და მოკლედ არის აქ ყველაფერი ნათქვამი, არცერთი სიტყვის დამატება არ უნდა და არც გამოკლება შეიძლება — „ათი მცნება“ ჰქვია.

არავითარი ალტერნატივა ამას არა აქვს და არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ვაი, რომ „არა ვიქმთ, ცოდნა რას გვარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“.

ამასობაში კი თავის საკუთარ ანტიჩვენობას ქმნის სწორედ ის, ვინც ათივე მცნებას ყოველ ფეხის ნაბიჯზე არღვევს და თავისი ამ ყოვლად გაუკუღმართებული ჩვენობით უკლებლივ ყველა ღმრთივ ბოძებულ ჩვენობას უპირისპირდება — „კოზა ნოსტრა“, არცერთ ენაზე აღარა სჭირდება უკვე ამ სიტყვებს თარგმნა, ყველამ ზეპირად ვიცით, რასაც ნიშნავს და ყველა მშვენივრად ვხედავთ იმასაც, რომ ვერავინ და ვერსად ველარ ვერევით უკვე ამ ანტიჩვენობას.

არის ერთი ასეთი ფრანგული კინოფილმი — „არავისი ქალები“. აი, ამ ჩვენობასა და ჩვენობებს მოწყვეტილი, არავისი ქალებისა და არავისი კაცებისაგან შედგება ეს „კოზა ნოსტრა“ დღეს ყველა ქვეყანაში.

ინტეგრაცია, რა თქმა უნდა, აუცილებელია, საყოველთაო ჩვენობა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამას გულისხმობს, ნებისმიერი ჩვენობა უეჭველად საკუთარ წვენში ჩაიხრჩობა უამისოდ და ეს ხდება სწორედ დღეს მთელს მსოფლიოში, მაგრამ იქ, სადაც ამ ღმრთივ ბოძებულ ჩვენობასა და ჩვენობებს მოწყვეტილი არავისი ადამიანები და ამ არავისი ადამიანებისაგან შემდგარი საზოგადოებები ეჩვენებიან ერთიმეორეს, მოჩვენებების ალლუმი იწყება და აღარცერთი ჩვენობა აღარ გვყოფნის უკვე სასაცილოდ — დედმამას წინაპრებს ვეძახით და შორეულზე შორეულ წარსულში ვუბნევებთ ადგილს, ვითარცა უიმედოდ ჩამორჩენილთ, დედმამიშვილების სადღეგრძელოზე ვიცინით და იქვე ათასნაირ საქმოებს ვიგონებთ, თავის უფლებას ჩვენსას ცოლქმრობითაც აღარ ვიზღუდავთ უკვე და სექსუალურ პარტნიორობას ანუ სიძვასა და მრუშობას ვარქმევთ სიყვარულს, ნათესაობისა გვრცხვენია, სოფლელობისა გვრცხვენია, კუთხურობისა გვრცხვენია, ეროვნულობისა გვრცხვენია, სასაფლაოებზეც მხოლოდ იმიტომ თუ გავდივართ, რომ ერთიმეორეს მოვეჩვენოთ, აღარც „მარადიული მეგობრები“ გვყავს და მხოლოდ „მარადიული ინტერესები“ გვამოძრავებს მუდამ იმ ქალაქში, რომელსაც ყველა სათავისოდ ვიჩემებთ, გავლენის სფეროებად ვყოფთ და უმოწყალოდ ვჭოცავთ მერე ერთიმეორეს ამ გავლენის სფეროებისათვის, სხვები ვართ უკვე ყველა და, რაღა თქმა უნდა, რომ ბრძენიც ყოველთვის სხვა არის ამ თითქოსდა გაჩვენებურებულ სხვათა ომში. ინტელექტუალები, არიფები, გოიმები, ქაჯები და სხვა უბირნი („უბირი“ გადაუბირებელს ნიშნავს ქართულად, იმას, ვისი მოხიბლვაც არ ხერხდება. „ბირება“ სწორედ



მოხიბლვის მნიშვნელობით არის მოტანილი ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში( უნებლიე „ჩამშვებები“ არიან ყველანი და მათი პოლიტიკაში გარევა ყოვლად დაუშვებელია. აი, „ინტელიგენცია“ და კონიუნქტურის სხვა გადამკიდენი, კი ბატონო, ჩათრევას ვინც ჩაყოლას ამჯობინებს, ეს ხალხია მუდამ და ყოველთვის ჩვენი დასაყრდენი.

მოჩვენებების სამყაროში ვცხოვრობდითო — წერდა მერაბ მამარდაშვილი სსრკ-ს გამო და, ცხადია, მართალი იყო, მაგრამ მოჩვენებები თქვენ ახლა იმ „თავისუფალი სამყაროსი“ იკითხეთ, რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო მკაფიოდ რომ იკვეთება ჩვენს თვალსაწიერშიც.

„ეტრ“ და „პარეტრ“ — აი, ამ ორი ფრანგული სიტყვის თამაშიც აისახება დღესდღეობით ამ არავისი ადამიანის პრობლემა, რასაც დასაბამი ომებისა და რევოლუციების გარდა, ინგლისის უმაღლესი საზოგადოების წიაღში აღმოცენებულმა „დენდიზმმაც“ დაუდო თავის დროზე. ის, რაც დასავლური კულტურისა და ცივილიზაციის აწ უკვე შეუიარაღებელი თვალით დაუნახავ მიჯნაზე სახალისოდ გამოიყურებოდა, დღესდღეობით შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს, უწინარეს ყოვლისა, სწორედ დასავლური კულტურისათვის.

თუკი რაიმე მეტყველებს ჩვენს ევროპიელობაზე, უწინარეს ყოვლისა, ეს ამბავი ალბათ, რადგან ყველაზე თვალში საცემი მახასიათებელი დღესდღეობით სამწუხაროდ, სწორედ ეს არის ქართული მენტალიტეტისაც. ეგოეთ წოდებულ „დახურულ საზოგადოებაში“, როგორიც სსრკ იყო, ჩვენც დიდად სახალისოდ გვიჩანდა ეს ამბავი, მაგრამ იმ თავისუფალ სივრცეში, საითკენაც ახლა მივისწრაფვით, უეჭველად დიდ პრობლემებს შეგვიქმნის, როგორც ერს, რადგან „აკრძალული ხილი“ ყველაზე უხვად ყველაზე დიდ ქალაქში მოდის ყოველთვის.

ყველა მარტოსული, რა თქმა უნდა, ჭამაშიაც ცოდვაა, მაგრამ ამავე დროს საშიშიც არის. ყველაზე უფრო ცოდვა კი ის საზოგადოებაა და ის ცივილიზაცია, რომელიც მარტოსულობის უფლებას აძლევს ადამიანს და დიდ ღირსებად მიაჩნია მისი ამ უფლების დაცვა.

„თავის უფალი“ იმიტომ არის გიჟი, რომ მარტოა, ქორწილში თუ შევიდა — „ჩემს სახლს ესა სჯობიაო“ — იტყვის, პატარძალთან დამაწვინეთო — შეიძლება ესეც მოითხოვოს და მე ძალიან მაინტერესებს, ვისი უფლება უნდა დაიცვას ყოველივე ამის შემყურე საზოგადოებამ, თავი რომ არ მოიჭრას უნებლიედ დემოკრატიული მსოფლიოს თვალში?

სხვისი ჭირი —ღობეს ჩხირიო, ნათქვამია და ყველა თუ სხვად ვიქეცით, ამ ჭირს ვიღა მიიტანს გულთან?

ყაჩაღი, რომელიც სხვაა, რა თქმა უნდა, წაგართმევს ყველაფერს, რაც გაბადია, ვაჭარი, რომელიც სხვაა, მოგატყუებს, მათხოვარს, რომელიც სხვაა, შენ თვითონვე უნდა მისცე რაც შეგიძლია, მაგრამ როცა ახლობელს („მეგობარ სახელმწიფოებზე“ არას ვამბობ ამჯერად) ეხმარები, ისე უნდა დაეხმარო, რომ ფეხზე წამოდგომა შეიძლოს და მერე შენი დახმარებაც შეიძლოს, თუ დაგჭირდა. სასაცილოა, მაგრამ სწორედ უანგარობაზე მოგახსენებთ.

დღეს ყველა ერთიმეორეს შევტირით — ეჰ, რას იზამ, ყველა ერთ დღეში ვართო; არა ვართ ყველა ერთ დღეში, მადლობა ღმერთს, რომ აღარა ვართ, მაგრამ ხელმომართული თუ ხელმოცარულს არ ამოუდგა მხარში, შეიძლება მალე მართლა ერთ დღეში აღმოვჩნდეთ ისევ. ერთი დრო, ცხადია, არავის შერჩენია და იქ, სადაც არავინ არავის არ აძლიერებს, ყველა სუსტდება.

შიში ვერ იხსნის სიკვდილს, მაგრამ სიყვარულს კი შეიქმსო — გვეუბნება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. ისევ ამ შიშმა უნდა აგვიხილოს თვალი — „გიყვარდეთ მტერნი თქვენნიო“ — ამას „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“ შემოგვღაღადებს.

მტერი და ამავე დროს მოყვასი, რომელსაც ყველაზე ძალიან უჭირს, სწორედ ეს არავისი ადამიანია. მეტნაკლებად არავისი კი, სამწუხაროდ, ყველა ვართ უკვე დღესდღეობით. „ზვარაკი ჭამებული“ ჯერ კიდევ შეიძლება ალბათ დაგვიკლან აქა-იქ ჩვენს თავდაპირველ ჩვენობებში, მაგრამ ამ „უძღებ შვილთაგან“ რამდენი გავიგნებთ გზას მამისეული სახლისაკენ? ისევ იმ ჩვენობებს უნდა შევეჩვენოთ, როგორც ჩანს, ყველა, სადაც ამჟამად ვცხოვრობთ და რომლითაც ასე ჯიუტად ვუპირისპირდებით „თავის უფლების“ ამ ყოვლად საარვისო და ღმრთის უნებური მოთხოვნით.

ძველთაძველი სიბრძნე — რომელ ქვეყანაშიც მიხვალ, იმ ქვეყნის ქუდი უნდა დაიხუროო — დღეს უკვე აღარა ჭრის, რადგან ცივილიზაციის განვითარების დღევანდელი დონე მაქსიმალურად უზრუნველყოფს მის საყოველთაობას და სულ უფრო და უფრო ემსგავსება გარეგნულად ერთი ქვეყანა მეორეს. ეს გარემოება ფიზიკურად მართლაც ძალიან აახლოვებს ადამიანებს, მაგრამ ამავე დროს ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებული კულტურებისა და ამ კულტურების მატარებელ ადამიანთა კულტუროსნობის განსხვავებულ დონეთა უმძაფრეს დაპირისპირებას იწვევს, რაც ბოლოსდაბოლოს მეტნაკლებად საყოველთაო უკულტურობას შობს. გამოდის, რომ თანამედროვე ცივილიზაციის ყველა მონაპოვარი არსებითად აი, ამ ჩვენობასა და ჩვენობებს მოწყვეტილი, „თავის უფალი“, არავისი და, ესე იგი, უკულტურო ადამიანების ხელშია მეტნაკლებად ყველა ქვეყანაში.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ცნებათა შედარებითობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. არც ის იწვევს ეჭვს, რომ არაფერს, რაც შედარებითია, საზღვარი არა აქვს, საზღვარი არა აქვს, ესე იგი, არც ამაღლებასა და არც დაცემას ადამიანებისას — მჯობნის მჯობნი, მოგეხსენებათ, არ ილევა და ყველა ადამიანი სჯობია მასზე უარესს.

ადამიანის ამაღლებაცა და დაცემაც ერთნაირად ილუზორულია, ესე იგი, ორივე და ამ შედარებითობის რეალური შედეგი ყოველთვის ადამიანის დაცემაა ამიტომ. წუთია, წუთისოფელი და საწუთრო, მოგეხსენებათ, ეს ცხოვრება, პრასი ხომ არა ხარ ადამიანი, მეორეეჯერ რომ ამოიყარო და ამიტომ, რასაც მოახელებ, ყველაფერი ყოვლგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეიძლება მიითვისო. მარტო იმისი გათვლაა საჭირო, რომ მოსალოდნელი სასჯელი დიდად არ აღემატებოდეს სარგებელს. ყველაზე დიდი სათნოება კი ასეთ ვითარებაში, უეჭველად ის არის, როდესაც ამ მოსალოდნელი სასჯელის საშიშროებასაც უგულებელყოფ „თავის უფლების“ გადამკიდე და ამას — არც მეტი, არც ნაკლები — ღმრთის სიყვარულს უკავშირებ.

აი, ასე კვდება ღმერთი და ადამიანი კარგავს იმ ერთადერთ ორიენტირს, რაც მის ამქვეყნიურ ცხოვრებას აძლევს აზრს.

ღმერთი, ანუ აბსოლუტი, ანუ ჭეშმარიტება და ანუ სიყვარული არის „ჩვენ“. საყოველთაო ჩვენობის ლოგიკა კატეგორიულად გამორიცხავს იმას, რომ ერთი „ჩვენ“ მეორეს ედრებოდეს, მეტოქეობდეს, ან პირველობდეს, უკლებლივ ყველა „ჩვენ“ ერთნაირად და განუხრელად მეორეობს, ანუ იმეორებს იმ ერთსა და ერთადერთ „ჩვენს“, რომელმაც „სახედ თვისად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი“.

ჩვენი თანამედროვე ადამიანი, ცხადია, ვერავითარ შემთხვევაში ვეღარ იტყვის და აღარ იტყვის უკვე უარს ცივილიზაციის მონაპოვარზე, მაგრამ უნებლიედ შეიძლება დაკარგოს ყოველივე, თუ აი, ამ ორ „ჩვენს“ მორის განსხვავება ვერ დაინახა უკლებლივ ყველა საფეხურზე, ყველამ, უწინარეს ყოვლისა, თავის საკუთარ ჩვენობასა და, ესე იგი კულტურას არ მიხედა და სასაცილოდ აიგდო ყველაფერი, რაც კაცობრიობას „მოუგონია“ დემოკრატიამდე და დემოკრატიის გარდა.

თამაში ბავშვობაში, რა თქმა უნდა, კარგია, ბუნებრივი და აუცილებელი, მაგრამ იქ, სადაც ბავშვობის ამ უზრუნველ ხანას ვეღარავინ ვეღარ ელევა, ეგრეთ წოდებული „დიდი ბავშვები“, ადრე თუ გვიან, უეჭველად მახათს იყრიან ერთ ადგილას, სულ ახალ-ახალ თამაშებსა და თამაშის წესებს იგონებენ. სიკეთე, ანუ კეთება აღარ არის რენტაბელური და სიფუჭე, ანუ გაფუჭებას და, ესე იგი, ამაოდ ყოფას იმისას, რაც უკვე კეთილია, ანუ გაკეთებული, მოაქვს მოგება. ჩნდება ახალ-ახალი პროფესიები, რომლებიც არსებითად ჩვენს კაცში არღატევას ემსახურებიან და ვიწრო სპეციალიზაციის გზით იხვეწება ჩვენი პროფესიონალიზმი, მაგალითად, გენურ ინჟინერიაში. არადა, გაიხედეთ, რა ხდება ამ დროს ამქვეყანაზე — იარაღის ბიზნესი, ნარკობიზნესი, სექსბიზნესი, შეკვეთილი მკვლელობის ბიზნესი... არ ვიცი, რომელი რომელს უსწრებს მომგებიანობის თვალსაზრისით, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაზე შემოსავლიანი სწორედ ეს არის დღეს, ამაზეა, ესე იგი, დღეს ყველაზე დიდი მოთხოვნილება მთელს მსოფლიოში. განა თუ გენური ინჟინერიის წახმარება უნდა კიდევ ამ ვითარებას? როგორ ფიქრობთ, რაში გამოიყენებს ამ გენურ ინჟინერიას არავისი ადამიანი?

„ხელოვნური სამოთხეებიო“ — ჯერ კიდევ როდის წერდა ამაზე „ყველაზე მნიშვნელოვანი ფრანგი პოეტი“ (პოლ ვალერის სიტყვებია), ქრისტიანული მორალის პრინციპებით აღზრდილი ასპროცენტიანი ბურჟუა, ანუ ქალაქელი, „მსოფლიო მოქალაქე“ და ხელმოცარული დენდი, საწყალი მარტოსული შარლ ბოდლერი... რევოლუცია იმას არ დაკლებია, ნარკოტიკები და ათაშნგი და მაინც, ყოველივე, რასაც ის მოესწრო და რაც თავის „პირმოთნე მკითხველს“ დაანახა, მართლა „ყვავილები“ აღმოჩნდა მხოლოდ ბოროტებისა, ნაყოფს კი ჩვენ ვიმკით დღეს, დღევანდელი კაცობრიობა, მეტნაკლებად დამსახურებულად და მეტნაკლებად უდანაშაულოდ.

ჩვენში ბევრი ვერ ხედავს ამას ჯერჯერობით, რადგან ჩვენი „ამაოების ბაზარზე“ ეს ნაყოფი მასიურად ახლაღა შემოდის.

სიკეთე, რა თქმა უნდა, არავითარ ცნობისმოყვარეობას არ იწვევს არასოდეს, რადგან ბუნებრივია და უეჭველად თანდაყოლილი. ჩვენს ცნობისმოყვარეობას ყოველთვის, უწინარეს ყოვლისა, სიკეთისაგან მოკლება და სიკეთისაგან მოკლებული ადამიანები აღვიძებენ. რაც უფრო მეტად არის ადამიანი მოკლებული სიკეთეს, მით უფრო საინტერესოა, მიმზიდველი, წარმტაცი და რომანტიკული. „აკრძალული ხილის“ საცთური თავისას შვრება, ჩვენ კი ვერა და ვერ მოგვიხერხებია ზრდის დასრულება.

ჩვენი ამირანიც იმიტომ არის დღემდე მიჯაჭვული კავკასიონის კალთებს, რომ ვერა და ვერ მიმხვდარა ღმერთთან დაჭიდების აბსურდულობას.

ამირანი ებრძვის სწორედ გიორგისაც, იმ გიორგის, რომელიც არის „ღმერთი ჩვენი“ (ივანე ჯავახიშვილს აქვს ეს გამოკვეული) და ვისი სახელიც გვქვია ჩვენ და ჩვენ ქვეყანას ყველა ენაზე.

„ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო“.

„იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდაო“ — აი, ამ რიტორიკული კითხვით იწყებს ქართველი მეზღაპრე თავის ზღაპარს და იმ „პარადოქსული“ ბოლოთქმით ამთავრებს, რაზედაც უკვე მოგახსენეთ ზემოთ.

ახლა ასე ამბობენ — იყო და არა იყო რა, დემოკრატიის უკეთესი რა იქნებოდაო — და ბოლო აღარ უჩანს ამ ზღაპრებს. ცხოვრების წესი კი არ არის, თამაშის წესია, როგორც ჩანს, ეს დემოკრატიაც და იმიტომ.

სულ ცოტა ხნის წინათ — „ღვთის უკეთესი რა იქნებოდაო“ — ამას საბჭოთა მთავლიტი არ აჭაჭანებდა არსად, არცერთ ბეჭდურ პროდუქციაში. ახლა, ყველაფერთან

გაგრძელება მეთორმეტე გვერდზე

# ჩვენი სიძლიერე ეროვნულ ძალთა ერთიანობაშია!

## ქ. თბილისის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატები ეროვნული საარჩევნო ბლოკიდან "საქართველო" – მერაბ კოსტავას საზოგადოება"

შემოხაზეთ ციფრი

14



### ტრისტან ბერიანიძე

დაბადებული 1956 წელს გორის რაიონის სოფელ გორიჯვარში.

ქართველი.

უმაღლესი განათლებით — ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობის ინჟინერი, სამართალმცოდნე.

1987 წლიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაშია.

საქართველოს სახალხო ფრონტის აქტიური წევრი დაარსებიდან.

1994 წლიდან გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრია.

1997 წლიდან გრპ-ს ეროვნული კომიტეტის წევრი, გრპ-ს ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელი.

1989 წლიდან აქვეყნებს წერილებს გაზეთებში „ქართლი" და „საქართველო".

შპს „ექსპრეს-აუდიტ სერვისი"-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი. ღებულობდა მონაწილეობას 1991 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის და 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

### ვაჟა დალაქიშვილი



დაიბადა 1941 წელს. დაამთავრა თბილისის 62-ე საშ. სკოლა. 1965 წელს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ამჟამად ინდივიდუალური მეწარმეა.

ეროვნულ მოძრაობაშია 1989 წლიდან.



### ავთანდილ კუჭავა

დაბადებული 1952 წელს.

ქართველი.

უმაღლესი განათლებით, ინჟინერ-ენერგეტიკოსი, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე.

შპს „იბერ-კომპანის" დირექტორი. ცოლშვილიანი.

### ალექსანდრე ხოფერია



დაბადებული 1923 წელს. იანვარში. ლანჩხუთის რაიონ სოფელ გვიმბრალაურში.

ქართველი.

რეპრესირებული ოჯახიდან. მამა ა. ხოფერია დახვრიტეს 1937 წელს, რეაბილიტირებულია 1957 წელს.

უმაღლესი განათლებით. ეკონომისტი

საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს სათათბირო -საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

გაზეთ „მუმლი მუხასა"-ს კორესპონდენტი.

მრავალ მოგონებებისა და საგაზეთო წერილების ავტორი. სხვადასხვა დროს ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები, ჰყავს მეუღლე, ქალ-ვაჟი, შვილიშვილი. დავით აღმაშენებლის პარტიის წევრი.



### თეიმურაზ საჯაია

დაბადებული 1949 წ. 30 ივლისს ქ. თბილისში. ქართველი. უმაღლესი განათლებით. მიმოსვლის საშუალებათა ინჟინერი, მეწარმე.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება

ცოლშვილიანი.

### ოთარ ძურდიანი



დაბადებული 1961 წ. 25 მარტს, თბილისში.

ქართველი.

უმაღლესი განათლებით, ეკოლოგი.

საქართველოს ეკოლოგიური საზოგადოება „მინდიას" დამაარსებელი და უცვლელი პრეზიდენტი დაარსების დღიდან (1987).

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაშია 1978 წლიდან. 1989-1990 წლების მოვლენების აქტიური მონაწილე. უპარტიო. უცოლშვილო. ეკუთვნის მულახის გვართა ძირძველ საგვარეულოს. ყოფილი სპორტსმენი (მოჭიდავე).

### ზურაბ გასიტაშვილი



დაბადებული 1970 წ. 25 მარტს თბილისში.

ქართველი.

უმაღლესი განათლებით. ეკონომისტი

შპს „ახალი სამყაროს" დირექტორი

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი

ჰყავს ცოლი და ქალ-ვაჟი.



### ამირან სალუქაშვილი

დაბადებული 1954 წ. ქ. თბილისში, უმაღლესი განათლებით, ქართველი, ინჟინერ-მექანიკოსი.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრი 1995 წლიდან. ჰყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი.

### ვახტანგ ბერიძე



დაბადებული 1958 წელს თბილისში.

ქართველი

უმაღლესი განათლებით, ეკონომისტი.

მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

1993 წლიდან აგრარული პარტიის იმერეთის რეგიონის თავმჯდომარე.

1998 წლიდან დავით აღმაშენებლის პარტიის პრესცენტრის უფროსი, მოკლე დროში გადაყვანილ იქნა ამავე პარტიის სრულუფლებიან წარმომადგენლად, თავმჯდომარის მოადგილედ საგარეო ურთიერთობის დარგში.

ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ქალიშვილი.

### მორის გაბუნია



დაბადებული 1939 წ. 19 მარტს. ქ. თბილისში. უმაღლესი განათლებით. კვების და ქიმიური მრეწველობის ინჟინერ-ტექნოლოგი. 1989 წლიდან საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი, ხოლო 1994 წლიდან საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრი.



### ნიკოლოზ მჭედლიშვილი

დაიბადა 1970 წელს ქალაქ თბილისში. დაამთავრა თბილისის 115-ე საშუალო სკოლა (1987 წ). 1989 წელს ჩააბარა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ისტორიის ფაკულტეტზე. დაამთავრა 1994 წელს. მას შემდეგ აგროვებს მასალებს ქართულ საბრძოლო ხელოვნების შესახებ. ავარჯიშებს ჯგუფებს ქართულ საბრძოლო ხელოვნებაში. მუშაობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კვლევით ინსტიტუტში, ქართული საბრძოლო ხელოვნების ისტორიასა და სპორტის საკითხებზე.

### დავით კვიჟინაძე



დაბადებული ქ. თბილისში 1963 წელს.

ქართველი, უმაღლესი განათლებით, ისტორიკოსი.

ჟურნალისტი, საერთაშორისო სააგენტო „ასოშეიტედ პრესსი"

უპარტიო.

უცოლშვილო.



### ნიკოლოზ ჯავახიძე

დაბადებული 1967 წელს, თბილისში.

ქართველი

უმაღლესი განათლებით — ეკონომისტი

უცოლშვილო

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრი



### ავთანდილ ლაფაჩი

დაბადებული 1974 წლის 18 იანვარს, გორის რაიონ . სოფელ ქიწნისში.

ქართველი

უმაღლესი განათლებით — ეკონომისტი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი. სახალხო ფრონტის წევრი 1992 წლიდან, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის აგრარული კომისიის თავმჯდომარე 1994 წლიდან. უცოლშვილო. კენჭს იყრის გორის რაიონის ძევერის თემის საკრებულოში.

# ჩვენი სიძლიერე ეროვნულ ძალთა ერთიანობაშია!

## ქ. თბილისის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატები ეროვნული საარჩევნო ბლოკიდან "საქართველო" — მერაბ კოსტავას საზოგადოება"

შემოხაზეთ ციფრი

14



### ალექსანდრე აბდალაძე

53 წლის, სპეციალობით ისტორიკოსი, წლების განმავლობაში ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. მიმდინარე წლის დასაწყისში არ მისცეს შესაძლებლობა, ემუშავა თემაზე „ჯავახეთი ძვ. წ. აღ. II საუკუნიდან დღემდე." პროტესტის ნიშნად დატოვა ინსტიტუტი. ამჟამად მუშაობს დმანისის ისტორიულ-არქეოლოგიურ განყოფილებაში. შეთავსებით მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

1973-89 წლებში დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები საქართველო-სომხეთის ურთიერთობის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს 4 წიგნი და 100-მდე წერილი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, გახლავთ ეროვნულ-რადიკალური პარტიის წევრი 1998 წლიდან.

### ზურაბ ფორჩხიძე



დაბადებული 1970 წელს.

ქ. თბილისი

ქართველი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სტუდენტი

გ. რ. პ.-ს წევრი 1994 წლიდან. (სახალხო ფრონტში, 1992 წლიდან). ჰყავს მეუღლე



### გიორგი ჭანკოტაძე

დაბადებული 1932 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ წევაში.

ქართველი.

უმაღლესი განათლებით, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. დაჯილდოებულია სახელმწიფოს სხვადასხვა ჯილდოებით.

არის ავტორი 130-ზე მეტი გამოქვეყნებული შრომების, მათ შორის 10 გამოგონების და 2 მონოგრაფიის.

იყო სკკპ-ს წევრი.

უპარტიო.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, სამი შვილიშვილი

### თემურ გოცირიძე



დაბადებული ამბროლაურის რაიონის სოფელ ხოტევში.

ქართველი

უმაღლესი განათლებით — ინჟინერი. სოციოლოგი.

20 წელია მუშაობს თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე. არის შპს „კარიბჭეს" გენერალური დირექტორი.

არის ი. ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი.



### ნუგზარ ხიდეშელი

დაიბადა 1948 წელს.

ქართველი. მუშობდა სტიქიისაგან დაზარალებულ აჭარისა და რაჭა-იმერეთის ზონის აღდგენაზე. მონაწილეობდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვაში. მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავდაცვის, უშიშროების, სამართალდამცავი და ადმინისტრაციული ორგანოების სამმართველოს უფროსის მოადგილედ. იყო მთაწმინდის რაიონის დეპუტატი.

გრპ-ს წევრი 1994 წლიდან (სახალხო ფრონტის წევრი 1989 წლიდან).

უმაღლესი განათლება — ეკონომისტი.

ჰყავს ცოლი, ქალიშვილი და შვილიშვილი.

*„ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოში არსებობენ „ოპოზიციური" და თქვენ წარმოიდგინეთ, „სამპოზიციური" პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები. მე კი მიმაჩნია, რომ პარტიებსა თუ პიროვნებებს უნდა ჰქონდეთ ერთი სწორი, მართალი ეროვნული პოზიცია. ქვეყნის, ერის მიმართ თავდადება, ულალატობა, პატივისცემა და სიყვარული."*

### ომარ ლომთაძე



დაბადებული 1947 წელს 27.02. თბილისში

ქართველი

უმაღლესი განათლებით, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. 25 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და 5 საავტორო მოწმობის მფლობელი. მუშაობს ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო ნაწილებში დარჩენილი სარაკეტო საწვავის გაუვნებლობის საკითხებზე.

სახალხო ფრონტის წევრი დაარსების დღიდან.

1994 წლიდან გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრი.



### მანანა ჟურდიანი

დაბადებული 1955 წ. 1 თებერვალს სოხუმში. ქართველი.

უმაღლესი განათლებით, ექიმი.

საქართველოს ეკოლოგიური საზოგადოება „მინდიას" პასუხისმგებელი მდივანი

უპარტიო

ჰყავს ქმარი და ორი ვაჟიშვილი

ეკუთვნის მულახის გვართა ძირძველ საგვარეულოს

საპარლამენტო არჩევნების დროს, როდესაც ხალხი ხმას აძლევს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გარკვეულ იდეოლოგიას, რომელმაც უნდა განსაზღვროს სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა, მისი პრიორიტეტული და სტრატეგიული ინტერესები, დეპუტატობის კანდიდატთა პიროვნული თვისებები ფაქტობრივად კარგავენ მნიშვნელობას ამომრჩევლისათვის პარტიული პრინციპებისა და ამბიციების ფონზე.

მაგრამ ამომრჩეველმა კარგად უნდა გაიცნობიეროს, რომ ხელისუფლების ის დონე, რომლის არჩევნებიც ამჟამად ტარდება, სიმძიმის ცენტრის გადატანას გულისხმობს იდეოლოგიიდან პიროვნებაზე.

მას არასოდეს არ უნდა დაავიწყდეს, რომ:

პირველი: პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს შესრულება სჭირდება და ამისი განხორციელება კი ადგილზე შეიძლება ან წესიერად, ან უწესოდ, ანუ ან პატიოსანი ხალხის არჩევით, ან არაპატიოსანი ხალხისათვის ხმის მიცემით. და თუ იგი ვინმეს ან რაიმეს ხათრით, ან შიშით აირჩევს არაღირსეულ ხალხს ადგილობრივ ხელისუფლებაში, მოსალოდნელი შედეგებისათვის მას მხოლოდ საკუთარი თავის დადანაშაულება მოუწევს.

მეორე: ამომრჩეველმა, მიუხედავად საკუთარი პარტიულობისა, უნდა იფიქროს სახელმწიფო ინტერესებზე და მიხვდეს, რომ ნებისმიერი ხელისუფლება უნდა იყოს კონტროლირებადი. ამიტომ, თუ იგი კვლავ მმართველ პარტიას დაუჭერს არჩევნებში მხარს, ამით იგი ადგილზე მიიღებს ხელისუფლებას — დარწმუნებულს საკუთარ დაუსჯელობაში, ცენტრში მფარველებისგან გათავხედებულს, ცენტრალური ხელისუფლებაც თავისი პოზიციებისა და პრესტიჟის გასამტკიცებლად კბილებით დაიცავს თავის ადგილობრივ კორუმპირებულ და კრიმინალურ თანაპარტიულ ხელისუფალთ. და ეს უკანასკნელნი უშიშრად დათრგუნავენ და გაძარცვავენ [?] ლეტენ დაუცველ მოსახლეობას.

მაგრამ თუ ადგილებზე გაიმარჯვებს პატიოსანი და ტოლერანტული ოპოზიცია, მაშინ ეს უკანასკნელი არა მარტო თავისი პატიოსნებისა და სინდის-ნამუსის გამო და იმედზე იქნება მოსახლეობის მიმართ კეთილსინდისიერი, ობიექტური და მზრუნველი, არამედ ცენტრის შიშითაც, რომელიც სიამოვნებით და საქვეყნოდ ამხელს ადგილობრივ ოპოზიციურ ხელისუფლებას, როგორც კი ის გაისვრება კორუფციაში, ან კრიმინალურ კლანებთან შევა ალიანსში.

მეორეს მხრივ, ადგილობრივი ოპოზიციური ხელისუფლება, ცენტრის თანაპარტიულობისაგან განსხვავებით, არ გაუჩუმდება ცენტრს, როდესაც ეს უკანასკნელი დაუგვიანებს რეგიონებს კუთვნილი ფინანსების გადახდას, ან არ შეასრულებს დროულად თავის სხვა მოვალეობას, რადგან ამაზე იქნება დაფუძნებული ადგილობრივი ხელისუფლების ავტორიტეტი მოსახლეობაში, ამით გამოვლინდება მისი ზრუნვა რეგიონის სასიცოცხლო ინტერესებზე.

ეს იქნება ორმხრივი კონტროლი ცენტრისა ადგილობრივ ხელისუფლებაზე და პირიქით. ამით მოგებული უნდა აღმოჩნდეს სახელმწიფოც და ხალხიც.

ურთიერთკონტროლირებადი სახელისუფლო მოდელისათვის ალბათ არც ის უნდა იყოს მნიშვნელობას მოკლებული, რომ რაკი ადგილობრივი ხელისუფლების ყველა რგოლი არჩევითი არ არის — ქალაქის საკრებულოში ოპოზიციის არჩევის შემთხვევაში, იგი აღმოჩნდება ქალაქის მერად დანიშნული პიროვნების მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ან საკუთარი უფლებამოსილების გადაჭარბების წინააღმდეგომი ძალა, რადგან კანონის მიხედვით ქალაქის მერი პასუხისმგებელია ქალაქის საკრებულოს წინაშე, მმართველი პარტიის გამარჯვების შემთხვევაში კი, მოსახლეობას ადგილობრივი ხელისუფლების ქმედებათა კანონიერების ფარგლებიდან გამოსვლის შემზღუდველი რეალური მექანიზმი გამოეცლება ხელიდან.

ამიტომ მოსახლეობამ ადგილობრივ არჩევნებში ხმა უნდა მისცეს ოპოზიციას, ოღონდ ოპოზიციას ეროვნულს, ტოლერანტულს, მშვიდობისმყოფელს, მემარჯვენეს და არა ექსტრემისტულს და რევანშისტულს.

...

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რამაც საქართველოს ეკოლოგიური საზოგადოება „მინდის" და პირადად მე ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადაგვაწყვეტინა, ჩვენი ინტერესებისა და საქმიანობის ძირითადი სფერო — ეკოლოგია.

ჩვენ არ ვართ იმდენად გულუბრყვილოები, რომ გვეგონოს, თითქოს ოზონის ხვრელისაგან, მჟავური წვიმებისაგან, სასმელი წყლის და წყალსატევების დაბინძურებისა თუ სხვა გლობალური კატასტროფებისაგან დედამიწის გადარჩენა, ადგილობრივ არჩევნებში ჩვენს გამარჯვებაზე იყოს დამოკიდებული.

შეუძლებელია, ამ საყოველთაოდ დაბინძურებულ სამყაროში ვინმემ დაიჯეროს, რომ, ვთქვათ, თბილისი — ერთი ქალაქი ცალკე იქცევა ოაზისად — მაგრამ განა მხოლოდ გლობალური კატასტროფები ემუქრება ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ქალაქს, ჩვენს შვილებს?! ხომ არსებობს ის, რის წინააღმდეგაც ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ პიროვნულ პატიოსნებაზეა დამოკიდებული და ადგილობრივ ხელისუფლებაში პატიოსანი ხალხის მისვლით გადაწყდება.

ავიღოთ თუნდაც საკვები პროდუქტები და სასმელები, რომელთა უვარგისობის გამო ყოველდღიურად ავადდება ან იღუპება ვინმე — განა ელემენტარული პატიოსნება არ კმარა ასეთი საკვები პროდუქციის შემოტანაზე უმკაცრესი კონტროლის დასაწესებლად, ნებისმიერი საკვები პროდუქციის ექსპერტიზისა და მისი უვარგისობის შემთხვევაში აკრძალვისათვის?! ის კორუმპირებული ადამიანები, თვალს რომ ხუჭავენ ჩვენი შვილების მოწამვლაზე ვადაგასული, ფალსიფიცირებული, უხარისხო საკვებით, ნუთუ ფიქრობენ, რომ მათი შვილები და შვილიშვილები იზოლირებულნი არიან ამ საფრთხისაგან.

ბავშვი ბავშვია და ერთ დღესაც ქუჩაში რაიმე სასუსნავის საყიდლად წასძლევს სული. რატომ უნდა აგონ ან მათ, ან ჩვენმა შვილებმა, ან საერთოდ ვინმემ თავისი სიცოცხლით პასუხი ხელისუფლების დანაშაულისათვის.

ანალოგიური სიტუაციაა სასმელ წყალთან დაკავშირებით, გარემოს რადიაქტიური დაბინძურებისა და სხვა საკითხებზე, რომლებიც გადაწყვეტილია ნორმალური და პატიოსანი ხალხის ხელისუფლებაში მოსვლით.

ადგილობრივი საკრებულოს კომპეტენციაში არ შედის საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის საქართველოში ქველმოქმედების მიზნით სამკურნალო საშუალებათა შემოტანის ნებართვის მიცემის, ან ამ პროცესების მართვისა და რეგულაციის სფერო. სამაგიეროდ, ჩვენ ვერავინ წაგვართმევს უფლებას — დავიცვათ ჩვენი თანამოქალაქენი ვადაგასული, არასაკმარისად აპრობირებული ან საეჭვო რეპუტაციის მედიკამენტების გამოყენებისაგან — არადა, საკმაოდ ხშირად სწორედ ასეთი სამკურნალო საშუალებები შემოაქვთ ხოლმე საქართველოში საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციებს. ასეთი წამალი კი საწამლავად გვევლინება და მისი გავრცელებისა და რეალიზაციის აკრძალვა თუ უმკაცრესი კონტროლი სამკურნალო საშუალებათა ხარისხსა და სანდოობაზე, ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი რეალურად განხორციელებადი მოვალეობაა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში, ისევე როგორც სიგარეტის, ალკოჰოლური სასმელებისა თუ ნავთობის ბიზნესში უკვე ჩამოყალიბებულია მაფიოზური კლანები, რომლებსაც გავლენის სფეროებად აქვთ დაყოფილი ქალაქი და ზოგჯერ მონოპოლიზირებულიც კი თვით მედიკამენტების სახეობათა მიხედვით.

ნებისმიერ ქვეყანაში მაფიის ძლიერება, მმართველ პოლიტიკურ წრეებში, კორუმპირებული და ლობირებული პიროვნებებისა თუ სტრუქტურების მხარდაჭერას ეფუძნება. მაფიოზური კლანების ურთიერთდაპირისპირება ხშირად პოლიტიკური ან იდეოლოგიური ბრძოლის სახით არის იმიტირებული.

მაგრამ, რაკი თუნდაც ყველაზე კორუმპირებული და ლობირებული პარლამენტიც ვერ გაბედავს აშკარად მიიღოს ცალსახად პრომაფიური და პრომონოპოლისტური კანონები, თუნდაც საერთაშორისო რეზონანსის შიშით, ამიტომ მაფია ყოველთვის კანონგარეშე და კანონთან წინააღმდეგობაში იქნება.

ამდენად, კანონების, თუნდაც ისინი შორს იდგნენ სრულყოფილებისაგან, ზედმიწევნით დაცვა და შესრულება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ — უკვე სერიოზული წინააღმდეგობა იქნება მაფიოზური კლანების მიმართ.

კანონის უგამონაკლისოდ შესრულება კი მხოლოდ პატიოსან და პრინციპულ ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია.

მე სპეციალობით ექიმი ვარ და თუ თქვენი არჩევანი ჩვენს საარჩევნო ბლოკზე შეჩერდება და თბილისის საკრებულოს წევრი მეც გავხდები, შეგიძლიათ ერწმუნოთ ჩემს სიტყვას, რომ მე ისევე ვიზრუნებ თქვენი ოჯახების, თქვენი შვილების დაცვაზე უხარისხო, საეჭვო თუ ვადაგასული წამლებისა და საკვებისაგან, როგორც დღემდე ვზრუნავ მათგან საკუთარი ოჯახისა და შვილების დაცვაზე.

მანანა ჟურდიანი

პეტრე უმაკოვი, მარი ბროსესთან და ბორის კუფტინთან ერთად იმ უცხოელ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ქართულ საისტორიო მეცნიერებას ფასდაუდებელი ამაგი დასდეს. მათმა ნაშრომებმა დიდად შეუწყო ხელი ქართველი ერის მსოფლიო მასშტაბით წარმოჩენას. ფართო საზოგადოებამ მარი ბროსესა და ბორის კუფტინის შესახებ ასე თუ ისე იცის, პეტრე უმაკოვი კი დღემდე მიჩქმალული იყო. როგორც გ. ყორანაშვილის პუბლიკაციიდან გაირკვა, ყოველივე ეს აკად. გ. მელიქიშვილის „დამსახურებაა". გ. მელიქიშვილმა პეტრე უმაკოვის ნაშრომებზე არა მარტო ხელი მოითბო, არამედ უმაღლესი სამეცნიერო ხარისხები და წოდებები მოიპოვა და საბჭოთა კავშირის ლენინური პრემიის ლაურეატობაც გაინაღდა. სწორედ ამ „მიღწევებმა" განაპირობეს, რომ იგი 33 წელიწადია ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უცვლელი და ხელშეუხებელი დირექტორია და რაც მოესურვება, იმას სჩადის; დააბრკოლა, გაამრუდა ეროვნული ისტორიის ნორმალური განვითარება, განთესა და გაანადგურა ნიჭიერი კადრები.

დღეს, როდესაც საქართველო უმძიმეს მდგომარეობაშია, შინაური და გარეშე მტერი შეერთებულია და ქვეყნის ოდესღაც ერთიან სხეულს სვავებივით ფლეთენ, სამხედრო მარცხს და ეკონომიკურ სიდუხჭირეს ეროვნული თვითშეგნების დევალვაცია მოჰყვა. ამ კრიტიკულ ჟამს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი პარალიზებულია და ქართული ისტორიული აზრი, რომელმაც მიმდინარე სავალალო მოვლენები შემეცნებითად უნდა განსაჯოს, დაჩლუნგებულია. ისტორიის ინტიტუტში ქართველ ისტორიკოსთა სამასკაციანი მასა 80 წელს გადაცილებული ბერიკაცის ავადმყოფურ ნებაზეა დამოკიდებული. ამჟამად კი დადგა დრო, ვინ ვინ არის გამოვლინდეს, და საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის, განსაკუთრებით თვალსაჩინო მოღვაწეებად აღიარებულთა ღვაწლი ეროვნული პოზიციებიდან შეფასდეს.

სამეცნიერო წრეებმა პ. უმაკოვის შესახებ თავიდანვე იცოდა, მაგრამ ბოლშევიკური რეჟიმის გამო, გ. მელიქიშვილის მიერ ჩადენილი ცოდვა, საიდუმლოდ რჩებოდა, რადგან მაღალი რეგალიებით აღჭურვილი მეცნიერი რუსული დიდმპყრობელური, შოვინისტური სახელმწიფოს სასარგებლოდ მნიშვნელოვან სამსახურს ასრულებდა. იგი მიზანმიმართულად აყალბებდა საქართველოს ისტორიას და მეთოდურად სდევნიდა პატრიოტ ისტორიკოსებს, ხოლო როცა მან ჯილდოდ ლენინური პრემია მიიღო, რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ქართველთა სიამაყედ დასახა და იგი ხელშეუხებელი გახდა. ასეთი საპატიო პიროვნების მიმართ მხოლოდ ქება-დიდება და ხოტბა თუ შეიძლებოდა. შექმნილი ვითარება მოხერხებულად იქნა გამოყენებული და საქართველოს ისტორიის კვლევითი საქმიანობის ფლაგმანი-ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი ეროვნული ისტორიის ჭეშმარიტ გზას ასცდა, რომელიც სულმნათმა ივანე ჯავახიშვილმა დასახა.

გაბუნდოვნდა და სრულიად გაუგებარი გახდა ქართველთა ეთნოგენეზისი. ის მატერიალური და სულიერი კულტურა, ქართული ცივილიზაცია, რომელიც

## გამოხმაურება

# ქერპების მსხვრევა

ქართველთა მიერ, საქართველოს მიწა-წყალზე ათასწლეულებით იქმნებოდა, გადამთიელთა კუთვნილებად გამოცხადდა, თვით ტერიტორია კი — უცხოელთა საცხოვრისად. ქართველი ხალხისათვის საქართველოში საარსებო ადგილი აღარ დარჩა. ასე „დასაბუთდა" „გათიშე და იბატონეს" რუსული იმპერიალისტური პოლიტიკა. ცხადია, ამ მზაკვრობას საბჭოთა კავშირის უძლიერესი ბიუროკრატიული აპარატი უჭერდა მხარს.

1937 წლის რეპრესიები ერის თავის წაკვეთა იყო. შემდეგ საქართველოს ბედი მელიქიშვილისთანა რენეგატებს ჩაუგდეს ხელში, რის შედეგადაც ეროვნული იდეოლოგიისა და ცნობიერების სრული უარყოფა მოხდა.

1921 წლის შემდეგ, როცა გაწითლებულმა რუსეთმა საქართველოს ანექსია განახორციელა, ქვეყნის დაჯიჯგნილი, მაგრამ მეტნაკლებად მაინც ერთიანი სხეული, ქართველი ერის ნების გარეშე და საწინააღმდეგოდ, საერთაშორისო კანონების უხეში დარღვევით, ეგრეთწოდებულ „ავტონომიებად" დააქუცმაცეს და მაშინვე სახელდახელოდ გამონახული ეთნოსების საბჭოურ ყაიდაზე „აღზრდა" დაიწყო, რუსული განათლებით, ენით და სულისკვეთებით. ფეხქვეშ იქნა გათელილი კავკასიის ხალხების ეროვნული ინტერესები. ქართველები აგრესორებად გამოცხადდა, ხოლო თვით საქართველო „მცირე იმპერიად", „ავტონომიები" კი — წამებულებად, ჩაგრულებად. რუსული ჩექმის ძალით და რენეგატების დაუცხრომელი ხელისშეწყობით, სოხუმსა და ცხინვალში გახსნილმა მეცნიერებათა აკადემიის ფილიალებმა სეპარატიზმის „მეცნიერულ-იდეოლოგიური" უზრუნველყოფა განიზრახეს და მიაღწიეს კიდეც. ამ ბოროტმოქმედებას, აკად. გ. მელიქიშვილის მეთაურობით, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტიც, ძალაუნებურად ეხმარებოდა, ხოლო ვინც ხმის ამოღებას გაბედავდა და პროტესტს გამოთქვამდა, ჩვეული კომუნისტური მეთოდებით ჩაჩუმებდნენ. მარტო ის რად ღირს, არძინბას და ჩიბიროვს უმაღლესი მეცნიერული ხარისხები საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ხელდასხმით და უპირველესად მელიქიშვილის ენერგიული მხარდაჭერით, საქართველოში რომ მიენიჭა...

ასე მომზადდა ჩვენთან „ეთნოკონფლიქტებად" გასაღებული სისხლიანი მოვლენები. რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმის დაქირავებული აგენტები აფხაზი და ოსი ხალხის სახელით მოქმედებდნენ და დღესაც მოქმედებენ. ისინი სასიკვდილო საფრთხეს უქმნიან არა მარტო საქართველოს, არამედ აფსუებს, ოსებს და მთელ კავკასიას. თუ რუსეთის აგრესიული წრეებისა და ერის მოღალატეთა პარპაში დროულად არ აღიკვეთა, ეს წაყრუება კაცობრიობას შეიძლება მესამე მსოფლიო ომის ფასად დაუჯდეს.

ვაი, რომ ყოველივე ამის იდეოლოგებად და მოჭირნახულეებად გიორგი მელიქიშვილი და მისნაირი ჩინოსნები გამოდიან, რომელთაც ფუნქცია დამოუკიდებელ საქართველოშიც არ დაუკარგავთ და მესამე ათასწლეულის კვირაძალზე სისხლში გვაბანავებენ.

„დემოკრატიული რუსეთის" მიერ ინ-



სპირირებული შინაომის შედეგები საქართველოსათვის უმძიმესი და დამღუპველია. 300 ათასი ლტოლვილი, რომელთაც გალიდან ხელახლა აყრილი ქართველობა, დაახლოებით 50 ათასი (ზუსტი სტატისტიკა რატომღაც არ არსებობს) დაემატა, საკუთარ სამშობლოში დევნილი და განადგურების პირასაა მისული. მათი უმრავლესობა ისეთ დღეშია, დახოცილების ხვედრი ენატრებათ...

დაშლილი, გაპარტახებული ქვეყანა ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა. თუ ქართველმა ერმა არსებული მდგომარეობა რეალურად არ შეაფასა, არ გაერთიანდა და თავის სამშობლოში არსებობის უფლება არ მოიპოვა, დაიღუპება.

ჯანსაღი ეროვნული ცნობიერება, თვითშეგნება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ ზუსტად გაანალიზებულ ისტორიულ ფაქტებს და მოვლენებს უნდა ემყარებოდეს. მითუმეტეს, ჩვენთან გაუგონარი მკრეხელობაა მომხდარი: ქართველი ერი არა მარტო სულით და ხორცითაა გაძარცვული, არამედ მრავალათასწლოვანი ისტორიაც წართმეული და შეგინებული აქვს. მოსყიდული მტრები, ინფორმაციის ყველა საშუალებებით, მსოფლიოს არწმუნებენ, რომ ჩვენ უზურპატორები ვართ, აფხაზეთის მეფეები და მიწა-წყალი მივითვისეთ. ახლა აფსუებმა განმათავისუფლებელ ომში დაგვამარცხეს და მათი სამშობლოდან გამოგვყარეს. თანდათან ეს შემაძრწუნებელი სიცრუე დამაჯერებელ პოლიტიკად აქციეს. ამისათვის საკაცობრიო ინფორმატიკის მთავარ წყაროში-ინტერნეტში ჩვენი საწინააღმდეგო ჯოჯოხეთის ბორბალი შეუზღუდავად ბრუნავს, სამართლიანობის აღმდგენი კი ჯერჯერობით არავინ ჩანს.

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის მუდმივი დირექტორი, აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი ისე დაბერდა, რომ ქართველი ერის დასაცავად სიტყვა არსად წამოსცდენია. აი, რაში მიიღო მან ლენინური პრემია. თუმცა მისი დამსახურება რუსული შოვინიზმის წინაშე მარტო მრავალმნიშვნელოვანი სიჩუმე, გამიზნული დუმილი არ არის, მტერი მრავალ ყალბ დებულებას მის ნართაულად დაწერილ ნაშრომებზე აფუძნებს, სადაც მიჩქმალული კი არა, საერთოდ აღმოფხვრილია კავკასიაში ქართველი ერის როლი და დამსახურება. სწორედ ამიტომ შიგასაუწყებო დავამ და დაპირისპირებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. თუ მართალი არა ვართ და რაიმეს ვაჭარბებთ, დაე გ. მელიქიშვილმა და მისმა ფავორიტებმა საჯაროდ გაგვცენ პასუხი.

გურამ ყორანაშვილის „საქართველოში" დაბეჭდილი პუბლიკაცია ჯერ ამა წლის 9 სექტემბერს „ცოდნის" დარბაზში გამართულ საჯარო სხდომაზე მოხსენდა. სიტყვებით გამოვიდნენ გერონტი გასვიანი, ზურაბ ქაფიანიძე, ჯემალ გამახარია, ლერი სიხარულიძე და სხვები. სხდომას ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექციის მთელი შემადგენლობა ესწრებოდა, გ. მელიქიშვილის გარდა. მათ შეკითხვებით სცადეს მდგომარეობის განმუხტვა, მაგრამ პოზიციები ვერ განიმტკიცეს და უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ერთხელ კიდევ აღიარებული იქნა, რომ ჭირი თავს არ დამალავს და მწარე სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ. საჯარო კრებაზე გამოითქვა სურვილი, რომ პროფ. გ. ყორანაშვილის მოხსენება მოსმენილი იქნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ღია სხდომაზე, ხოლო ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მოეწყოს მისი საჯარო განხილვა, რათა ოპონენტებს საშუალება მიეცეთ მათი დამოკიდებულება შეუზღუდავად გამოხატონ.

რა თქმა უნდა, დისკუსიის მიზანი გ. მელიქიშვილის შეჩვენება არ უნდა იყოს, მაგრამ მას არ აქვს უფლება ინსტიტუტის დირექტორად დარჩეს. ზემოთქმულს გარდა, ხელახალი ვადით იგი საბჭოური დებულების მეოხებით „აირჩიეს". [illegible] მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და ისტორიის ინსტიტუტი კვლავ საბჭოური კანონმდებლობით, ეს ცალკე თავსატეხია, და სადაც „ჯერ არს", იქ უნდა მიიღონ სათანადო ზომები.

აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ისტორიის ინსტიტუტში გ. მელიქიშვილის შემცვლელის გამონახვა გაჭირდება. ისტორიის ფრონტზე ეს სიცარიელე გ. მელიქიშვილის ერთ-ერთი მთავარი „დამსახურებაა". ახდა სარგის კაკაბაძის წინასწარმეტყველება — ეს კაცი ისე წაიყვანს ეროვნული ისტორიის საქმეს, მის შემცვლელს ველარ გამონახავთო. ამიტომ, ჩვენი აზრით, ისტორიის ინსტიტუტში პერსპექტიული ახალგაზრდა მეცნიერთანამშრომლებისაგან სადირექტორო საბჭო უნდა შეიქმნას. საბჭოში შესვლის თითოეული მსურველი ხელმძღვანელ თანამდებობაზე თავისი მოღვაწეობის პროგრამას შეადგენს და ინსტიტუტის თანამშრომლებს, ფართო, დაინტერესებულ საზოგადოებრიობას განსახილველად წარუდგენს. ღია კონკურსში გამარჯვებული კი სადირექტორო საბჭოში კუთვნილ ადგილს დაიკავებს. მხცოვანი მეცნიერები და სხვებიც, სურვილისა და მონდომების და, ბუნებრივია, მეცნიერული დამსახურების მიხედვით, მრჩეველთა საბჭოში გაერთიანდება, რომელიც საბჭოურ ყაიდაზე დაკომპლექტებულ, ნომენკლატურულ საბჭოს შეცვლის.

თუ საქართველოს მეცნიერების ახლანდელი მესვეურები უკეთესს მოიფიქრებენ, ბოლოს და ბოლოს, აკადემიის სისტემას, საბჭოური სტერეოტიპების ნაცვლად, ეროვნული მოთხოვნილებებით გარდაქმნიან, რა თქმა უნდა, მხარს დავუჭერთ. ამასთანავე, სახალხოდ ვაცხადებთ, რომ არავითარ თანამდებობას არ ვთხოულობთ, მხოლოდ ერთი მიზანი გვამოძრავებს: წაღმა მოაზროვნე მეცნიერების პატიოსანი, ალალი შრომა უნდა დაფასდეს და მათ შემოქმედებით საქმიანობაში ხელი არავინ უნდა შეუშალოს.

და ბოლოს, ხელისუფალთა გასაგონად უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოში მეცნიერებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ ნორმალურად ვერ გადაიჭრება აფხაზეთისა და ჩრდილოეთი ქართლის პრობლემა. ვერცერთი რეფორმა, მითუმეტეს, აგრარული, ხალხის სასარგებლოდ ვერ გატარდება. თავს ვერ დავაღწევთ პლუტოკრატიის პარპაშს და მართვის საბჭოურ სტერეოტიპებს. ასეთი ვითარების შედეგია, რომ ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რთული საკითხი თანამედროვე პოლიტიკანების სარბიელი გახდა. მეცნიერული აზრი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება კი, არავის სჭირდება...

საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალით თავს ვიწონებთ, ჭეშმარიტი ინტელექტუალები და შემოქმედნი კი შიმშილობისთვის არიან განწირულნი.

ასე გაგრძელება შეუძლებელია...

**ლევან ფრუიძე**

---

# შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

## მითი და რეალობა

საქართველოს კატაკლიზმებით აღსავსე უახლოეს ისტორიაში რამდენიმე წლის წინ პატარა ვულკანივით იფეთქა ბაზალეთზე თურქული უნივერსიტეტის მშენებლობის თემამ. დასამალი არ არის და ჩვენში ყველაფრის აგორება ძალიან ადვილია, მითუმეტეს, თუ საკითხი პატრიოტულ გრძნობებზე თამაშობს. საზოგადოების არაერთგვაროვანი მიდგომა და მრავალი საეჭვო ვერსია არსებობდა მის გარშემო, რომლის ავტორობასაც რუსეთის სპეცსამსახურებს მიაწერენ. ასე იყო თუ ისე, აჟიოტაჟის აფეხვამდე, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, თურქეთისა და საქართველოს პრეზიდენტების ერთობლივი თანხმობით ოფიციალური დოკუმენტები უკვე მზად ყოფილა და ბაზალეთის ნაცვლად თბილისში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი უკვე მეოთხე წელია ფუნქციონირებს და მომავალ წელს პირველ კურსდამთავრებულებს გამოუშვებს. იგი საქართველოში არსებულ მრავალ კომერციულ უმაღლეს სასწავლებელს შორის საეჭვოს და განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს, გარდა სტუდენტური კონტინგენტისა და პროფესორ-მასწავლებელთა ეროვნული მრავალფეროვნების, ასევე იმ სასწავლო პროგრამებისა და პირობებისა, რითაც ერთნაირად კმაყოფილნი არიან უფროსებიც და უმცროსებიც.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შიდა სამზარეულოთი დაინტერესებულებმა რამდენიმე კითხვით მივმართეთ სასწავლებლის ქართველ პრორექტორს ბატონ **ირაკლი მაჩაბელს**:

— თურქეთის პრეზიდენტმა, სულეიმან დემირელმა ჩვენს პრეზიდენტს გამოუგზავნა წერილი, რომლითაც რეკომენდაცია ეძლეოდა თურქულ ფირმა „მარსს" (იგი თურქეთში საგანმანათლებლო ბიზნესით არის დაკავებული). საქმე მალე წინ წავიდა, საქართველოს მხრიდან განათლების სამინისტროს და დუშეთის რაიონის გამგეობამ ხმების ერთნაირი უფლებით სადამფუძნებლო ხელშეკრულება დაუდო ფირმა „მარსს" და ფირმა „ჩირაღდარს". 1995 წლის 31 აგვისტოს კი შევარდნაძისა და ჩილერის „ლოცვა-კურთხევით" საზეიმოდ გაიხსნა.

იმ შემთხვევაში, თუკი უნივერსიტეტი ბაზალეთზე აშენდებოდა, მიწის საკითხზე უნდა გაფორმებულიყო 45 წლიანი კონტრაქტი, ახლა კი ასეთი რამ არ არსებობს. იგი იარსებებს მანამ, სანამ ეყოლება სტუდენტები, თუ არადა, როგორც ყველა კომერციული სასწავლებელი, რომელსაც არ ძალუძს სპეციალისტების მომზადება — დაიხურება.

წესდების მიხედვით რექტორი იცვლება 4 წელიწადში ერთხელ. ასე რომ, უნივერსიტეტის თურქ რექტორს წლის ბოლოს ვადა უთავდება, ორი პრორექტორიდან ერთი თურქია, ერთი — ქართველი. სტუდენტთა 45% თურქია, 43% — ქართველი, არიან ასევე აზერბაიჯანელები, რუსები, თურქმენები და ამ სასწავლო წელს ნიგერიიდანაც ესტუმრათ ერთი ახალგაზრდა. სპეციალობის მიხედვით დაკომპლექტებულია 3 ნაწილად: მრეწველობის ორგანიზაცია, ბიზნესის მართვა, საბანკო საქმე და ფინანსები. სპეციალისტები მოწვეული არიან ძირითადად საქართველოდან, წესდების მიხედვით.




36 მოწვეული პედაგოგიდან 29 ქართველია, ნაწილი — თურქი, ფილოსოფიას კი მეცნიერებათა დოქტორი, ეროვნებით რუსი ბ-ნი იგორ მიხაილოვი კითხულობს. სასწავლებლის მთავარი ღირსება კი ის არის, რომ ყველა საგანი ისწავლება ინგლისურ ენაზე, საერთაშორისო პროგრამების დონეზე. იმის გამო, რომ უცხოელ სტუდენტთა უმრავლესობა სწავლის დასაწყისში ინგლისური ენის მიმართ ნულოვან დონეს ამჟღავნებს, მოქმედებს მოსამზადებელი კურსები, სადაც ხდება სასაუბრო ინგლისურის და სპეციალური ტერმინოლოგიის შესწავლა. ყველა კურსზე აუცილებელ ენას წარმოადგენს ქართული, ასევე ქართული ცივილიზაციის ისტორია, რომელიც ინგლისურ ენაზე იკითხება. როგორც ბ-მა ირაკლიმ აღნიშნა, ეს საგანი უცხოელ სტუდენტთათვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა. სასწავლო პირობები საკმაოდ მკაცრია, ამიტომაც სტიპენდიის მისაღებად საჭიროა გარკვეული პირობების შესრულება — 100 ბალიანი შეფასებიდან მინიმალური მოთხოვნაა 85 ქულა, საშუალო კი — 90 ქულაზე მეტი. უნივერსიტეტს ოთხწლიანი მოქმედების ხანაში მხოლოდ ერთი სტიპენდიანტი, ზურაბ ლეჟავა ჰყავს, რომელმაც თავისი სარეკორდო მონაცემებით ერთ-ერთ სემესტრში ყველა საგანში ასბალიანი წარმატებების მიღწევა შეძლო.

— შეღავათები ძალიან ბევრი გვაქვს. ქართველები პრაქტიკულად უფასოდ სწავლობენ. განათლების სამინისტროს აქვს უფასო კვოტები, გაჭირვებულებს უკეთდებათ შეღავათები, ფრიადოსნებს გადასახადი უნახევრდებათ. გარდა ამისა, ჩვენთან მომუშავე მასწავლებლებს წლის განმავლობაში უფლება აქვთ მოიყვანონ ერთი სტუდენტი, რომელიც სასწავლებელში უფასოდ ისწავლის. ახლა ველოდებით ახალ კომპიუტერულ ტექნიკას, ზამთრის გაუსაძლის პირობებს კი ჩვენი სტუდენტები ვერ იგრძნობენ, რადგანაც გენერატორიდან დაწყებული, საუკეთესო საცხოვრებელი პირობებით დამთავრებული, ყველაფერი მაღალ დონეზეა — აღნიშნა ბატონმა პრორექტორმა.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ჯერჯერობით წაგებაზე მუშაობს და მისი სახით, ვერავინ იტყვის საქართველოში საგანმანათლებლო ბიზნესს წარმატება ექნება თუ არა, მაინც ფაქტი ერთია: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში დაამტკიცა, რომ ქართველთა და თურქთა მეგობრული ურთიერთობა რეალურად შესაძლებელია. სტუდენტური თბილი ურთიერთობები რეალურად შესაძლებელია და მეტად ღრმა ხასიათს იძენს, რაც ერთმანეთთან სტუმრობებითაც არის შესაძლებელი. საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით კი საქართველოს მეგობრობას სთავაზობს დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა 60 მილიონიანი მოსახლეობითა და 200 მილიარდი დოლარის კაპიტალით, მისი საგარეო პოლიტიკა დაფუძნებულია თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებლის, ათა თურქის სიტყვებზე, რომელიც მსოფლიოში მხოლოდ მშვიდობიანობისთვის ბრძოლას და მის დაცვას ითვალისწინებს.

**ხათუნა ხატიაშვილი**

# ფოთი მომავლის ქალაქია... მაშ, რატომ აქვს მას ამდენი პრობლემები?

ფოთის შესასვლელში შინაგანი ჯარის ნაწილს მოვკარით თვალი. გულმა რეჩხი გვიყო. ხომ სიმშვიდეა, სენაკის ამბებს ნუთუ დასასრული არა აქვსო, გავიფიქრეთ.

საღამოვდებოდა, ქალაქში ნელი მაჯისცემა იგრძნობოდა. ჩამავალ მზეს მშვიდად აცილებდა ფოთი...

როგორც ჩანს, შევცდით. შეიარაღებული ჯარისკაცები, იქნებ, სწორედ სენაკის ცნობილი მოვლენების გამოძახილი გახლდათ ფოთში, მაგრამ ისინი, თურმე, მშვიდობიანი მოსახლეობის მყუდროებას იცავდნენ ქალაქში.

შორიდან სამეგრელოს რეგიონი ფეთქებად საშიშ ზონას ჰგავს. წესრიგის დასაცავად ყველაზე დიდი ჯაფა პოლიციას ადგება ამ დროს. ბუნებრივია, პირველ კითხვებზეც პასუხის გაცემა ფოთის პოლიციის განყოფილების უფროსს, ბატონ ირაკლი კასრაძეს მოუწია.

— კრიმინოგენული მდგომარეობა სტაბილურია. რაიმე განსაკუთრებული ხდება-მეთქი ქალაქში, ვერ ვიტყვი. ოთხი თვეა, რაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე. ძირითადად ცვლილებები საკადრო პოლიტიკაში გავატარე. 7 შტატი დავუშვით საგზაო პოლიციის გასაძლიერებლად, რადგან ქალაქს 6 რიგითით დაცვა არ კმაროდა, შეიცვალა სავიზო-საპასპორტო პოლიციის უფროსი. საკადრო ცვლილებები დღესაც მიმდინარეობს. კრიმინოგენული თვალსაზრისით დანაშაულის საერთო ოდენობა გასულ წელთან შედარებით 16 ერთეულით გაიზარდა, მაგრამ თუ მძიმე დანაშაულზე ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, 5 ერთეულით შემცირდა, გახსნის პროცენტიც გასულ წელს 85% გახლდათ, წელს კი 91%-ია.

ქალაქი მართვადია და კონტროლს ექვემდებარება. სასიცოცხლო, სტრატეგიულ ობიექტებს გაძლიერებული დაცვა იცავს. არჩევნებთან დაკავშირებით მობილიზებულია მთელი პირადი შემადგენლობა, რათა ამომრჩეველმა დემოკრატიული წესით სრულ სიმშვიდეში გამოხატოს თავისი ნება — გვითხრა პოლიციის შეფმა ბატონმა ირაკლიმ.

**წისქვილკომბინატის არსებობას საფრთხე ემუქრება?!** სასიცოცხლო ობიექტები ფოთში, შეიძლება ითქვას, დინამიური რიტმით მუშაობს. ამ მხრივ გამონაკლისს არც წისქვილკომბინატი წარმოადგენს. ამ ერთ-ერთ უმძლავრეს ქარხანას სამოქალაქო ომის პერიოდში (1992-93 წწ) უდიდესი მისია ეკისრებოდა დასავლეთ საქართველოს პურით უზრუნველყოფის საქმეში. შემდგომში ქარხნის წინაშე დამდგარმა უთვალავმა პრობლემამ (განსაკუთრებით დებიტორთა რიცხვის სიდიდემ) წარმოებაზე ცუდად იმოქმედა. ახლა კი...

— მძიმე მდგომარეობიდან ცოტა გამოვდივართ, მაგრამ ჯერ კიდევ შორსაა ის დრო, როცა ქარხანა სრული დატვირთვით იმუშავებს. იმისთვის, რომ მიგვაღწევინა, 50% დავიტვირთოთ, მარტო დღგ-ს 2,5 მილიონ ლარს მივცემთ სახელმწიფოს... მაგრამ ვერც ნახევრად დატვირთვას ვახერხებთ. დიდი რაოდენობით შემოდის უცხოეთიდან იაფფასიანი ფქვილი და კონკურენციის გაწევა ძალიან გვიჭირს. სესხები რომ იყოს შეღავათიანი, იქნებ, კიდევ გვეპოვა გამოსავალი, იაფფასიან ხორბალს შემოვიტანდით...

გარკვეული პრობლემები საგადასახადო სისტემასაც უკავშირდება. ჩვენი პროდუქციის რეალიზაციიდან 7% დღგ გვქონდა გადასახდელი, რომელიც ამ დღეებში 20%-მდე გაიზრდება. მიჭირს ამის თქმა, მაგრამ 7%-იანი გადასახადის დროს 1 ტ. ფქვილი 400 ლარი ღირს და არ იყიდება, 20%-იანის დროს 460 ლარად როგორ გავყიდოთ? ეს, ალბათ, ნორმალურად მუშაობის პირობებში ადვილად მოხერხდება (უცხოური იაფფასიანი ფქვილების პრობლემა როცა მოიხსნება), მაგრამ დღევანდელ პირობებში შეუძლებელია, აქედან გამომდინარე ქარხანას გაჩერების საფრთხე ემუქრება, რაც სახელმწიფოსაც დააზარალებს — ამბობს წისქვილ-კომბინატის გენერალური დირექტორი დათო პაჭკორია.

დიახ, გაჩერების საფრთხე წისქვილკომბინატს მართლა ემუქრება, თუ არ შემცირდა, არალეგალური ბიზნესი. საზღვარგარეთიდან რაც შეიძლება გეგმაზომიერად უნდა შემოდიოდეს პროდუქცია. სახელმწიფომ უნდა დაიცვას საწარმო. უნდა დაიცვასო? შესწევს კი ძალა საქართველოს დაიცვას თავი არალეგალური ბიზნესისაგან? საჭირბოროტო საკითხავიც სწორედ ეს არის!

**ფოთის „გემთსაშენი" — საკონტეინერო ტერმინალი?!**

არამც და არამც! „გემთსაშენს" ასეთი საფრთხე არ ემუქრება, არადა ქარხნის დირექტორს ბატონ ზურაბ დემურას ხშირად უხდება ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა დაშოშმინება. მოარული ჭორები „გემთსაშენის" შესახებ ხშირად გაუგებრობას იწვევს კოლექტივში. ჭორებს კი პრესაში გაშუქებული ცალმხრივი მასალები ედება საფუძვლად.

— რესპუბლიკურ პრესაში ქვეყნდება ცილისმწამებლური წერილები, რომ ქარხანაში არაფერი კეთდება. მე ახლოს ვარ ამ სტრუქტურასთან, საკუთარი თვალით ვხედავ ყოველივეს და მიკვირს, ამ ცალმხრივ ინფორმაციებს საიდან იღებენ გაზეთები. ორი სახის საკითხს იხილავენ, ქარხნის პრივატიზაციის სისწორეს და კანონთან შესაბამისობას. ამ საკითხში არაკომპეტენტური გახლავართ, რადგან დაქირავებული დირექტორი ვარ და მე არ მეხება, როგორ მოხდა პრივატიზება. რაც შეეხება მეორე საკითხს, ქარხანაში არავითარი სამუშაოები არ მიმდინარეობს და ქარხანა უნდა გადაიქცეს საკონტეინერო ტერმინალად, უსაფუძვლოა.

ხშირად საუბრობენ, რომ ქარხანა მიზერულ თანხად — 101000 ლარად გაიყიდა. სახელმწიფოს ქარხნის გაყიდვა კი არ ჰქონდა მიზნად, არამედ მისი ამუშავება და რადგან საკუთარი ძალებით ვერ შესძლო ამის გაკეთება, გასაყიდად გაიტანა იგი აუქციონზე. ქარხანა სიმბოლურ თანხად — 1 ლარად იყო შეფასებული. აუქციონზე ერთ-ერთმა კომპანიამ გაიმარჯვა, „დარლინ ვორდ ლიმითედმა" (სამხრეთ კორეული ფირმა) საინვესტიციო პირობებით. 5 აგვისტოდან იწყება ათვლის წერტილი. პირობები საკმაოდ მკაცრია და შეზღუდული დროის თვალსაზრისით. ქარხნის გაყიდვიდან ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა. შეუფერხებლად რიგდება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი, პარალელურად ეძლევათ ხელფასის ძველი დავალიანება. გარდა ამისა, ბიუჯეტში, სოცანარიცხებსა და სხვადასხვა გადასახადებში წასულია 15000 ლარი. დავიწყეთ სამუშაოები ქარხნის სპეციალიზაციის შესანარჩუნებლად. ინვესტორის დახმარებით მოიძებნა ახალი პროექტი გემთმშენებლობაში — პლასტიკატის კორპუსის გემების წარმოება, რაც ახალი ტექნოლოგიაა ქარხნისათვის. მოსამზადებელი სამუშაოები უკვე ჩატარებულია, აღდგენილია საამქროს ერთი ნაწილი, სადაც უნდა მოხდეს ახალი ტიპის გემების გამოშვება. 1999 წლის I ნახევარში ალბათ, უკვე გვექნება ახალი გემები.

რაც შეეხება ქარხნის ტრადიციულ პროდუქციას, წინასწარმა შესწავლამ აჩვენა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიით აგებული გემების მშენებლობა გაცილებით ნაკლები ფასი ჯდება, ამიტომ „კოლხიდების" მშენებლობა ისტორიას ჩაბარდება.

**ტერაქტები ყველაზე მეტად საბაჟოს აზარალებს?**

ჩვენი საუბრისას, ალბათ უცნაური იქნებოდა რეგიონალური საბაჟოც რომ არ მოგვეხსენებინა, ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ წყაროს ხომ სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს. ფოთის პორტთან და სხვა დიდი მნიშვნელობის ობიექტებთან ერთად. გვესაუბრება ფოთის რეგიონალური საბაჟოს უფროსი ბატონი გელა ხიზანიშვილი.

— **ბატონო გელა, როგორი ვითარებაა თქვენს სამსახურში? რამდენიმე დღეა, საბაჟო დეპარტამენტს ახალი უფროსი ჰყავს. როგორ ფიქრობთ, ასეთი ხშირი ცვლილებები საქმისთვის მარგებელია? როგორ განვითარდება მოვლენები?**

— ახალი ხელმძღვანელის მოსვლას მოჰყვება სტრუქტურული რეორგანიზაცია, კადრების გადახალისება ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით. რაც საბაჟო სამსახურის შემდგომი წარმატების დასაწყისი იქნება. ამ წარმატებაში, რალა თქმა უნდა, ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხების გადარიცხვა იგულისხმება, რაც ჩვენი სისტემის მუშაობის განმსაზღვრელია.

— **10 თვის შედეგები როგორია?**

— ათი თვის შედეგების მიხედვით ფოთის რეგიონალურ საბაჟოზე მობილიზებულია 25 მლნ. ლარი ბიუჯეტის სასარგებლოოდ. ჩვენ იმ საპროგნოზო მაჩვენებელზე ვერ გავჩერდით, რაც წლის დასაწყისიდან იყო ჩვენთვის მოცემული, გემების, ტვირთბრუნვის, დაფიქსირებული იმპორტული ტვირთის რაოდენობის მიხედვით სრული სურათია დახატული. აბსოლუტურად ყველა ტვირთი დაფიქსირებულია, რომელიც იმპორტის რეჟიმით შემოვიდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ყველა განბაჟებულია და თანხები შესულია ბიუჯეტში.

საპროგნოზო მაჩვენებლების შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია რესპუბლიკაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით — ტერაქტები, ამბოხებები. ყოველივე ამან გამოიწვია გემების და ტვირთბრუნვის შემცირება.

— **თქვენ სისტემაში მცირე ხელფასიდან გამომდინარე კორუფცია არათუ შემცირდება, შესაძლოა უფრო გაიზარდოს. პრობლემებზე ხშირი საუბარი მის უკვე მოგვარებულობაზე სულაც არ მეტყველებს. კორუფციაზე დიდხანს და ბევრს საუბრობდნენ. რა ხდება დღეს?**

— აუცილებლად უნდა მოგვარდეს სტიმულირების საკითხი — გაიზარდოს ანაზღაურება. როგორი მტკიცნეულიც არ უნდა იყოს, მე მაინც ვიტყვი, მებაჟე, რომლის მინიმალური ხელფასი მინიმალური მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მის ხელში კი მილიონობით ლარის ღირებულების საქონელი გადის, თუ არ გამოსძალავს რასაც აჩუქებენ, იმაზე მაინც არ იტყვის უარს. როცა მებაჟე 5 თვე ხელფასს ვერ აიღებს (შეიძლება ამას ობიექტური მიზეზები ჰქონდეს!) არ შეიძლება იმაზე საუბარი, რომ კორუფცია მინიმალურ დონემდეა დაყვანილი.

— **თქვენ კომპიუტერული სისტემა უკვე დანერგეთ. როგორია შედეგი?**

— კომპიუტერის სისტემა უკვე დავნერგეთ თანამგზავრული სადგურის კავშირზე და ყველა ინფორმაცია მოდის კომპიუტერში, მერე კი ცენტრს გადაეცემა. მიუხედავად ამისა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მაინც დაბალია.

— **სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?**

— ბიუჯეტის მაქსიმალურად შევსებას ვეცდებით, თუმცა ეს ტვირთბრუნვაზეცაა დამოკიდებული.

— **ხომ არაფერს დაამატებდით?**

— მინდა საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების ახალ თავმჯდომარეებს მივულოცო თანამდებობა და ჩემი კეთილი სურვილები გადავცე.

**რესპუბლიკაში ერთადერთი ქალაქია ფოთი, სადაც პენსია-ხელფასები თავის დროზე რიგდება**

რაც შეეხება ფოთის საგადასახადო ინსპექციას, შეიძლება ითქვას, მან მთლიანად აუბა მხარი მოთხოვნებს. საპროგნოზო დავალიანების შესრულების მაჩვენებლებით თუ დაინტერესდებით, არცერთ თვეში ჩავარდნა არ აქვთ. რესპუბლიკაში მიმდინარე რეორგანიზაციას ფოთის საგადასახადო სამსახურში მიმდინარე რეორგანიზაციაც პასუხობს.

— განყოფილების უფროსები ყველა შეცვლილია, გვაქვს გარკვეული პროგრამა, გარკვეული გეგმები. ჩვენი ძირითადი საქმიანობა იქითაა მიმართული, რომ გამოვავლინოთ გადამალული შემოსავლები. კონკრეტული პირების დასახელება ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მეჩვენება, მაგრამ იმის თქმა აუცილებელია, რომ საგადასახადო კულტურა ძალზე დაბალია და დიდი დრო გვინდა, რომ ავიმაღლოთ... გადასახადი ყველამ უნდა გადაიხადოს! მე დღეს თამამად ვსაუბრობ საპროგნოზო დავალიანების შესრულებაზე, რომელიც იწვევს შემდგომ დაფინანსებას იმ სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტას, რომელიც ქალაქს წინაშე დგას და ისიც უნდა ვთქვა, ალბათ, რესპუბლიკაში ერთადერთი ქალაქია ფოთი, სადაც პენსიები და ხელფასები თავის დროზე რიგდება.

ბოლო პერიოდში დიდი ღონისძიება ჩავატარეთ ტაქსების, კერძო მანქანების აღრიცხვიანობასთან დაკავშირებით. ამჟამად ვმუშაობთ ბაზარში. მთელი ყურადღება მიმართულია იქით, რომ აღრიცხვაზე ავიყვანოთ ყველა გამყიდველი...

— **პრობლემებზე რას გვეტყვით?**

— პრობლემები არ გვაქვსო, რომ ვთქვათ, არ იქნება მართალი. ისინი არსებობს, მაგრამ მათ გადასაჭრელად ბრძოლაც აქტიურად მიმდინარეობს. წლის ბოლომდე კომპიუტერული სისტემა დაინერგება და ზოგიერთი საკითხის გადაჭრაში ესეც დაგვეხმარება.

— **ბოლო სიტყვა როგორ იქნება?**

— მე უკეთესი მომავლის რწმენა მაქვს და ვფიქრობ, უეჭველად მალე დადგება დრო, როცა საქართველოში ყველაფერი რიგზე იქნება.

**ფოთი მაკავშირებელი ხიდია ევროპასა და აზიას შორის... საქართველოს საზღვაო კარიბჭეს განსაკუთრებული ადგილი და როლი უკავია ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში. თამამად შეიძლება ითქვას, ფოთი მომავლის ქალაქია... მაშ, რატომ უნდა ჰქონდეს მას ამდენი პრობლემები? ნუთუ სახელმწიფოში მისი გლობალური მნიშვნელობის შესახებ ვინმეს ახსნა-განმარტება ესაჭიროება?!**

**მანანა გელოვანი**
**ნანა ქეცია**

# წყალში მდგარნი წყურვილით იხრჩობიან



ფოთის მერი აკაკი დარჯანია

— **ბატონო აკაკი, როგორი ვითარება დაგხვდათ ფოთში თქვენი თანამდებობაზე დანიშვნისას და რა შეიცვალა თქვენი მოსვლის დღიდან დღემდე?**

— ფოთში დიდი ხანია დაწყებულია ალმშენებლობითი პროცესი. მე ვაგრძელებ იმ საქმეს, რაც წელიწადნახევარია აქ მიმდინარეობს. თავის გეგმები და პროგრამები ყველას აქვს, რა თქმა უნდა, მეც. მაგრამ ესეც იმ დიდი დაწყებული საქმიდან გამომდინარეობს, რასაც ბოლო პერიოდის ფოთის სინამდვილეში ვხედავთ.

ფოთი სიახლეების ქალაქია. თვალნათლივ ვხედავთ როგორ დღითიდღე ლამაზდება იგი. მიმდინარეობს ფასადების შეკეთება, სახლების გადახურვა.

სკოლა „ბალავარის" დაარსება არა მარტო ფოთისთვისაა სიახლე, არამედ ზოგადად ახალი სიტყვა გახლავთ განათლების სისტემაში. სკოლა „ბალავარი" ფოთში სტუმრად მყოფმა პარლამენტის თავმჯდომარემაც მოინახულა და აღფრთოვანებულიც დარჩა. აქ ყველა პირობაა შექმნილი, რომ ბავშვმა სკოლის კედლებში სწავლას დასვენება და გართობაც შეუთავსოს.

ყველა ქალაქი თავის დღესასწაულისათვის განსაკუთრებულად ემზადება და ცდილობს, რაიმე ახალი გააკეთოს. ჩვენც ვემზადებით ფაზისქალაქობისთვის და ამ ერთი თვის განმავლობაში ვცდილობთ რაღაც სიახლე შევმატოთ ქალაქის ცხოვრებაში, რათა პირნათელი ვიყოთ ფოთელების წინაშე და ქალაქიც ისე წარმოჩინდეს, როგორი წარსულიც მას გააჩნია.

— **საქართველოში სოციალურად დაუცველი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენა გვყავს, რომელთაც საარსებო საშუალება — მინიმალური პენსია-ხელფასებიც კი უგვიანდებათ. აქვს თუ არა ქალაქს ბიუჯეტს მუშა-მოსამსახურეთა და პენსიონერთა დავალიანება და თუ აქვს, როგორია ამ პრობლემის მოგვარების გზები?**

— სოციალურად დაუცველი ფენები ფოთშიც საკმაოდ ბევრია. ეს გასაგებიცაა. ქვეყანას უჭირს. ეს მარტო ჩვენი ქალაქის პრობლემა არაა, მაგრამ იმდენი დახმარება, რაც ფოთში გაიცა სოციალურად დაუცველ ფენებზე. ალბათ არცერთ ქალაქში არ გაცემულა. დავალიანება არც პენსია-ხელფასების მხრივ არის, ბიუჯეტი სრულდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგი საწარმოები ფედერალურ დაფინანსებაზე არიან და ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დაგვიანებას. მათ პრობლემებს ჩვენ ვერ გადავწყვეტთ.

— **შორიდან სამეგრელოს რეგიონი ფეთქებად-საშიშ ზონას ჰგავს. ქალაქში მყოფი შეიარაღებული დაცვა, ერთი შეხედვით, უნებურ წარმოდგენას ქმნის საგანგებო მდგომარეობაზე. როგორი ვითარებაა რეალურად?**

— ფოთში ვითარება აბსოლუტურად სტაბილურია პოლიტიკური, კრიმინოგენული თვალსაზრისით. ამ მხრივ შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, მაგრამ იტყვიან, „სიფრთხილეს თავი არ სტკივა". 19 ოქტომბრის მოვლენებმა დაგვანახა, რომ სიფრთხილე საჭიროა ყველგან და ყოველთვის, შეიარაღებული დაცვა, შინაგანი ჯარის წარმომადგენლები ქალაქის შესასვლელში დგანან, რომ სხვა რეგიონებიდან ფოთში რაიმე ექსცესებს არ ჰქონდეს ადგილი.

— **ზემოხსენებულ ფორმიან დაცვას თუ არ ჩავთვლით, ერთი შეხედვით, ქალაქში ყველაფერი რიგზეა, რაც, ალბათ, არ ნიშნავს იმას, რომ ქალაქს პრობლემები არ აწუხებს...**

— პრობლემები ბევრი გაქვს. ფოთელები ხუმრობით ამბობენ, წყალში ვდგავართ და წყურვილით ვიხრჩობითო. ფოთის პრობლემაა სასმელი წყალი და ელექტროენერგია. ელ. ენერგიით ფოთი ერთადერთი ხაზით — მენჯის ქვესადგურით მარაგდება, რომლის მწყობრიდან გამოსვლისას შეიძლება ქალაქი სრულიად უშუქოდ დარჩეს. პროგრამა შემუშავებულია, წარდგენილია ზემდგომ ინსტანციებში. წყალს კი ქალაქი სენაკის სათავე ნაგებობიდან იღებს. ესეც ერთადერთი მაგისტრალია. არსებობს პროგრამა გურიის მხრიდან წყლის შემოყვანაზე, თუმცა ეს პრობლემა შუქზეა დამოკიდებული...

გლობალური პრობლემაა ზღვის გამაგრების საკითხი, რომელიც არაერთხელ დაისვა პარლამენტში, პრეზიდენტთან. წელს გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა ამ მხრივ. ბიუჯეტიდან გამოიყო 350000 ლარი. ეს ზღვაში წვეთია. პარლამენტის თამჯდომარემ აღგვითქვა დახმარება ამ თანხის დროულად გადმორიცხვის თაობაზე. პარლამენტში უკვე დგას საკითხი მომავალი წლის ბიუჯეტში საკმაოდ სოლიდური თანხის გამოყოფაზე ამ მიზნით, რადგან თუ დროულად არ ეშველა ამ პრობლემას, მერე მილიონებიც არ უშველის. ზღვა წინ მოიწევს, საკმაოდ ვრცელი მიწები მიიტაცა, საფრთხე ემუქრება იქ მცხოვრებლებს.

— **რას გვეტყვით სამომავლო გეგმებზე? ფოთი მომავლის ქალაქია, როგორც ამბობენ საქართველოს საზღვაო კარიბჭე. რა მდგომარეობაშია სარკინიგზო ბორნის მშენებლობა?**

— მშენებლობა მთავრდება. იგი დიდ როლს შეასრულებს ტვირთნაკადის ზრდის საქმეში. ეს შემოსავლების ზრდის მაჩვენებელია, რაც სოც. მდგომარეობას გააუმჯობესებს. კიდევ ერთი პერსპექტივა გახლავთ ის, რომ სუფსაში გაიხსნება ნავთობის ტერმინალი, და ის დიდი გემები, რომლებითაც ნავთობი უნდა გადაიზიდოს, ფოთში შემოვა. ფოთი მართლაც მომავლის ქალაქია.

# სომხები საქართველოში (უძველესი დროიდან დღემდე)

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №62, 63, 64*

### სომხების მასობრივი ჩამოსახლება ქვემო-ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში XIX საუკუნის პირველ ნახევარში

საქართველოში მასობრივი ჩამოსახლება ქართლ-კახეთის სამეფოს თვითნებური მიერთების, მისი სუვერენიტეტის მოსპობისა და ანექსიის შემდეგ დაიწყო. სომხების გადმოსახლებაში აქტიური როლი შეასრულა გენერალმა ლაზარევმა. სპარსეთიდან და ოსმალეთიდან რამდენიმე ათასი სომეხი გადმოსახლდა შამშადილში (ლორე) (ქართლ-კახეთის რუსეთთან მიერთების შემდეგ ყველა, მათ შორის ლორეს საუფლისწულო, მამულები სახელმწიფო მიწებად გამოცხადდა. 1846 წელს მეფისნაცვალ ვორონცოვს ორბელიანებმა და ბარათაშვილებმა საჩივრით მიმართეს ლორის მაზრის მამულების მათთვის უკან დაბრუნების შესახებ. ამის დასამტკიცებლად მას წარუდგინეს ქართველ მეფეებისაგან მიცემული სიგელ-გუჯრები. მთავრობამ თხოვნა შეიწყნარა და მათ ლორის მამულები უკან დაუბრუნა).

რუსეთის ცარიზმი ყოველმხრივ მფარველობდა სომეხ კომერსანტებს, რომელთა მეშვეობით რუსეთი მიილებდა აზიურ ნედლეულს და რუსულ ნაწარმს გაიტანდა ირან-თურქეთის ვრცელ ბაზარზე. საქართველოს მთავარსარდალ პ. ციციანოვისადმი 1802 წლის 26 სექტემბრის თარიღით გაცემულ იმპერატორ ალექსანდრე I-ის რესკრიპტში ნათქვამია: „სომხები, როგორც მესარეწეობის მიმდევარი ხალხი, რომელთა ხელში იმყოფება აზიის ამ ნაწილის მთელი ვაჭრობა, იმსახურებენ თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებას და მფარველობას, ვინაიდან ის ჩაგვრა, რასაც ისინი ირანში განიცდიან, უეჭველია, რომ ამ ხალხის დიდ რაოდენობას გადმოისვრის საცხოვრებლად საქართველოში, როგორც კი დაინახავენ აქ ისინი წესიერ მთავრობას და მფარველობასო“. (AKAK т. II, c. 9.).

მაჰმადიანური ქვეყნების რკალში მოქცეული ქრისტიანული საქართველო მეზობელი სახელმწიფოების ერთმორწმუნე მოსახლეობის მნიშვნელოვანი დასაყრდენი და თავშესაფარიც იყო. რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს როლი კიდევ უფრო განმტკიცდა. რუსეთი კავკასიაში ქრისტიანობის დაცვის დროშით შემოდიოდა. მახლობელი მაჰმადიანური ქვეყნებიდან ერთმორწმუნე ლტოლვილების საქართველოში მოზიდვა და მათი მფარველობა მისი პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. (საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი (შემდეგში-სცია), ფ.16, აღწ.1, საქ. 1224.). ამის გამო აღნიშნული ქვეყნებიდან საქართველოსაკენ მოისწრაფოდნენ ეროვნულ და რელიგიურ ჩაგვრას გამოქცეული ქრისტიანული მოსახლეობის მნიშვნელოვანი მასები. 1804 წელს ერევნის სახანოდან თბილისში ჩამოსახლებულთა რიცხვი 2000 სულს უდრიდა. (იხ. პ. გუგუშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ.461.). 1807-1808 წლებში თბილისის გარეუბანსა და ავლაბარში ჩამოსახლდა სომეხთა 338 ოჯახი (1906 სული) (სცია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 185, ფურც. 254-259). მთავარმართებელ ტორმასოვის დროს — 1809-1811 წლებში ბოლნისში ყარაბაღიდან ჩამოსახლდა სომხის 428 ოჯახი (2140 სული) (AKAK т. IV, c. 953).

I ს. პირველ მესამედში მას შემდეგ, რაც რუსეთმა ამიერკავკასია მიიერთა, კიდევ უფრო გამწვავდა ურთიერთობა რუსეთსა და ირან-თურქეთს შორის. ახლა რუსეთის მთავარი ამოცანა იყო სომხეთის საზღვრების საიმედო ჩაკეტვა. მთავრობის ამ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლებოდა ირანისა და თურქეთის საზღვრებთან ყველაზე ერთგული ხალხის დასახლებით, რომლებიც შეძლებდნენ არა მარტო სამხრეთის საზღვრების საიმედო დაცვას, არამედ სახელმწიფოს გაათავისუფლებდნენ იმ კოლოსალური ხარჯებისაგან, რომლებსაც იგი ახმარდა საზღვრების დამცველი ჯარის შესანახად.

გენერალი პასკევიჩი თავად დიბაჩს 1827 წლის 4 ნოემბერს აცნობებდა მთავარი შტაბის გენერალ ტოლსტოის შეტყობინებას 80 ათასი „მალორუს კაზაკთა“ სპარსეთის საზღვარზე დასახლების შესახებ. იგი ასაბუთებდა, რომ კაზაკთა გადმოსახლება ყოველმხრივ სასარგებლოაო. რეგულარული არმიის ნაწილების მაგიერ საზღვრებს დაიცავდა კაზაკური სამხედრო დასახლებანი. ისინი ხელს შეუწყობდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში რუსული წესჩვეულების, ცხოვრების წესისა და მეურნეობის დანერგვას, რითაც შესაძლებელი გახდება ამ პროვინციების რუსეთთან შემომტკიცებაო. (იხ. AKAK т. VII c. 322-324.).

1828 წელს თურქეთთან რუსეთის ჯარების წარმატებებმა მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ კაზაკთა სამხედრო დაბების მოწყობა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა სამცხე-ჯავახეთში. მაგრამ 80 ათასი „მალორუსი კაზაკების“ გადმოსახლება მთელ რიგ ეკონომიკურ და სხვა ხასიათის სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ მეფის მთავრობამ ამ დიდ ღონისძიებაზე უარი თქვა. გადაწყდა თრიალეთსა და ჯავახეთში თურქეთიდან ქრისტიანი სომხები და ბერძნები ჩამოესახლებინათ. (1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომში თურქეთი დამარცხდა. ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით ძველი ქართული ტერიტორიები-სამცხე და ჯავახეთი რუსეთს შეუერთდა. თურქეთში მცხოვრებ სომხებს კი ომში რუსეთის მხარე ეჭირათ. ზავის შედეგების მიხედვით ის ტერიტორიები, სადაც სომხები ცხოვრობდნენ, თურქებს დარჩათ. სამაგიეროს გადახდის შიშით სომხები ძირითადად საქართველოში გადმოიხვეწნენ.).



1829 წლის 3 დეკემბერს გენერალმა პასკევიჩმა შეადგინა გადმოსახლების განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი თავმჯდომარეობდა. კომიტეტმა შეიმუშავა გადმოსახლების დებულება. (იხ. AKAK т. VII c. 832-836.). კომიტეტის წინასწარი ანგარიშით ყარსის, ერზრუმის და ბაიაზეთის ვილაითებიდან საქართველოში გადმოსახლდებოდა 8000 ოჯახი. (იხ. იქვე, გვ. 834.). მაგრამ გადმოსახლების დაწყების შემდეგ ოჯახთა ეს რაოდენობა 14000-მდე ავიდა.

ცარიზმის პოლიტიკური მიზანი იყო საქართველოში ეთნიკური სიჭრელის შექმნა. რუსეთისადმი ქართველი ხალხის ერთგულება მეფის მთავრობას რატომღაც არ სწამდა, ამიტომ იყო, რომ უარი უთხრა იმერეთში გახიზნულ მესხ მოსახლეობას განთავისუფლებულ ტერიტორიაზე დასახლებაზე.

ახალციხის აღებისთანავე პასკევიჩთან გამოცხადნენ VI-VII სს. მესხეთიდან გაქცეული ციციშვილების, ავალიშვილების, მუსხელიშვილების და სხვათა შთამომავლები. ქართველ მეფეთა გაცემული სიგელები წარუდგინეს და მამაპაპისეული მამულების დაბრუნება სთხოვეს. პასკევიჩმა მათი თხოვნა არ შეიწყნარა და გარკვეული გულისწყრომაც გამოთქვა.

ვასილ ბებუთოვთან მოლაპარაკება ჰქონდა კათალიკოზ ნერსეს არზუმისა და ბაიაზეთის სომხების საქართველოში ჩამოსახლების თაობაზე. 1829 წელს კარაპეტ ეპისკოპოსისა და ვასილ ბებუთოვის მქადაგებლებმა დაიწყეს ქართველ მაჰმადიანებში ქადაგება, რომ სამცხე-ჯავახეთს რუსეთი უსათუოდ დაიკავებს და აქ მცხოვრებ მაჰმადიანებსაც გააქრისტიანებენო, რადგანაც წინათ ქართველები იყავითო. ფულსაც კი ხარჯავდნენ, რათა ქართველი მაჰმადიანობა ოსმალეთში გადასახლებულიყო. 1829-1930 წწ. სამცხე-ჯავახეთიდან 35 ათასი ქართველი მაჰმადიანი გადასახლდა ოსმალეთში. (იხ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919, 30 აგვისტო.).

ახალციხის საფაშოდან, ხოჯებისა და მოლების აგიტაციის შედეგად, მაჰმადიანი ქართველობა თავიანთი მამა-პაპური მიწა-წყლიდან მასობრივად აიყარა და ოსმალეთში გადასახლდა. მათ გადასახლებას ყოველმხრივ ხელს უწყობდა ახალციხის ოლქის მმართველი გენერალი ვასილ ბებუთოვი, რომელსაც ეჩმიაძინისა და არზრუმის სომეხ ეპისკოპოსებთან საქმიანი მიმოწერა ჰქონდა. ვ. ბებუთოვმა პასკევიჩთან შეთანხმებით ახალციხელ ბეგებს უფლება მისცა, გაეყიდათ თავიანთი უძრავი ქონება და გადასახლებულიყვნენ თურქეთში. 1830 წლის დასაწყისში ვ. ბებუთოვის „დიდი შრომის“ შედეგად ახალციხის მხარე ფაქტობრივად გაწმენდილი იყო მაჰმადიანი ქართველებისაგან. დაცარიელდა მაჰმადიან ქართველთა სოფლები. როცა ბებუთოვმა არზრუმელ სომხთა გადმოსახლების საკითხი „მოაგვარა“, იგი გადაიყვანეს სომხეთის ოლქის მმართველად.

ახალციხის ყოფილ საფაშოში და თვით ახალციხეში სომეხ კოლონისტთა დიდი არმიის დაბინავება გაჭირდა. უბინაო კოლონისტებს ძალით უსახლებდნენ ადგილობრივ ქართველობას — მოხუცებს, ქვრივებს, ართმევდნენ საკუთარ საცხოვრებელს. დაზარალებულები ვერ აღწევდნენ მიტაცებული სახლ-კარის დაბრუნებას და იძულებული ხდებოდნენ სხვაგან გადასახლებულიყვნენ.

არზრუმიდან ახალციხეში შემოსახლებულთა გაუთვალისწინებელმა დიდმა რაოდენობამ მთავრობას საკმაო საზრუნავი გაუჩინა. საჭირო გახდა დამატებითი ფულადი სახსრები, დასახლებული ადგილები, საამშენებლო მასალა სახლების ასაგებად, სათესლე მარცვლეული, მასალა-იარაღები ხელოსნებისათვის და ა.შ. ყოველივე ამით მოახალშენეთა მომარაგება ძნელი აღმოჩნდა. უკვე 1870 წლიდან ახალციხიდან თბილისში განუწყვეტლივ მიდიოდა საჩივრები და თხოვნის წერილები, რომელთაც ხელს აწერდნენ სომეხი მღვდელთმთავარი კარაპეტი და სხვა სასულიერო პირები.

კარაპეტმა ძალზე ორიგინალური საშუალება გამოძებნა ახლად ჩამოსული სომხების საცხოვრებლად დასაკმაყოფილებლად. 1830 წლის 15 ივლისს იგი პასკევიჩს წერდა, რომ ახალციხეში შემოსულ არზუმელებს ქალაქი ძალზე დანგრეული დახვდათ. მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებლების სახლები იყო შედარებით გადარჩენილი. ახალმოსახლეებს 200 სახლი გამოუყვეს, მაგრამ არ ყოფნით. ერთ სახლში ხშირად 5-6 ოჯახი ცხოვრობდა. კარაპეტა პასკევიჩს სთხოვდა გაეცა განკარგულება, რომ ადგილობრივ მცხოვრებ 2-2 ოჯახს ერთ სახლში ეცხოვრა, ხოლო გამოთავისუფლებულ სახლებში სომხები მოთავსებულიყვნენ. (იხ. ლ. ჯანიაშვილი. სომხები ჯავახეთში. თბ, 1995, გვ. 12.).

1833 წლის მაისში ბარალეთის ქართველები თხოვნით მიმართავდნენ რუსეთის ხელისუფალთ — ხერთვისის სანჯაყის გამგებელს რ. ვარაშნიკოვს. წერილში იუწყებოდნენ, რომ 1830 წელს არტანელმა სომხებმა ძალზედ შეავიწროვეს ადგილობრივი ქართველები. ამიტომ ბარალეთელი ქართველები მოითხოვდნენ თვით ქართველების სხვაგან გადასახლებას. (სცია, ფ. 7, აღწ. 3, საქ. 5, ფურც. 8-9.). 1988 წლის მონაცემებით, ბარალეთში ცხოვრობდა 268 კომლი, აქედან ქართველი იყო მხოლოდ 40-მდე კომლი.

რუსეთის იმპერიული პოლიტიკა სამცხე-ჯავახეთში სომხების ჩამოსახლების დროს მიზნად ისახავდა არა იმდენად სომხების უზრუნველყოფას, რამდენადაც თვით საქართველოში ქართული მოსახლეობისადმი დაპირისპირებული არაქართული ეთნიკური ელემენტის შექმნას. ეს იყო ძალზედ შორს გამიზნული და კარგად მოფიქრებული ანტიქართული ვერაგული გეგმა. „რუსეთის მთავრობისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისთანავე, — წერდა ივ. ჯავახიშვილი 1925 წლის 2 ივლისის საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ მოხსენებაში, — რუსთ სახელმწიფოს წარმომადგენელნი ერთი მხრით, სომეხ მოხელეთა დაწინაურებით, მეორე მხრით, რუს ნასალდათართა დასახლებით, ქართველთა მოსახლეობის ინტერესების შელახვისა და მიწა-წყლის ეთნოგრაფიულად აჭრელებით ქართველთა მოსალოდნელი პოლიტიკური მოძრაობისაგან უზრუნველყოფას ცდილობდნენ. სომხები მათ აპოლიტიკურ ხალხად ჰყავდათ მიჩნეული და ამასთანავე ერთგულად სთვლიდნენ. უკვე 1828 წლიდან მოყოლებული, როდესაც ქართველ მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა თავიანთი მამაპაპური სამოსახლეოთგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს, გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხთიმერეთითგან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთითგან გადმოსახლებულ სომხთაგან 30000 მცხოვრები ჩაასახლა. ამ ხელოვნური საშუალებით მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველი მოსახლეობა 95%-ს აღემატებოდა, 1832 წელს უკვე, რუს მოხელეთა წყალობით უმრავლესობა სომხები იქცნენ. (სახალხო განათლება, 1990 11 ოქტომბერი.).

სამცხე-ჯავახეთში ფაქტობრივად არ იყო არც ერთი ქალაქი, დაბა, თუ სოფელი, სადაც ქართველ მაჰმადიანებთან ერთად ქართველ კათოლიკებსაც არ ეცხოვრათ. არზრუმიდან სომეხ კათოლიკეთა ჩამოსახლების შემდეგ მაჰმადიანი ქართველები ძალით გაასახლეს თურქეთში, ხოლო დანარჩენი ქართველი კათოლიკები გაასომხეს. სომეხი კათოლიკები ჩაასახლეს სოფლებში: წყალთბილას, გულიკაში, ტურცხში, ალაასტანში, ვარგავში, ვარევანში, ეშტიაში, ტორიაში, აბდახევს, სუფლის, წინაუბანს, ნაოხრებში, ბალაჯირს, ჯულგანში. ისინი ქართველ კათოლიკეებს შეერივნენ და გაასომხეს.

**შოთა თეთვაძე,**
**ოთარ თეთვაძე**

*გაგრძელება იქნება*

# „არჩევნების შემდეგ საბიუჯეტო ორგანიზაციებს რადიკალურად შევუწყვეტთ მომსახურებას“

***მიუხედავად საქართველოში მიმდინარე მოვლენებისა, ბოლო წლების მანძილზე კავშირგაბმულობის სისტემაში მუშაობა არ შენელებულა, უფრო მეტიც, რესპუბლიკის ტერიტორიაზე საერთაშორისო სტანდარტების დონეზე დაინერგა კავშირგაბმულობის მომსახურება.***

***იმ უმძიმეს პერიოდში (1991-94 წლებში), როცა თითქმის არავის არაფერი მოეთხოვებოდა, კავშირგაბმულობა მუშაობდა. დღეს ნაკლებად აინტერესებს ყველას (კავშირგაბმულობის მუშაკთა გარდა), რის ფასად უჯდებოდათ მათ ეს.***

***ელექტროკავშირის გენერალურ დირექტორს ილია ქუშეციას რამდენიმე კითხვით მივმართეთ, გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.***

— **ბატონო ილია, როგორი ვითარებაა, ამჟამად თქვენს სისტემაში?**

— ყველაფერი შედარებითია. მე, როგორც მომხმარებელი, უკეთესს მოვითხოვდი, ვიდრე არის. ჩვენ ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებაზე ვზრუნავთ. ამჟამად აღარავის უკვირს, რომ ნებისმიერ რაიონში ნებისმიერ დროს შეიძლება დარეკვა. ერთადერთ პრობლემას წარმოადგენს სოფლებთან კავშირი, თუმცა 80% საკრებულოებთან კი გვაქვს თითო ხაზი.

თვეში თითქმის 1-2 სატელეფონო სადგური მაინც იძარცვება, მაგრამ საქართველოში ჩვენს გვერდით დამდგომი ვერ ვიპოვეთ. უთვალავი სპილენძის კაბელი იქნა დატაცებული და გაზიდული თურქეთში. ყველაზე სამარცხვინო ისაა, რომ შესაძლოა, ჩვენგან გატანილი ალუმინის ლითონებისგან დამზადებულ კაბელებს ვყიდულობთ დღეს უცხოეთში.

გვქონია შემთხვევა, დაგვიჭერია ქურდი, მაგრამ გაუშვიათ...

— **რა დონის ტექნოლოგიაა დღეს კავშირგაბმულობაში და საიდან შემოგაქვთ იგი?**

— ახალი ტექნოლოგია ჩვენ არ დაგვინერგავს. შედარებით ახალია ერიქსონის აპარატურა. დღეს ჩამოდის იაპონური ფირმა „ნეკი“, რომელიც გვთავაზობს ინვესტიციებს. როცა ყველაფერი გადაწყდება, ამაზე დაწვრილებით საუბარი მხოლოდ შემდეგ მოხერხდება.

— **მოსახლეობას აინტერესებს ატეს-78-ის ბედი.**

— ჩვენს სამინისტროში ორგანიზაციულმა ცვლილებებმა გარკვეულწილად ხელი შეუშალა ამ პრობლემის მოგვარებას. ალბათ, აჩქარებით ახალი წლისათვის მოხერხდებოდა მოსახლეობისთვის დანაპირების შესრულება, მაგრამ ეს ისეთი პროცესია აჩქარება არ გამოგვადგება.

— **ელ. ენერგიის დეფიციტი თქვენს სამსახურს მუშაობისას რამდენად უქმნის პრობლემებს?**

— ჩვენი 50% სააკუმულიატორო მოწყობილობაზე გადავიდა. ეს დიდხანს იდგა ურთულეს პრობლემად და უკვე მოხსნილია.

— **რას გვეტყვით სატელეფონო გადასახადებზე? ინჯიას მინისტრად ყოფნის დროს მომსახურეობის ტარიფის მოსალოდნელმა გაზრდამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.**

— სატარიფო პოლიტიკა, რომელიც ტარდებოდა და ტარდება დღეს, ელკავშირისთვის წამგებიანია. ტელეფონით მომსახურება თუ გვიჯდება 4 ლარი, ჩვენ ვილებთ 70 თეთრს, 1 ლარს. არავინ სვამს კითხვას, როგორ ხერხდება ეს. სატელეფონო გადასახადების გაზრდის შესახებ საუბარმა მართლაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, ამიტომ კავშირგაბმულობის სამინისტრომ შეაჩერა თავისვე მიღებული ბრძანებულება.

ყველაფერი იქიდან გამომდინარეობდა, რომ საზოგადოება არ იყო მომზადებული ამისათვის პრესის, ტელევიზიის საშუალებით. არსებული სატარიფო პოლიტიკით, განვითარებაზე საუბრები ყოვლად შეუძლებელია.

— **როგორი ურთიერთობა გაქვთ ბიუჯეტთან?**

— კარგი, თუ არ ჩავთვლით, რომ დასაბეგრი მოგების რაოდენობა გაიზარდა 300%-ით. ეს კარგი მაჩვენებელია ბიუჯეტისთვის, მაგრამ ამან ჩვენ შეიძლება გაკოტრებამდე მიგვიყვანოს, ახალი საგადასახადო კოდექსით გვავალდებულებენ, რომ ბიუჯეტში ავანსად შევიტანოთ მოგების გადასახადი, საბიუჯეტო ორგანიზაციებს კი ჩემი დავალიანება აქვთ 700000 ლარი და ამ აუღებელი თანხიდან ბიუჯეტში შემაქვს როგორც დღგ, ასევე მოგების გადასახადი. თუ ჩვენ ბიუჯეტში თანხები არ შევიტანეთ, ყოველ გადაცილებულ დღეზე სანქცია მერიცხება. მეეჭვება, რომ ბიუჯეტმა 700000 ლარის დავალიანება გაგვისტუმროს, ამიტომ ჩვენ არჩევნების შემდეგ რადიკალურად დავიწყებთ მომსახურების შეწყვეტას საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის.

ჩვენ არავინ უფლებას არ გვაძლევს, გადასახადი მომხმარებლისაგან 2 თვით ადრე ავიღოთ, სახელმწიფო კი სწორედ 2 თვით ადრე გვთხოვს მოგების გადასახადს.

— **რას სამომავლოდ გვეტყვით?**

— უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ უკეთესი ხარისხი მეტის გადახდას ნიშნავს, თუ არ გვინდა ძვირის გადახდა, დავკმაყოფილდეთ იმ მომსახურეობით, რაც გვაქვს.

**მანანა ლოგუაშვილი**
**ნანა ძველაია**

# დეზერტირობა — დაუსჯელ-დასჯადი ქმედება ანუ ხარვეზი სისხლის სამართლის კოდექსში

ინტერვიუ ბატონ **გიზო ძაბუნიძესთან** (მთაწმინდის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი) შეეხება იმ ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს, რომელიც საკმაოდ მრავლად არის კანონმდებლობის გარშემო. კერძოდ, ეს დაკავშირებულია სისხლის სამართლის კოდექსის 261-262-ე მუხლებთან, რომლის მიხედვითაც მოქმედება პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციასთან.

**— რას გულისხმობს ამ ორი მუხლის შეუსაბამობა ერთმანეთთან.**

— 261-ე მუხლში ნათქვამია: საყოველთაო სავალდებულო სამხედრო ბეგარის მოხდისას სამხედრო მომსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვება... სამ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე".

როგორც ვხედავთ განსაზღვრული ერთი თვე. არ არის გამოკვეთილი არის თუ არა პირი დამნაშავე ერთი თვის შემდეგ, თუ იგი აგრძელებს სამხედრო სამსახურის დატოვების ვადას, ე. ი. მუხლი საზღვრავს მხოლოდ კონკრეტულ დროს.

რაც შეეხება 262-ე მუხლს, მასში ნათქვამია: დეზერტირობა, ესე იგი სამხედრო ნაწილის ან სამსახურის ადგილის დატოვება სამხედრო სამსახურიდან თავის არიდების მიზნით... ისჯება თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან შვიდ წლამდე".

261-ე მუხლში დეზერტირობა ითვალისწინებს მხოლოდ მიზანს. ამ მუხლისაგან განსხვავებით, რომელშიც ვადა გვაქვს მოცემული 262-ე მუხლში ასეთი რამ არ გვხდება. აღნიშნულია მხოლოდ, რომ დასჯადობა გამოწვეული იქნება სამსახურის დატოვების მიზნის შესაბამისად.

**— როგორც ჩანს, ამ მუხლების შესაბამისობაში მოყვანა ხდება არა კოდექსის მეშვეობით, არამედ სასამართლოების მიერ.**

— დასესხების პრინციპი უნდა გამოვრიცხოთ. სასამართლოები ემყარებიან კოდექსში დაუწერელ ცნებას. არ შეიძლება 261-ე მუხლით განიმარტოს 262-ე მუხლი, კერძოდ, ა პუნქტებზეა საუბარი. ე. ი. 1 თვის შემდეგ სამხედრო მოსამსახურის გასამართლება არ შეიძლება, იგი ხვდება ვაკუუმში.

**— კონკრეტულად რა სახის ცვლილებები უნდა იქნას შეტანილი ამ მუხლების ა პუნქტებში.**

— საჭიროა მითითება — ერთ თვეზე მეტი ხანგრძლივობის აღნიშვნა მუხლში და ავტომატურად ამ ვადის 262-ე მუხლში ჩართვა. რაც შეეხება მიზანს, ვადის აღნიშვნის შემდეგ მას ყურადღება




აღარ უნდა მიექცეს.

**— მისი შესწორების პრეროგატივა პარლამენტს ეკუთვნის, მაგრამ თუ მის ამჟამინდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ...**

— რა თქმა უნდა, პარლამენტს ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ, მაგრამ იურიდიული კომიტეტი რეფორმებით არის დაკავებული, და ასე ვთქვათ, დრო არ აქვთ. საქართველოში კი 2000-ზე მეტი დეზერტირია და თუ არარსებული მუხლით გავასამართლებთ ტრაგედია იქნება.

**— დროებითი გამოსავალი...**

— გამოსავალი ეს იქნება — მუხლების მოქმედება უნდა შეჩერდეს მის საბოლოო სრულყოფამდე.

ბატონი გიზო გაკვირვებას გამოთქვამს, რომ ადამიანის დაცვის ბევრი ინსტიტუტი არსებობს საქართველოში და ამიტომ არავინ მიაქცია ამ საკითხს ყურადღებაო. მე კი გეტყოდით, რომ ხალხის დამცველის სახელი უამრავ ორგანოს გააჩნია, მაგრამ „თავაზიანად" უთმობენ ერთმანეთს ადგილს. ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს „თავაზიანობა" სხვათა კეთილდღეობისთვის კეთდებოდეს.

**— რას იტყოდით თქვენ, როგორც ყოფილი სამხედრო მოსამართლე.**

— ვიტყოდი, რომ მართალია გვიან, მაგრამ მაინც შევამჩნიე ეს შეცდომა და ვიმეორებ, რომ ხალხის ვასამართლებთ არარსებული მუხლით. ირღვევა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი. როგორც ვნახეთ მუხლში ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ დეზერტირობის მიზანზე. ე. ი. ითვლება დეზერტირობად. ესესხებიან 261-ე მუხლს, რის უფლებაც არავის გააჩნია.

მკითხველი რომ არ დავაბნიოთ, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტს შევახსენებ: „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა". ამიტომაც მებადება კითხვა:

**— რა უნდა ქნან მათ, ვინც უკვე გასამართლებულია 261-ე მუხლებით და არის თუ არა თქვენთვის ცნობილი მოსამსახურეთა წასვლის მიზანი.**

— ყველა უნდა იქნას განთავისუფლებული ვინც არარსებული მუხლით არის გასამართლებული და ომბუცმენს უნდა მიმართოს უზენაეს სასამართლოს და სასამართლომ უნდა მიიღოს ამაზე გადაწყვეტილება. „ალბათობა" და „დასესხება" თავიდან უნდა ავიცილოთ კოდექსით ხელმძღვანელობის დროს. რაც შეეხება მეორე შეკითხვას: პრაქტიკიდან გამომდინარე ჩემთვის ცნობილია, რომ სამსახურის მიტოვების მიზეზი უმრავლეს შემთხვევაში ე. წ. „ოჯახური მდგომარეობის" მომიზეზებაა. თითქმის 99% გასამართლებულია უკანონოდ.

ბატონმა გოჩამ საუბრისას განაცხადა, რომ თვითონ მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება ამ საკითხს და კიდეც აღიმაღლა ხმა, მაგრამ შეურაცხყოფილად ნუ მიიღებთ და ვშიშობ არ დარჩეს იგი „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა", რამეთუ „კლასიკური რეფორმებით" დაკავებული ჩვენი პარლამენტი, ვითომ ჯერ შეიწუხებს თავს კოდექსში ცვლილებების შეტანისათვის? თუმცა, არჩევნების ორომტრიალში ჩაბმულთ არაფერ ქულებს მოუტანს „დეზერტირობის მუხლების" მწყობრი დალაგება და ისევ გაგრძელდება დაუსჯელ-დასჯადი ქმედებები.

მე კი იმედს მივცემდი ხალხს და შევახსენებდი, რომ არჩევნების შემდეგ ეგებ გადავლახოთ „შინაურობის გაუტანლობის" რუბიკონი.

მე თვითონ ვეთანხმები ბატონ გიზოს კანონის უზუსტობაში, რადგანაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალბათობა დაუშვებელია სისხლის სამართლის კოდექსში. იმის ეჭვი მებადება, რომ დავადექით „პრეცენდენტული მართლმსაჯულების" კვალს, რომელიც, თურმე, ერთი მუხლის მიხედვით მეორე მუხლის გაშიფვრასაც გულისხმობს.

ესაუბრა **ნათია ძართველიშვილი**

# ელიზბარაშვილი ალაპარაკდა და... დადუმდა

ადვოკატმა ქართლოს ღარიბაშვილმა თავის ყოფილ კლიენტთან, „ელიზელთა" ბანდის მეთაურობაში ბრალდებულ თამაზ ელიზბარაშვილთან მომხდარ განხეთქილების შემდეგ გამართულ თავის ერთ-ერთ კონფერენციაზე განაცხადა, რომ თ. ელიზბარაშვილის „ავადმყოფობა" იმიტომ იქნა გამოგონილი და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 1997 წლის 16 მაისის ყალბი დასკვნით დეკლარირებული, რომ ამ გზით პატიმარი თ. ელიზბარაშვილი თავდებში გამოეყვანათ.

ჟურნალისტებს კარგად ხსომებიათ, რომ თ. ელიზბარაშვილის თავდებში გამოსვლის დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე, დაპირების მიუხედავად, ღარიბაშვილს ელიზბარაშვილი მათთან არ შეუხვედრებია, — ავად არისო, განუცხადებია.

— მაშ, რა მექნა? — ჩაიცინა ღარიბაშვილმა, — ბევრი ვარიგე, რათა თქვენთან შესახვედრად მომემზადებინა. ბიზნესის „გამთეთრებელი" და ბიუჯეტის „შევსების გამო" გებრძვის „ომეგა"-თქო, ვეჩიჩინე, მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ მაინც წამოროშავდა ისეთ რამეს, რაც წყალში გადამიყრიდა მისი თავდებში გამოყვანისათვის გაწეულ შრომას, ვურჩიე მოგრიდებოდათო.

თავდებში გამოსულმა ელიზბარაშვილმა ღარიბაშვილის ამაგი კი დაივიწყა, მაგრამ მისგან შეძენილი სიბრძნე, — დუმილი თავისუფლებაა, სიტყვა კი — პატიმრობა, — არ დავიწყებია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, „ელიზი"-„ომეგას" საქმეზე, 1998 წლის 20 აგვისტოს განაჩენის გამოტანამდე. შემდეგ კი, „ელიზელთა" ბანდის ორგანიზატორად სასამართლოს მიერ მიჩნეულ „ელიზის" ერთ-ერთ ხელმძღვანელში, ეტყობა, მაინც ამოიცნო თავისი თავი, დუმილმა არაფერი მიშველაო, დაასკვნა და ალაპარაკდა.

ალაპარაკდა და, რაც ღარიბაშვილის გეგმის მიხედვით თავდებში გამოსვლის დღეს უნდა ექთვა ჟურნალისტებისათვის, ახლა, თითქმის წელიწადნახევრის გასვლის შემდეგ მიმოაბნია თავის ინტერვიუებში.

როცა აღმოჩნდა, რომ ფირმა „ომეგას" მისამართით მის მიერ ნასროლი ღარიბაშვილისეული „ბრალდებები" ოფიციალურად იყო უარყოფილი ზემოთ აღნიშნული განაჩენით, გენერალური პროკურატურის დასკვნითა და კონტროლის პალატის მონაცემებით, ინტერვიუებს ერთხანობას შეეშვა და სიგარეტის ბიზნესის „გათეთრებისათვის" ახალი პროექტის შედგენაზე მუშაობა ისე განაგრძო, ვითომც ძველი ჰქონდეს შესრულებული (1997-98 წლებში 800 ათას ლარზე მეტი დააკლო).

პროექტზე მუშაობაში გართულს, ეტყობა, დაავიწყდა „ბრონქიალური ასთმა და ეპილეფსია" რომ სჭირს, ან ეგონა, რომ ეს დიაგნოზი მხოლოდ სასამართლო-პროკურატურაში უკრძალავდა მისვლასა და ლაპარაკს. ღამის ორის ნახევარზე ამდგარა და კუნაპეტ ღამეში საგადასახდელო ინსპექციაში წასულა მარტო. იქ კი, იმ „ომეგას" პრეზიდენტისათვის, რომლის ფირმასაც ელიზბარაშვილის მიერ შექმნილმა ბანდიტურმა ჯგუფმა ჯერაც აუნაზღაურებელი სოლიდური ზარალი მიაყენა, კამათი დაუწყია: როგორც მე დაგიანგარიშე, იმდენ თანხას შეიტან ბიუჯეტში, თუ არადა „პარტიის კურსის მტერი იქნები".

არ ვიცი, გაუკვირდა თუ არა „ომეგას" პრეზიდენტს იმ კაცის მჭერმეტყველება, რომელიც იმიტომ არ ზის ციხეში, რომ თითქოს, ლაპარაკის თავი არა აქვს, მაგრამ ის კი ნამდვილად გაკვირვებია, როცა მეორე დღით შეუტყვია, რომ ღამით, საგადასახადოსთან დარჩენილი თამაზ ელიზბარაშვილი ვილაცას უცემია და, მისი განცხადებით ის „ვილაცა" თქვენ და თქვენი დაცვის ბიჭები ყოფილხართო.

თ. ელიზბარაშვილმა არც ის სამედიცინო ექსპერტები მოიხათრა, რომლებიც საჯაროდ ამტკიცებდნენ, რომ მას ლაპარაკი არ შეეძლო, არც პროკურატურა, რომელმაც სწორედ ამ მოტივით შეაჩერა გამოძიება მის მიმართ და საქვეყნოდ დაუმტკიცა მათ, რომ მწარედ (თუ ტკბილად) „ცდებოდნენ" — მან, ყბამოტეხილმაც კი მოახერხა ტელევიზიისათვის თუ გაზეთებისათვის ინტერვიუების მიცემა, ანუ ლაპარაკი.

ინტერვიუსა და ჩვენების მიცემა მხოლოდ იმით რომ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ პირველ შემთხვევაში ჟურნალისტს ესაუბრები, ხოლო მეორე შემთხვევაში კი — გამომძიებელს, არც ელიზბარაშვილს გახსენებია და არც გენერალურ პროკურატურას.

სამაგიეროდ, „ომეგას" ადვოკატებს არ გამოპარვიათ თამაზ ელიზბარაშვილის ეს იალლიში და პროკურატურაში ახალი საჩივარი აფრინეს: როგორც დაზარალებულს თუ შეუძლია ახსნა-განმარტებისა და ინტერვიუების მიცემა, ეგებ, აკადრებინოთ და როგორც ბრალდებული ისეც ალაპარაკოთო.

არ ვიცი, თამაზ ელიზბარაშვილს „ყბის მომტეხის" ვინაობის დადგენა მინიმუმ 13 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდად არ ღირს (მისი აღსრულებისათვის გელა ბატატუნაშვილს 12 წლით თ-ა მიესაჯა) თუ მართლა გაურთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა, მაგრამ ფაქტია, რომ იგი კვლავ დადუმდა.

ალბათ, ჰგონია, რომ რაც თქვა ის „ომეგას" პრეზიდენტის დისკრედიტაციისათვის იკმარებს, აწი კი კრინტსაც აღარ დასძრავს, რათა თვითონაც იქ არ ამოჰყოს თავი, სადაც მის მიერ შექმნილი ბანდის გაბრიყვებული წევრები ელოდებიან.

ვნახოთ!

**თამაზ ძველაძე**

# რას ვაშენებთ — ისევ ბაბილონის გოდოლს, თუ ეროვნულ სახელმწიფოებს?

მეხუთე გვერდიდან

ერთად, რა თქმა უნდა, ესეც დაშვებულია, მაგრამ ზღაპარი თავად საქართველო გვგონია უკვე ზოგიერთებს, „იყო და არა იყო რაო“ — ამას საქართველოზე ვფიქრობთ და ყოველ „ერთ ჩვენგანს“ მისი რომელიღაც ნაწილის პრივატიზაცია ეოცნებება გასხვისების უფლებით.

არადა, მართლა ზღაპარია საქართველო — დღემდე შემოუღობავია და იმიტომ. „ქართლად ფრიადი ქვეყანა ქვეყანა შერაცხების, სადაც წირვაი ყოვლი აღესრულების ქართულითა ენითაო“ — ასე გვაქვს ჩვენ ეს დაწიგნებული ძველთაგან. „წირვაი ყოვლიო“ — მიაქციეთ ამას ყურადღება. ჩვენი ქართლის გარდა, მოგეხსენებათ, რომ არსებობს აგრეთვე მისტიკური მეორეც — „არიან ქართლი“.

„საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე, დაკარგულიყო“ — ესეც უეჭველი ჰიმნია საქართველოსი. ყველამ, ვინც ჩვენ ასე თუ ისე გვიცნობს, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ეს განსაცვიფრებლად მარტივი და გულშიჩამწვდომი სიმღერა იცის ჩვენი და კიდევ აი, ეს სიტყვა — „გენაცვალე“. საყვარელი ადამიანის დაკარგული საფლავის ძიებაშია მიწყივ ქართველი კაცი და აი, ეს „გენაცვალე“ უეჭველად მისი კულტურის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება. სულაც არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ ქართველი ებრაელების მეტყველებაშიც ყოველი მეორე სიტყვა სწორედ ეს არის — „დაგენაცვლე“.

ჩვენი ეროვნული რაობა, წარსულიცა და სამომავლო მისიაც, ყველაზე თვალსაჩინოდ, ჩვენსავე, ყოვლად უნიკალურ, პოლიფონიაშია გაცხადებული — ყველა ხმა თავისას მიერეკება, მაგრამ არცერთი არ არის „თავის უფალი“.

თავის უფლების, თავის აგდებისა და თავაშვებულობის ამ ყოვლად შედარებითი მზის გულზე „სიცივისაგან მოკლული კაცი გორავს“ რა ხანია, საყოველთაო ჩვენობის ყოვლისმომცველი მზე კი ჯერჯერობით გორასაა მოფარებული და ამიტომ ველარ ვხედავთ დაკარგულ საფლავს იმ საყვარელი ადამიანისას, რომელიც შეუძლებელია, რომ არ აღდგეს და აუცილებლად აღდგება, რა თქმა უნდა, ერთ მშვენიერ დღეს, ვითარცა ლაზარე. ყოვლმა მემ მხოლოდ შენობით შეიძლება აღადგინოს იგი. შენობა კაცრიელობაა — განმარტავს საბა. შენობა აშენებაა და, ესე იგი, ევოლუცია, მეობა — გადაშენება, ანუ ნებისმიერი რევოლუცია და „პერესტროიკა“. „მე შენ მიყვარხარ“ — აი, ამ შენობით იწყება უპირველესი საფეხურიც საყოველთაო ჩვენობისა. მეობით არაფერი არ იწყება არასოდეს და საერთოდ — ყოველი მე „ის“ არის, „სხვა“ და „უცხო“ უამისოდ.

სსრკ, რა თქმა უნდა, ბოროტების იმპერია იყო ასევე, როგორც ბოროტებისაა, ანუ სიკეთისაგან მოკლების ნებისმიერი იმპერია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ უკვე აშენებული, მართალია — ძალითა და არნახული ძალადობით აშენებული, მაგრამ მაინც აშენებული დავანგრიეთ და ამით, უწინარეს ყოვლისა, იმ უდანაშაულო მსხვერპლს ჩავაფურთხეთ სულში, რომელიც მის აშენებას შეეწირა. ისევ რევოლუცია ვამჯობინეთ ევოლუციას და ყოვლად კანონზომიერია ამიტომ და ახია ჩვენზე ყოველივე, რაც ახლა ხდება დედამიწის ამ მეექვსედზე. ჩვენი ამ ცოდვის უეჭველი მოზიარეა ყველა, ვინც ჩვენ ამაში დაგვეხმარა.

„არა მოვედ დახსნად სჯულისა, არამედ აღსრულებად“ — უწინარეს ყოვლისა, აი, ამ სიტყვების დედააზრს ჩასწვდა ალბერტ აინშტაინი, როდესაც „ფარდობითობის თეორიამ“ ჩვენი, „აბელური“ ცივილიზაციის დაღუპვის ყოვლად რეალური გზა და შესაძლებლობა დაანახა და უმალვე „ახლებური აზროვნების“ გარდაუვალი აუცილებლობის გაცნობიერებისაკენ მოუწოდა ამიტომ კაცობრიობას.

აი, ამ „ახლებური აზროვნების“ გარდაუვალი აუცილებლობის დეკლარაცია იყო უეჭველად ყველაზე ფასეული მთელს „პერესტროიკაშიც“, მაგრამ ინტელექტუალები, მოგეხსენებათ, პოლიტიკაში არ ერევიან და ამიტომ, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ისევ ძველებურად განვითარდა მოვლენები — იმან, ვინც სამოცდაათი წლის მანძილზე კბილებით იცავდა თავისი რევოლუციის მონაპოვარს კონტრრევოლუციისაგან, ბოლოსდაბოლოს თავადვე განახორციელა ეს კონტრრევოლუციაც და უკეთესს, ცხადია, ვერას იქმოდა. ერთი კი წამოცდა როგორღაც გორბაჩოვს — პატარა „ახლებური აზროვნება“ და „პერესტროიკა“ არც სხვებს გაწყენდათო — მაგრამ დინების საწინააღმდეგოდ ხელის გაქნევა იყო, როგორც ჩანს, ესეც და ამიტომ მეორეჯერ აღარ გაუმეორებია.

პიროვნების როლი, რა თქმა უნდა, ძალიან დიდია და უეჭველად საბედისწერო ნებისმიერი საზოგადოებისა და ხალხის ცხოვრებაში. ივანე მრისხანე, პეტრე პირველი, სტალინი... სულ უფრო და უფრო ფართოვდება რუსეთის საზღვრები და იზრდება ქვეყნის პოტენციალი უკლებლივ ყველას პარამეტრის თვალსაზრისით, მაგრამ რა სიკეთე მოუტანა ყოველივე ამან იმ რუს გლეხკაცს, რომელმაც ამ მართლა შესანიშნავი ამერიკული კინოფილმის, „შესანიშნავი შვიდეულის“ ალალმართალი სოფლელებისა არ იყოს, ვარიაგებს, ანუ „კარგ“ ყაჩაღებს მიმართა დახმარებისათვის თავის დროზე, „ცუდი“ ყაჩაღებისაგან რომ ეხსნა თავი? განსხვავება უეჭველად არის, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც რამდენად და რითი განსხვავდებიან „კარგი“ ყაჩაღები „ცუდებისაგან“? რა დააშავეს, მაგალითად, ამერიკელმა ინდიელებმა იმისი ფასი, რაც მათ დაემართათ? გიორგი ლეონიძეს აქვს ერთი ასეთი, ყოვლად მოულოდნელი და უცნაური სტრიქონი — „ქართლის მკვდელობის ძველ ამბავს დაარქვეს ქართლის ცხოვრება“.

კაენური ცივილიზაცია, რა თქმა უნდა, დაიღუპა სიკეთისაგან მოკლების გამო, მაგრამ არ დაღუპულა კაენის მოდგმა. ღმერთმა, მოგეხსენებათ, მხოლოდ „იწროებით ცხოვრება“ განუსაჯა კაენს აბელის მოკვლის გამო, ხოლო თავად კაენის მოკვლის მცდელობისათვის „სამოცდაათჯერ შვიდგზის“ შურისძიება დაადგინა. აი, ამ „იწროებით ცხოვრებას“ გლეხი, ანუ მიწათმოქმედი და მიწაზე დამაგრებული ადამიანი, ყველგან შეგუებულია ამ ცოდვილ დედამიწაზე. მაგრამ ის, ვინც ამ „იწროებით ცხოვრების“ საშუალებასაც აღარ აძლევს მას, უეჭველად განწირულია დასაღუპავად. აბა, გაიხსენეთ, როგორი იყო ჩვენი საკვების ხარისხი გუშინ, გუშინწინ და, ვთქვათ, გასულ საუკუნეში და როგორია იგი დღეს? ხვალ და ზეგ როგორი შეიძლება იყოს? ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს შურისძიება უკვე დაწყებულია და ჩვენი ცივილიზაციის ხსნა ისევ ძმათამკვლელობაზე შეჩვენებულ და ყოვლად ნებაყოფლობით უარის თქმაშია, ანუ ყოვლივე პიროვნულის უარყოფაში.

„ახლებური აზროვნების“ არსიც სწორედ ეს არის — „არა მოვედ დახსნად სჯულისა, არამედ აღსრულებად“. „გიყვარდეთ მოსულნი, არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ თვითონაც მოსულები ხართო“ — ასე მოძღვრავდა მოსე თავის ერს, იესომ კი უკვე —„გიყვარდეთ მტერნი თქვენნიო“ —მოუწოდა სრულიად კაცობრიობას. ერთი და იგივეა არსებითად ეს, მაგრამ აზროვნებაა აქ სრულიად ახლებური. ჭეშმარიტად, რომ „ახალი აღთქმა ძველშია ჩამარხული და ძველი ახალშია გაცხადებული“. მე შენ აბა, რანაირად უნდა მოგნათლო — გაოცებულია იოანე. უნდა მომნათლო, ამჟამად მხოლოდ ასე შეგვიძლია ჩვენ სიმართლის სამსახურიო — მიუგებს იესო.

ორიათასი წლის მანძილზე ეს „ახლებური აზროვნება“ მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ ზოგიერთმა ქრისტიანმა მეფემ და იმპერატორმა იმ ერთი და ერთადერთი „ჩვენის“ ფუნქცია თავის თავზე აიღო, „ჩვენო“ — თავისი საკუთარი პიროვნების მოხსენიებას შეუდგა ამ ნაცვალსახელით და ძალით მოინდომა იმისი გაკეთება, რაც მხოლოდ სიყვარულით არის შესაძლებელი.

ღვთის წინაშე რომ მართალი უნდა იყო ყოველთვის, ამად მოგახსენებთ, თორემ სათავისო ჭკუას რაც შეეხება, ეს ნამდვილად არ გვაწვალება ერთიმეორისაგან „თავის უფალ“ ადამიანებს.

რა ჯობია — თავის უფლება, თავის აგდება და თავაშვებულობა, თუ თავმდაბლობა, თავდადება და თავდავიწყება? ანგარიშიანობა, თუ უანგარობა? სიძვა, თუ სიყვარული? ომი, თუ მშვიდობა? გალაღებული ეშმაკობა, თუ ჯვარცმული ჭეშმარიტება? ბაბილონი, თუ ისეთი ვითარება, როდესაც ყველა სოფელი, ერთსა და იმავე დროს, ჩვენი კონკრეტული სოფელიც არის და მთელი მსოფლიოც?

დედამიწა თუ მართლა მრგვალია (და დღესდღეობით მაინც, მე ვფიქრობ, აღარავის აღარ გვეპარება ამაში ეჭვი), მაშინ იმასაც უნდა შევეგუოთ ყველა, რომ ნებისმიერი დასახლებული პუნქტია ამ დედამიწაზე მისი ცენტრი და არა მხოლოდ, სიტყვაზე, მოსკოვი, ან ვაშინგტონი.

მომთაბარეობა, როგორც ომებისა და საერთაშორისო კონფლიქტების პირველმიზეზი, დღესდღეობით, რა თქმა უნდა, აღარ არსებობს, მაგრამ აი, ზურგჩანთაკიდებულები კი დავიარებით უკვე ყველა შინა თუ გარეთ. უწინარეს ყოვლისა, დედაკაცური მოდის განუყოფელი ატრიბუტი გახდა ეს ზურგჩანთა ჩვენს დროში. აღარც დედაკაცებს უდგებათ, ესე იგი, გული შინ და ასე თუ გაგრძელდა, მალე ალბათ მართლა ერთ უსაშველო უცხოეთად იქცევა ეს ჩვენი ცოდვით სავსე დედამიწა. ერთ, ანუ ერთიმეორის მსგავს დიდრონ ქალაქებში ცნობისმოყვარეობითა და საკუთარი ინტერესებით ატაცებული, ერთიმეორეში უთავბოლოდ არეული ადამიანების ეს მასები ხომ ცხადია, რომ სექსისა და ძალადობისათვის არიან განწირულნი? სიყვარულისა და მშვიდობისათვის აქ არც ადგილი რჩება და სექსსა და ძალადობასთან შედარებით, რა თქმა უნდა, რომ სიყვარული და მშვიდობა აგებს ყოველთვის თვალწარმტაცობის თვალსაზრისითაც. „შვილისტიო“ — ასეთი სიტყვაც გაჩნდა უკვე ჩვენს ჟარგონში. ერთ შვილს კიდევ, ასე თუ ისე, პატიობენ ერთიმეორეს ცივილიზებული მანდილოსნები, ორი შვილის ყოლა კი უკვე „შვილისტობაა“, რადგან უმამოდ მართლა ძალიან მძიმეა მარტოხელა დედის ხვედრი ამ დიდ ქვაბში, რაოდენ ცივილიზებულიც არ უნდა იყოს თავად ისიც და მისი გარემომცველი საზოგადოებაც. აღიზიანებთ, ძალიან აღიზიანებთ „ოთარაანთ ქვრივის“ „ვაჟკაცური“ სულისკვეთება ჩვენში ამ ბოლო დროს ზოგიერთებს. ქალობის დეფიციტს ხედავენ ამ მხატვრულ სახეში. „ცივილიზებული მოდელი“, გაგიხარიათ, კარგი იქნებოდა, იმდენადვე კულტურულიც რომ იყოს, რამდენადაც ცივილიზებულია.

კლინტონის მოსალოდნელი იმპიჩმენტის ამბავი, მაგალითად, დემოკრატიის თვალსაზრისით უეჭველად სანიმუშო მოვლენაა და ერთი შეხედვით თითქოს სრულიად აშკარას ხდის ამ „ცივილიზებული მოდელის“ უპირატესობას, მაგრამ ამავე დროს კულტურის სრულ უმწეობასა და უსუსურობაზე მეტყველებს. სასაცილოა და ვიცინოთ, რა თქმა უნდა, ყველა, მაგრამ ამავე დროს, სატირალი თუ არა, დამაფიქრებელი ხომ მაინც უეჭველად არის ეს ამბავი? არანაკლებ საჩოთირო მდგომარეობაშია დღეს ყველა სხვა პრეზიდენტიც, ვისი ხელისუფლებაც მხოლოდ დემოკრატიას ემყარება, როგორც „თამაშის წესს“.

დემოკრატია, პლურალიზმი, აზრთა სხვადასხვაობა და სხვაგვარად მოაზროვნეთა პატივისცემა კარგია, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველაზე რადიკალური სხვაგვარად მოაზროვნეობა სწორედ ის ორი რამ იყო ყოველთვის, რაც ყველაზე დიდ სირცხვილად მიიჩნეოდა, ცხოვრების წესს სწორედ ეს მარადიული სხვაგვარად მოაზროვნეები უპირისპირდებოდნენ თავიანთი „თამაშის წესებს“ ყველგან, ყოველთვის და ყველა დროში. ამიტომ არის, რომ მაგალითად, ციხეში, რომელიც უეჭველად ქურდებისაა ყველგან და ყოველთვის, მხოლოდ პოლიტიკური პატიმრები სარგებლობენ ამ „თამაშის წესებით“ განპირობებული კეთილგანწყობით, ვითარცა აგრეთვე სხვაგვარად მოაზროვნეები. თავად ეს „თამაშის წესი“ კი, რა თქმა უნდა, ისევ მხოლოდდამხოლოდ ქურდულია ყველა ციხეში და ველარც ციხის გარეთ არღვევენ მერე ამ „თამაშის წესებს“ ნაციხარები. ზოგ შემთხვევაში კი უკვე პარლამენტების ტრიბუნებიდან უკიჟინებენ ერთიმეორეს, თუ ვინ, ვინ, სად, როდის და რატომ „ჩაუშვა“. „უშვებენ“ და „უშვებენ“ ერთიმეორეს გამალებით, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, „პოლიტიკური ტექნოლოგიის“ დაცვით ხდება ახლა ესე ყოველი. რა აღარ უწოდებიათ, მაგალითად, ჩვენთვის — ბატონებოო, ამხანაგებოო, მეგობრებოო, ქართველებოო და არაქართველებოო, თბილისელებოო, ქალაქელებოო, სოფლელებოო, სუნიანებოო და სურნელოვნებოო, მაგრებოო და ძალიან მაგრებოო, მაგრამ — „ხალხო პატიოსანოო“ — აბა თუ წამოსცდენია ვინმეს ბარიკადების გინდ ერთი მხრიდან და გინდა მეორედან? არავითარ რეალურ ძალას აღარ წარმოადგენს, როგორც ჩანს, ეს პატიოსანი ხალხი და იმიტომ.

სსრკ თუ მართლა ისეთივე „ხალხთა საპყრობილე“ იყო, როგორიც ლენინის აზრით იყო რუსეთის იმპერია, მაშინ გამოდის, რომ დედამიწის ეს მეექვსედი დღესდღეობით მხოლოდ ნაციხარებით ყოფილა დასახლებული. არც უმაგისობა იყოს იქნებ, მაგრამ მართლა მთლად ასე ხომ არ არის, არა, მადლობა ღმერთს, საქმე? ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამბობენ და, როგორც ჩანს, ეს ამ „საყოველთაო პატიმრობაზეც“ ითქმის — ვინ იცის რა თანხები იხარჯება დღეს მთელს მსოფლიოში შიდსის ვირუსის გასაუვნებლებლად მაშინ, როდესაც ათადან და ბაბადან ცნობილია ამ უბედურების ყოვლად უებარი წამალი — „არა იმრუშო“. არა! „ცივილიზებულ“ გამოსავალს ვეძებთ დღეს ამ შემთხვევაშიც — „საიმედოობა შობს ნდობას — იყიდეთ ჩვენი ფირმის პრეზერვატივები“ — ყველის ვაჭარივით იკრიჭება რეკლამა ჩვენს სახლებში ყოველ საღამოს. რა ჰქვია ამ საყოველთაო კრიზისს, თუ არა აზროვნების საყოველთაო დეფიციტი? არას ვამბობ ოზონის ხვრელებსა და ატომური ომის საშიშროებაზე.

კაცობრიობა — (ზრდასრული კაცობრიობა — ბავშვებს არა ვგულისხმობ, ვინც ამ ბავშვების მომავალზე ფიქრობს და უნდა ფიქრობდეს, იმათზე მოგახსენებთ) — ბოლოსდაბოლოს უნდა გამოვიდეს ერთხელ და სამუდამოდ ამ „აკრძალული ხილის“ ხიბლის ტყვეობიდან, თორემ ხელმოცარულთა უმრავლესობას დღეს უკვე ის ადამიანები შეადგენენ ყველა ქვეყანაში, ვისაც ჯერ კიდევ სირცხვილად მიაჩნია ის ორი რამ. ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, იმას, რომ ხელმომართულთა შორის არ არიან ასეთი ადამიანები — არიან, როგორ არ არიან, ღმერთმა ნუ ქნას, რომ არ იყვნენ, მაგრამ უმრავლესობას ისინი მაინც ხელმოცარულთა შორის ქმნიან და არა ხელმომართულთა შორის, ხელმომართულთა ეს უმცირესობაა სწორედ ხელმოცარულთა ამ უმრავლესობის „უფლებებს რომ იცავს“ ყოველთვის მეტნაკლები შედეგიანობით. ღმერთი ყველას აშენებს კეთილი საქმისათვის, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ იმ ორი რამის გარდა კიდევ რვა რამეა, სადაც სამართალია, ყველაზე დიდი სირცხვილი ამქვეყანაზე.

ეს პოსტსაბჭოური „ახალი ადამიანი“, ცხადია, ისეთივე აბსურდია, როგორიც საბჭოური იყო — „თავსა ახლით ვერვინ იშოვს, არსაქნელი არ იქნების“, მაგრამ აი, ახლებური აზროვნების გარდაუვალი აუცილებლობა სრულიად აშკარაა უკვე დღესდღეობით და ვინ, თუ არა ინტელექტუალებმა და ინტელექტუალმა პრეზიდენტებმა უნდა მოგვცენ ამისი მაგალითი დღევანდელ კაცობრიობას?

მამუკა ცეცხლაძე


## განცხადებები

შევასწავლი სალაპარაკო ენას ინგლისურში, ფასი 20 ლარი. 52-29-87.

მოვამზადებ ბავშვებს მათემატიკაში და ფიზიკაში, ბინაზე მისვლით. თვეში 20 ლარი. 75-21-05, 32-65-30.

იყიდება 4 ოთახიანი გარემონტებული ბინა 9 სართულიანი სახლის მე-5 სართ. ავტოფარეხით, სარდაფით. ბუნებრივი აირით, მუდმივი დენით. ფასი 12000 დოლარის ექვივალენტი ლარებში. ვარკეთილის ზემო პლატო. ტ. 29-16-10.

ქირავდება 3 ოთახიანი ბინა, კერძო სახლის პირველ სართულზე. ფართი 120000 კვ.მ. 22-25-03.

მოვამზადებ ინგლისურში, პროგრამაშია სასაუბრო ტოეფელი და ბიზნეს-კურსი. მეცადინეობა ინდივიდუალურია — 2 საათი. ფასი 45 ლარი. 94-27-79.

იყიდება ავტოგასამართი კალონკა. შპს „დავითი“ ფასი 25000 დოლარის ექვივალენტი ლარებში. მის: გარდაბნის რ-ნი თელეთი ტელ. 63-80-84.

იყიდება ხუთოთახიანი ბინა მუხიანის პირველ მიკრორაიონში, მე-5 სად. მე-5 კორპ. 2 სართ. ბინა 80. ფ. 18000 ლარი. 63-80-84 ალბერტი.

ქირავდება ოთახნახევრიანი იზოლირებული ბინა ვაჟა-ფშაველაზე „საბედნიეროსთან“. ფართი 30 კვ.მ. ტელეფონით. ტელ: 32-20-41.

იყიდება ბინა ბეთლემის ქუჩაზე, 10 სართულიან სახლში, მე-2 სართულზე. იზოლირებული, 60 კვ.მ. 12000 დოლარის ექვივალენტი ლარებში. ტელ: 98-91-25.


ვულოცავთ ბედნიერებას ჩვენს მეგობრებს და კოლეგებს, **მაია კვირიკაშვილსა და პაატა დავითაშვილს.** ვუსურვებთ დიდ სიყვარულს, მტკიცე ოჯახის შექმნას, მრავალშვილიანობასა და სამშობლოსათვის ღირსეული ქალ-ვაჟების აღზრდას. იბედნიერეთ!

*თქვენი მეგობრები გაზეთ „საქართველოს“ რედაქციიდან და კომპიუტერული ცენტრიდან.*

ბატონ **ჯუანშერ ყარმაზანაშვილს** და მის მეუღლეს ქალბატონ **ციცო წიკლაურს**, ვულოცავთ ნანატრი შვილიშვილის — ჯუანშერის დაბადებას. დაე, თქვენი პატარა გაზრდილიყოს საქართველოსათვის საამაყო და სასიქადულო ვაჟკაცი. თქვენს ლამაზ ოჯახს ბედნიერება და სიხარული არ მოჰკლებოდეს, გაიხარეთ და გაგვახარეთ.

*პატივისცემით, მეზობლები და მეგობრები.*


სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა („დუპლექსი“) ოთხსართულიანი მშენებარე სახლის მესამე-მეოთხე სართულზე. მის: ჯიქიას ქ. № 10 (ქავთარაძის გაგრძელება). ტ. 32-44-55.



მთავარი რედაქტორი **სერგო ჯანაშია**

**ტელეფონები:**
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიძე

რედაქცია: გია თვალავაძე (რედაქტორის მოადგილე), ზაზა ალადაშვილი (კომერციული დირექტორი), კობა კაპანაძე (სამართლისა და რეგ. პოლიტიკის განყ. გამგე), გიორგი ლალიაშვილი (რეალიზაციის განყოფილების გამგე), კორესპონდენტები: მანანა ლობჯანიძე, ნანა ძველაია, კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩადუნელი, ქეთი გეჯაძე, ხათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, იზოლდა ცირდავა.
კორექტორები: ამალია გოგრიაშვილი, ამრიტა ჯანაშია